

ქართული გზები



საქართველოს
მწერალთა
კავშირის
გაზეთი
№7 (275)

1-30 სექტემბერი
2019

ფასი 1 ლარი

გამომცემი
თეიმურაზი

მაყვალა გონაშვილი

ბევრი რამ მოხდა ჩემს ცხოვრებაში ისეთი, რომელსაც ადრე ვერც წარმოვიდგენდი და ალბათ, ყველაზე კომპარულ სიზმარშიც ვერ ვნახავდი.

ვერ წარმოვიდგენდი, რომ ქართველი ქართველზე ხელს აღმართავდა, დაამცირებდა, მოკლავდა. 1993 წელი იყო — შიმშილის, უსამართლობის, ძმათა მკვლელი ომის დაუნდობელი წელი. ავლაბარში, ჩემს ძველთაძველ კორპუსს (სადაც შემდგომ სააკაშვილმა სასახლე ააშენა) ცეცხლი გაუჩნდა. ეს ის დრო იყო, მეხანძრეები აღმოებულ შენობამდე სანჯავის უქონლობის გამო რომ ვერ მიდიოდნენ. ბედად, ჩვენს სამეზობლოში ერთ მძღოლს ბენზინი აღმოაჩნდა. რის ვაი-ვაგლახით მოვიყვანეთ სახანძრო



მანქანა, მაგრამ მეხანძრეებს რომელიღაც სამხედრო დაჯგუფების (მგონი „ავაზას“) წევრები თავს დაესხნენ, სცემეს და ბენზინი წაართვეს. ვდავართ ხელში ჩვილატატებული დედები, უმწეობით დაჩაივებული კაცები და ვუცქერით, როგორ იფერფლება ჩვენი კერა, ჩვენი წლობით ნაგროვები ნივთები. რას იზამ? როგორ მოერევი იარაღით გათავხედებულ ქართველებს. ასე დაიწვა მთელი კორპუსი.

მას მერე არაერთხელ მიგრძენია უმწეობა, ტკივილი, ჩვენივე მოძმეთა სითავხედის, განუკითხაობის, უსამართლობის გამო. დიახ, ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ქართველთა

სათაყვანებელი მეფის, აღმაშენებლის ძეგლს ქალაქის ცენტრიდან გააძევებდნენ.

მახსოვს, ძეგლს 30-მდე ადამიანი ვიცავდით. პოლიციამ ალყა შემოგვარტყა. რკალი ნელ-ნელა ვინოვდებოდა. ჩვენ კვარცხლბეკზე ავედით, მაგრამ ძალა აღმართს ხნავსო და ჩვენც ვერაფერი გავანყვეთ შეიარაღებულ პოლიციასთან - სამართლის უსამართლო დამცველებთან.

ეს ლოცვაა წინაპართა...

ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ მწერალთა კავშირის შენობას გაყიდვას დაუპირებდა ხელისუფლება და მერე, სასამართლო პროცესით რომ ვერას გაანყობდა, ასი ნიღბოსნით მოახდენდა შენობის ოკუპაციას. ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ ქართველი კაცი, თუნდაც ნიღბიანი, კლასიკოსთა სურათებს შენობის კიბეებზე მიმოფანტავდა და ჩექმიანი ფეხით გადაუვლიდა.

ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ ვარდების რევოლუციით მოსული ხელისუფლების გაძევების მერეც არ აღსდგებოდა სამართლიანობა, კვლავ უსახლკაროდ, უსასოოდ დარჩებოდნენ მწერალთა კავშირის წევრები და მაჩაბლის 13-ის კარს ღარიბი ნათესავებივით მოკრძალებით შეალებდნენ. ბოლო ათწლეულებში იმდენ უსამართლობას მოვესწარი, ერის ცნობიერებაში ისეთი „გონების მაღაყი“ განხორციელდა, რომ თითქოს არაფერი არ უნდა გამკვირვებოდა და მაინც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ სასკოლო პროგრამებიდან ამოღებამ გამაოცა. ხომ დიდი ლიტერატურული ტრადიციების მქონეა ჩვენი ქვეყანა, ხომ არაერთი გენიალური ნიგნი შექმნილა, მაგრამ ქართველი გამორჩეულად ეთაყვანებოდა „ვეფხისტყაოსანსა“ და „დედა ენას“. მისთვის რომ გეთქვა, სამყარო იქცევა და უცხო პლანეტაზე ორ რომელ ნიგნს წაიღებო, ალბათ „ვეფხისტყაოსანს“ და „დედა ენას“ შეარჩევდა, ჩვენი ერის სიბრძნისა და უკვდავების სიმბოლოს. როგორ ეფერებოდნენ ჩვენი მგოსნები დედასავით საყვარელ „დედა ენას“. რამდენი ლექსი და სიმღერა უძღვნეს და ჩვენც ლოცვასავით ვიმეორებდით:

ჩვენი ნიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,


ოქროსხმიან სიმებად
გულში ამოქარგული.

როცა საბავშვო ანთოლოგიას ვამზადებდით, ნიგნის გარეკანზე მომავალი თობისთვის მეც ასეთი სტრიქონი დავწერე:

საქართველო დედაა და
ქრისტეს რჯული ჩვენი რწმენა,
სადაც ნახვალ, თან წაიღე
იაკობის „დედა ენა“,
თითქოს გალობს ასოებიც

ავტორს. ღვინოს გემო რომ გაუგო, მაინც და მაინც მთხლემდე ხომ არ უნდა ჩახვიდე, ერთი ყლუპითაც მიხვდები, სუფთაა თუ წყალგარეულიო“. მერე ჩაიცინებდა და ასე მიხსნიდა: „თუ იცი, რა არის ავტორიზებული დედა ენა? იაკობისეულ შედეგს რომ გააფუჭებ, აი, იმას ჰქვია. პირველ გვერდზე კიდევ კარგი აი ია დაუტოვებიათ და არ დაუმახინჯებიათ ეს უფლით ნაკარნახევი ასოთწყობა, მაგრამ მეორე გვერდზე აი თითის ნაცვლად აი ასო ეწერაო. მეგონა ასობგერაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ასი ასო რომ წავიკითხე, ფერი მეცვალა, კიდევ კარგი შიგ ასო არ ჩამიხატესო“, - ქირქირებდა ენამწარე ბერიკაცი.

ჩემო ძვირფასო პედაგოგებო, მშობლებო, ნუ შეგეშინდებათ ვაიპატრიოტების, უცხოური გრანტებით გამაძლარი ცრუ ინტელექტუალების. მომავლის გზა წარსულის სიდიადეზე გადის. როგორც ილია ბრძანებდა, „ერის პირქვე დამხობა, გათხსირება, განყალბება იქედან იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა“.



„დედა ენა“ მხოლოდ წარსულის ძეგლი როდია. ის მარადიული სახელმძღვანელოა. ჩემი მეგობარი პოეტის, ვახტანგ ლლონტის ერთი ლექსი მახსენდება:

აი ია, აირია -
რია განწირული ერის,
ო, სამშობლო, სამშობლოში
როგორ ვერსად მოგაგენი.

ნუ დავკარგავთ წარსულის თაყვანისცემას და მომავლის სამშობლოს.



რევაზ მიშველაძე

კიდევ ერთხელ თავიდან ბოლომდე ვნახე გოგა ხაინდრავას სერიალი „ჰეროკრატია“.

ფილმში ჩადებული გოგა ხაინდრავას დიდი ნიჭი და ბიძინას უზარმაზარი თანხა, მართლაც რომ შემადრწუნებელი სანახაობაა.

სანამ გადაღებას დაიწყებდა, გოგას ჩემთვის რომ ეჩვენებინა სცენარი, ვურჩევდი, ნაცფაშისტების არამზადობაზე მხატვრული კი არა, დოკუმენტური ფილმი გაეკეთებინა.

ჟანრი ამ ფილმის უმთავრესი ნაკლი და დაკარგული შესაძლებლობაა.

უამრავი დოკუმენტური მასალა არსებობს და რა საჭიროა, მინიშნებების რეზუსად უქციო მაყურებელს, რაც ჩვენს თვალწინ მოხდა ნაცპარპაშის ცხრა წლის განმავლობაში.

შეგექმნა ხუთსერიანი ფილმი-ბრალდება, ჩემო ნიჭიერო გოგა, და მთელი მსოფლიო ნახავდა, რა დამართეს სააკაშვილმა და მისმა ხროვამ საქართველოს.

რატომ დაუტოვე ნაციონალისტთა თუნდაც ერთ უკანასკნელ მოპიკანს საშუალება, მომავალში (თუნდაც შორეულ მომავალში) თავი იმართლოს; გოგამ ტირანიაზე მხატვრული ფილმი გადაიღო და ჩვენ რა შუაში ვართო.

ხშირად მეკითხებიან: რა გვიჩვენაო, საპრეზიდენტო არჩევნებმა.

ეს არჩევნები მწარე გაკვეთილი და ისტორიული გაფრთხილება იყო ყველა პოლიტიკოსისთვის არა მარტო საქართველოში.

გაირკვა, რომ შენი თუნდაც უზარმაზარი ნდობა-რესურსებით გულს თუ დაიარხებინებ და ხალხს მოწყდები, ამომრჩეველი პასუხს არ დააყოვნებს და ეს პასუხი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

ოცნების ხელისუფალთ თურმე არც ერთი ჭკუადაძვდარი ერთგული, ობიექტური კაცისთვის რჩევა არ უკითხავთ.

ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და თუ დაპირებას ფეხებზე დაიკიდებ, მერე „მომიტეხე ჭადი და მოგიტეხავ ყველის“ ანდაზის მსგავსად თანაგრძნობა სახვეწარი გაგიხდება.

მისმა გარემოცვამ მართლაც რომ ქვეყნის საშველად მონადინებული ბიძინა წლების განმავლობაში ვირტუალურ სამყაროში აცხოვრა. ატუბდნენ, ყველაფერი კარგად მიდისო.

ხალხი კი, დამშეული ხალხი, ყველაფერს გრძნობდა და ხედავდა.

ამ სიტუაციამ ბრმის ცოლის არაკი მომაგონა: ბრმას ცოლი მოუკვდა

ვუპასუხე, რომ დავინყე ვრცელი რომანის წერა თანამედროვეობაზეო.

სამსახურში თუ დგახარ სადმეო, მეკითხებაო.

ვუპასუხე, რომ დღე და ღამე ვასწორებ, რომ „ევეგენი ონეგინის“ თარგმნა გავასრულოო.

ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ თუ მუშაობ სადმეო, არ მეშვება ჩემი თანამეინახეო, ამბობს პოეტი და ლექსს ასე ამთავრებს:

„ვდუმდით ქუჩაში, სტადიონთან, დადიას ბაღთან

საკაშვილს აქ რა ოფოფებიც ჰყავდა ხომ ვიცით, მაგრამ ემიგრაციაში მთლად გაურეკავს.

თებერვალსა და მარტში (2019) ლიეჟში და რომში შეკრიბა ემიგრანტები და გამოუცხადა: ჩვენ 2 მილიონამდე ვართო (არადა დარბაზში 2 ავტობუსი ემიგრანტი იჯდა), ორ-სამ კვირაში ყველანი მოვანყობთ ჯვაროსნულ ლაშქრობას ჩვენს სამშობლოში და ავიღებთ ხელში ძალაუფლებასო. ძალაუფლების აღება და საერთოდ ყველა გადაწყვეტილების, ყველა კანონის მიღება ახლა მარტივი საქმეაო. აღარაა საჭირო საარჩევნო კომისია და რეფერენდუმებიო. საქართველო პატარა ქვეყანაა და ერთ საათში ელექტრონული ხმის მიცემით გადაწყვეტთ ყველაფერსო.

გასაგებია, რომ მიშკოს პატრონი არა ჰყავს, ისიც გასაგებია, რომ „გიჟი თავისუფალია“, მაგრამ რა გახდა ამ საცოდავი კაცის ნორმალურ ფსიქიკატრთან მიყვანა?

მუდმივად, უვადოდ და უცვლელად მარტო ღმერთია მოვლენილი ამ ქვეყნად და ისეთი რა შეატყვევს მავანთ იმ ათ მოსამართლეს, რომ უვადოდ უნდა ავირჩიოთ?

თუ ზოგ ქვეყანაში არსებობს მუდმივად არჩევის ინსტიტუტი, იქ სხვა მენტალიტეტი, სხვა ტრადიცია და სხვა ნდობა მოსამართლის მიმართ. ჩვენ რას ვხტუნავთ, რას ვწინამასწარებთ. სხვაში ყველაფერში განვითარებადი ვართ და მარტო სასამართლოს საკითხში ვართ განვითარებული?

ძვირფასო ხელისუფლებავ, რუსთაველი ამბობს „უცილობლობს, ვითა ჯორიო“, რა ხდება? რატომ უცილობლობთ ასე თავგანწირვით?

განა რად გიღირთ ის ათი მოსამართლე, რომ მათ ასარჩევად სახელმწიფოს ბედი სასწორზე დადეთ და თქვენს ჯიუტ ნებას უმრავლესობის ერთიანობა გადააყოლოთ?

ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ზოგ ასარჩევათაგანს, თუ კარგად დააკვირდებით, მელისას გამომეტყველება აქვს სახეზე (ამას ხუმრობით მოგახსენებთ) და დრო რომ დადგება, თქვენც ისევე გიღალატებენ, როგორც მათს წინამორბედ პატრონებს უღალატეს (ამას სერიოზულად მოგახსენებთ)?

რატომ ცდილობთ ასე სერიოზულად გაამართლოთ ჩვენში გაჩენილი ახალი ანეკდოტი:

„თურმე ამერიკის პრეზიდენტმა ტრამპმა დაურეკა ამასწინათ საქართველოს პირველ პირს:

შენი ჭირიმე, არ დამლუპო, როგორმე მურუსიძე და ჩაჩანიძე გაიყვანე მუდმივ მოსამართლეებადო“.

მატყუარა „დიდკაცთა“ მოსაცდელეზში ჩანიშნულები

და ვილაცამ თქვა, ნუ ეტყვიტო. კი, მაგრამ ღამით გვერდით რომ არ მიუწვება, ვერ გაიგებსო?

პირველი ლალატი ე.წ. კოჰაბიტაციამ განაპირობა.

ხალხმა ვერ იხილა მისი სისხლისმსმელების დასჯა.

სამართალმა პური ვერ ჭამა.

ოცნების ხელისუფლებამ ნაუყრუა საკუთარ ხალხს.

არც ერთი მინისტრი დღესაც ტელეფონს არ იღებს.

არც ერთი უწყება სახელისუფლებო აპარატიდან უბრალო მოქალაქის წერილს არ პასუხობს.

სასამართლოები (სადაც უმეტესობა „ნაცები“ სხედან) წლობით აჭიანურებენ საქმეს და ამას სრულიად შეგნებულად აკეთებენ, რათა უფრო და უფრო დააშორონ, მოამდურონ ხალხი და მთავრობა ერთმანეთს.

თუ ასე გაგრძელდა, მალე დადგება მორიგი სახმო ხვეწნა-მუდარის დრო.

და ჭკუანასწავლ ამომრჩეველს ახალი სატყუარათი ველარ მოატყუებ.

რაც შეეხება კულტურას, კულტურა „ოცნების“ ხელისუფლებამ კვლავ „ნაცმოდრაობის“ წარმომადგენელ ორ ქალბატონს ჩააბარა.

ასე რომ, კულტურის ბედს ისევ „ნაცმოდრაობა“ წყვეტს და მწერალთა კავშირი კვლავ ქუჩაშია.

ჩინებულ პოეტს მურმან ჯგუბურისას სხვა კარგ ლექსთა შორის ერთი ლექსიც აქვს; „თანამგრძობელი“ ჰქვია.

ზუგდიდში ჩავედიო, ამბობს ლექსის ლირიკული გმირი და გზად ჩემი თანაკლასელი შემხვდაო.

სად მუშაობო? პირველ რიგში მკითხაო.

ვუპასუხე, რომ გადავაკვდი პომას და, როგორც იქნა, დავამთავრეო. თუ მუშაობ სადმეო, ისევე მკითხაო.

და ის დუმილი რომ მეგონა აღსავსე აზრით, სად მუშაობო, მკითხა იმან და უცებ გავში, ნეტავი იმ დროს, ჩვენ როდესაც ვიყავით ბავშვნი“.

რამდენჯერაც უნდა წავიკითხო ეს ლექსი, სულ გულიანად ვხარხარებ და მერე უცებ სევდა შემიპყრობს ხოლმე. სიცილი და ცრემლი... ბარაქალა, ჩემო მურმან!

გენიალური ნათქვამია: „ფშუტე თავთავი თავს მალლა ინევს, მნიფე თავთავი თავდახრილია“.

რა არ იღონეს, რანაირად იქიჩმაჩ-იკობტაპრუნეს ჩემმა ლიტერატურულმა ნაცნობებმა...

ხან ტელევიზიები აატალახეს და მაყურებელს პიტნასავით სჩრიდნენ ცხვირში თავიანთ უმწიფარა აზრებს.

ხან ქუჩა-ქუჩა ატარეს ექსკურსანტები.

ხან ერთმანეთს გუგული და მამალივით ხოტბა-დიდების ფარჩები უცვალეს.

ხან ფრანკფურტში გაიღალნენ და წიგნის მეზაზრებებს გაეგნენ ფეხქვეშ, რათა მათი უგერგილო წიგნები ეთარგმნათ.

მაგრამ მწერლები მაინც ვერ გახდნენ.

ვერა, ჩემო კეთილო, კულტურის სამინისტროში დროებით შეყუყუული შენი მფარველი, ნიჭიერი მწერლის უნიჭო ქალიშვილი, შენ მწერლად ვერ გაქცევს.

არც ის არის მწერლის საკადრისი საქციელი, განათლების მინისტრს კოლექტიური შანტაჟი მოუწყო, მუქარის დამოკლეს მახვილი აღუმართო თავზე და ჭეშმარიტ მწერალთა სასარგებლო ბრძანება შეაცვლევინო.

ახლახან ნავიკითხე წიგნი „ასი ბრძოლა საქართველოში“.

თურმე 100 ომიდან 25 ომი უბრალოდ საქართველოს ტერიტორიაზე გამართეს იმპერიებმა. ბიზანტიის, სპარსეთის, არაბეთის, მონღოლეთის და ოსმალეთის ჯახში ხშირად საქართველო არაფერ შუაში იყო, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, საქართველო მხოლოდ პოლიგონად იყო გამოყენებული.

მხოლოდ 35 ომი გვექონია უცხოელ დამპყრობლებთან და, როგორ ფიქრობთ, ამ 35 მეტნაკლებად მასშტაბური ომიდან მხოლოდ 17 მოგვიგია, 18 ომი კი ნაგვიგია.

დავმარცხებულვართ, მაგრამ დამარცხებას არშეგუებულნი დროის შემდეგ ისევ აღვმსდგარვართ, ფენიქსებრ განვახლებულვართ და დამპყრობლის უღელი გადაგვიგდია.

25 + 18 + 17 = 60

დანარჩენი 40 ომი?

დანარჩენი 40 ომი საქართველოს მიწაზე ქართველებს ერთმანეთის წინააღმდეგ გადაგვიხდია.

დაუნდობლად, კბილთა ღრჭიალით, ცეცხლითა და მახვილით, ძმათა და ბიძაშვილთა თავების კვეთით, „ვაჟკაცურად“ გვიბრძოლია ქართველებს ერთმანეთის წინააღმდეგ.

რატომ? რატომ? რატომ?

ჩვენი დაუდგრომელი სულის აღუვსებელი სანყაულო, ჩვენო მღელვარე ისტორიავ, მომეც ამის პასუხი.

თითქოსდა სახელმწიფო ვართ ყველა ატრიბუტი. გვაქვს ენა, ფული, ჰომი, გვყავს ჯარი...

2019 წლის 21 აპრილს პანკისის ხეობაში მცირე ელსადგურის მშენებლობა დაიწყო. მოვარდნენ ქისტები და კბილთა ღრჭიალით, ქვებით და ხელჯახებით კუდიტ ქვა ასროლინეს მარტო მშენებლებს კი არა, პოლიციას და სპეცრაზმსაც.

უნდა გენახათ ჩვენი „მამაცი“ პოლიციელები თავ-ტრაკზე ფარფარებულები როგორ გარბოდნენ „ბრძოლის ველიდან“.

პანკისის ხეობებზე დაგვიწვეს 5 ჯავშანმანქანა და სამი ექსკავატორი. ესაა სახელმწიფო ვართო?

ესაა პანკისის ხეობას ვაკონტროლებთო?

აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ჩვენს „გმირულ გამოქცევას“ პანკისის ეპოპეაც მიემატა.

25 აპრილს აზერბაიჯანელმა ძმებმა დავით გარეჯის მონასტერთან მისასვლელი ქართული ბილიკი ნაშაღეს და გამოგვიცხადეს, ნურას უკაცრავად, ეს აზერბაიჯანის ტერიტორიააო.

აცრემლდნენ ოდენ ღვთის ანაბარად დარჩენილი ქართველი მლოცველები, მხრებს იჩეჩავდნენ გაკვირვებული ტურისტები.

როდის შემდეგ გახდა დავით გარეჯის მონასტერი აზერბაიჯანული კულტურის ძეგლი?

ესეც ჩვენ ბედოვლათობისა და დოცლაპიობისათვის.

მტკიცედ იდგნენ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები „თავიანთ ტერიტორიაზე“.

მე იქ ქართველი მესაზღვრე არ დამინახავს.

აკი სახელმწიფო ვართო?

და ყოველივე ამის შემდეგ, ძვირფასო ირმა და ძვირფასო დავით, თუ ნეიტრალიტეტს და სამხედრო მიუმხრობლობას გამოვაცხადებთ, თქვენ მართლა გგონიათ, რომ რუსეთი აფხაზეთს და სამაჩაბლოს დაგვიბრუნებს, სომხეთი ლორეს, ხოლო აზერბაიჯანი საინგილოს? მეორე დღესვე პანკისელი ქისტები თვინიერ გუგულებად გადაიქცვიან და აზერბაიჯანელი მესაზღვრეები გაქრებიან გარეჯის შემოგარენიდან?

ხომ გამოვაცხადებთ 1918 წელს დამოუკიდებლობა და მიუმხრობლობა. ისტორიამ არ გვასწავლა მწარე გაკვეთილი? გაიხსენეთ, სომხეთმა ომი გამოგვიცხადა, თურქეთმა მესამედი საქართველო წაგვართვა (დღესაც დაუბრუნებელია ართვინი და ტაო-კლარჯეთი), ხოლო აზერბაიჯანიდან და ჩრდილოეთიდან წითელი რუსეთის XI არმია შემოვიდა.

ახლა, როცა, ასე თუ ისე, ამერიკის მფარველობის ქვეშ ვართ, ამდენს გვობედავენ ჩვენი უსაყვარლესი მეზობლები და ამერიკას რომ ხელს დავუქნევთ, მერე რას გვიზამენ, გიფიქრიათ ამაზე?

ისტორიულ უკეთილეს მეზობლებს, ჩრდილოკავკასიიდან უკეთილშობილესი ტომებიც დაემატებიან და მერე ვინ დაგვიცავს, იქნებ 21 აპრილს ქართულ სახელმწიფოს მედგრად რომ იცავდა, ის პოლიცია ან 2008 წელს ცხინვალის ორდლიანი ომიდან მედგრად რომ გამოიქცა, ის ჯარი?

ჩვენი ზოგიერთი პოლიტიკოსის მეხსიერება ძალიან ამღვრეულია, მაგრამ ისტორიკოსებს, ალბათ, ახსოვთ 2003 წლის 22 ნოემბერს სააკაშვილის და მისი რაზმის შემოვარდნა პარლამენტში, პრეზიდენტ შევარდნაძის განდევნა და მისი ჯერ კიდევ თბილი ჩაის მოკლე ყლუპებით დაღვევა ნაციისტ-ავანტიურისტის მიერ.

კანონიერი ხელისუფლების გარეკვისათვის მსოფლიომ მაშინ მოძალადეებს პასუხი არ აგებინა. ეს ყაჩ-

ალობა დემოკრატიის ვარსკვლავი-ჭუნას ხახვივით შერჩა და ცხრა წელი თავისი გაუკულმართებული გონებით ჯიჯგინდა საქართველოს.

2019 წლის 20 ივნისს ზუსტად იმავე სცენარით აპირებდნენ პარლამენტში შეჭრას ნაცმოძრაობის კბილებ-მოცვეთილი ბელადები.

მათი ცალტვინა ატამანი უკრაინიდან ჩხაოდა: მიდით, მიაწეკით, უკან არ დაიხიოთ, შეჯლიგინდით პარლამენტში და მე წუთინწუთზე თქვენთან გავჩნდებიო.

რაკილა ახლანდელი ხელისუფლება არ აღმოჩნდა ისე უნიათო, როგორც შევარდნაძის ხელისუფლება იყო, დადიან ახლა სააკაშვილის კუდები და წუნუნებენ:

რა არის რა, მეტი გაგება და სიყვარული არ უნდა გქონდეთ ჩვენი? ესაა დემოკრატია? ჩვენ მოვდიოდით თქვენს დასამხობად და თქვენთვის ცხვირ-პირის დასალენად, რა იყო, თქვე კაი ხალხო, შეგეშვით პარლამენტში, როგორც შევარდნაძემ შეგვიშვა და ერთ საათში მორჩებოდა ყველაფერიო.

მოთქვამენ ნაცფაშისტები და დაინტერესებულ „მამიდებს“ იმ თეთრ ტრაკებს უჩვენებენ, პოლიციის პანლური რომ ამჩნევია.

რა საშინელებაა განვითარებადი ქვეყნის ბედში ყოფნა.

გულდასმით ვუსმენდი ევროკავშირის კონფერენციას, 12-13 ივლისს ბათუმში რომ ჩატარდა.

გულისამრევად მოსაწყენ გამოსვლებში არ ჩანდა არც ერთი საიმედო ფრაზა საქართველოს საშველად, ევროკავშირის მიღების მიმართულებით, არც საქართველოს ოკუპირებული მიწების დაბრუნების გზებზე ყოფილა ლაპარაკი.

რისთვის ჩამოვიდა სამასამდე კონფერენციის მონაწილე და ამდენივე ჟურნალისტი?

ნუთუ უიმედო ამოხვრისათვის და წამდაუნუმ საათზე საყურებლად?

წარმოვიდგინე, ამ კონფერენციის ორგანიზატორები სადღაც ევროპის შუაგულში მრგვალ მაგიდასთან რომ გეგმავდნენ:

„მოდით შემდეგი კონფერენცია ბათუმში ჩავატაროთ, თანაც აგვისტოში. აგვისტო კარგი იცის ბათუმმა“. ვაი, ჩვენს პატრონს უბედურს.

არა, ჩვენ არასოდეს მოგვაპორებენ განვითარებადი ქვეყნის სტატუსს და არც ნატოში და ევროკავშირში მიგვიღებენ.

წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ განვითარებადი კი არა, განვითარებული ქვეყანა ვიქნებით და ასეთ უაზრო

კონფერენციებს ხომ მხოლოდ განვითარებადი ქვეყნებში ატარებენ.

უსიამოვნო დღეების მეტი რა მქონია ცხოვრებაში, მაგრამ 2019 წლის 8 აგვისტო ერთ-ერთი მძიმე დღე იყო.

სამარცხვინოდ წააგო ამსტერდამში ჩვენმა „დაუმარცხებელმა“ დინამომ. ჰოლანდიელებმა მოედანზე დინამოელებს ბურთი თითქმის დაუმალეს. ბატებივით დარბოდნენ ფეხბურთელები.

ასევე უიმედოდ წააგო ზვერევთან ჩვენი როგორთის იმედმა ნიკა ბასილაშვილმა...

სპორტი სპორტია, ხან მოიგებ და ხან წააგებ, მაგრამ გულს ის მიკლავს, რომ კიდევ ერთხელ დაგვცინა რუსეთმა, საზღვარი კიდევ ერთხელ გადმოსწია. მცოცავი ოკუპაციით კიდევ რამდენიმე სახლი მოექცა რუსეთის შემადგენლობაში.

მაინც და მაინც ამ დღეს პუტინმა ე. წ. აფხაზეთის ე. წ. პრეზიდენტი მიიღო და დაპირდა, მალე სოხუმის აეროპორტს განვაახლებო.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტმა კი არ დააყოვნა და კიდევ ერთი წიხლი მოგვაცოლა, დადგა დრო ჩრდილო და სამხრეთ ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში გაერთიანდესო.

8 აგვისტოს „სახელგანთქმულმა“ გაერომ 99-ე ისტორიული გადწყვეტილება მიიღო:

„რა არის რა, რატომ არ რცხვენია რუსეთს, აგვისტოს ომიდან უკვე 11 წელი გავიდა და რატომ არ უბრუნებს საქართველოს წართმეულ ტერიტორიებსო“.

ამ „დადგენილების“ მერე კი, დარწმუნებული ვარ, შერცხვება რუსეთს და დაგვიბრუნებს ჩვენს ისტორიულ მიწებს.

ნუთუ გაეროს და ამერიკას, ძალა თუ არა, თავმოყვარეობა მაინც არ გააჩნია, თუ რუსეთს მკაცრ სანქციებს არ დაუნესებს, ვის რად უნდა ეს ვეგეტერიანული რეზოლუციები.

ამასობაში კი ჩვენი ხელისუფლების ლამაზ-ლამაზი წარმომადგენლები სასაფლაოდან სასაფლაომდე დადიან და ქართველ ხალხს ატყუებენ:

ცოტაც კიდევ მოითმინეთ და უახლოეს მომავალში მშვიდობიანი შრომით, მშვიდობიანი გაერთიანებით, მშვიდობიანი მოლაპარაკებით, მშვიდობიანი გზით დავიბრუნებთ აფხაზეთს და სამაჩაბლოსო.

ქართული ანდაზა გამახსენდა: „ძალღსა ჰკითხეს, რად ჰყეფო, იმად, რომ სხვებს ვაშინებო, მაშ, ყეფის დროს კუდს რატომ აქიცინებო, იმად, რომ მე თვითონ მეშინიანო“.

ცისანა ანთაძე

გალაკტიონის ნაფეხურებზე,
მარტი რომ მარტობს თავქარიანი,
ცოტა არ იყოს, უხერხულია,
ლექსს შეეჭიდოს ადამიანი.

— ამგვარი პასუხისმგებლობით გამოჩნდა ქართული ლექსის პარნასზე რეზო სტურუა. „მისი პოეტური გზნება... დიდხანს ელოდა თქმის დროს და მაშინ შეახსენა თავი, როდესაც მის არსებაში ველარ დაეცა და შინაგან „მესთან“ დიალოგი ველარ იკმარა“ (თემურ ჯაგოდნიშვილი). პოეტი თავადაც ბრძანებს, რომ მისი ლექსი ვერ დაესწრო ნუმის ყვავილობას, ვერც თიბათვის სურნელს... თუმცა „თოვლს შერჩენილი კუნელივით“ მაინც მოგვეახლა სულის გასათბობად.

დიახ, კუნელის გამონათებას მაგონებენ რეზო სტურუას ლექსები. თუ როგორ აცოცხლებს კუნელის გამონათება შემოდგომის მიმცხრალ მზეს, ეს თქვენაც მოგეხსენებათ და ამაზე სასაუბროდ თავს აღარ შეგანყენთ.

რეზო სტურუას, პოეტს, არ უყვარს ხმაურიანი დარბაზები. მისი ლექსი მეტწილად რაინდული სამყაროს მკვიდრია, აუმღვრეველი სამყაროს ჭუჭყთან; მათ ლაკონიზმსა და პირდაპირობაში ბადალი არ ჰყავთ. ბადალი არ ჰყავთ გრძობათა სიფაქიზესა და პირველყოფილებშიც. შემთხვევითი არც ისაა, რომ პოეტი მოსაფერებლად თუ „საძმაკაცოდ“ გოდერძი ჩოხელს გამოიხმობს. გრძობს, რომ მას უფალი გადასარჩენად ეწვია, რათა „თეთრ ხდოსავით ამღვრეულ თერგამდე არ მიეღწია“.

რეზო სტურუას — ადამიანი-რაინდის სული სავსებით გამიჯნულია სერვანტესის გმირისაგან, მაგრამ მეტაფორული აზროვნების მწვერვალის დასაპყრობად ამხედრებულს, ოცნების რაინდთან თვალსაჩინო შეხების წერტილი აქვს. დასტურად, ლაღად და დამაჯერებლად ჟღერს პოეტური ფრაზა — „დრო ჩემსავით დონკიხოტობს, ქარის ნისქვილს ებრძვის დაშნით“.

პოეტის მალალადამიანური ფიქრების ანარეკლია ლექსი, რომელშიც კედელზე მოდებული სუროს დანიშნულებას ავლენს — „ფიქრობს, რომ კედელს იგი იკავებს“.

ვაჟიშვილთან პოეტის გულახდილი საუბარი წინაპართა დაფასების იშვიათი ნიმუშია — „რომ მაგრად მწამს და ხმამალა ვამბობ, რომ მამაჩემი

ჯობდა მამაშენს“.

რეზო სტურუას პოეზიის ჭეშმარიტი მკითხველი იტოვებს შანსს, სულ სხვა სიმაღლიდან შეხედოს პოეტს, რომელმაც სიზმარული ბურანიდან გამოიტანა ცეცხლწაკიდებული პოეტური ფრაზა —

„ფეხბურთის ბურთის მაგივრად მზეს ვაგორებდით ბიჭები“.

არ უყვარს მყვირალა, თვალის მომჭრელი ფრაზები და ყალბი პათეტიკა. აკი თავადაც ბრძანებს — „ბალახს

მალალი პოეტური ესთეტიზმით...
(საუბარი რეზო სტურუას პოეზიაზე)

წვიმა ზრდის და არა ჭექა-ქუხილი“-ო.

რეზო სტურუას პოეტურ კრებულებში გვერდს ვერ ავუვლით მხატვრული ორნამენტიკით შემკულ საჩინო მეტაფორულ ეპითეტებს. ისინი უშუალოდ ავტორისეულია, რეზო სტურუასეულია. წარმოგიდგინო რამდენიმე მათგანს: „ყანის წვერზე შეისვენა მუზამ, რქანთელში აბანავებს ბრჭყალებს“; „საყდრის თავივით ღარიბი“ კაცი ხომ სატელიტივით აგვეკიდება და საამო ღიმილითაც გვასაჩუქრებს. მკითხველს სალაღობო განწყობილებას უქმნის მოქნილი ფრაზა — „მონყენას მხარზე აჯდა ხალისი“.

მალალი პოეტური ესთეტიზმის მაჩვენებელია პოეტური სამკაულებით დამშვენებული სხვა არაერთი სტრიქონი: „ალიონისკენ მოხუცი მთვარე აკრეფს ვარსკვლავებს და გათენდება“, „კოლხმა სული აუშვა და ზეცას მიწვდა „აპაულა“, მთვარე მოტაცების შიშით ნაბლის წვერზე განაბულა“.

უნდა ითქვას ისიც, რომ რეზო სტურუა, პროფესორი, ქართული ლექსის პალიტრაზე ტექნიკური მეცნიერების სფეროდან „შემოიჭრა“. ეს კარგად ჩანს მისი ერთ-ერთი პოეტური კრებულის სათაურშიც „n+1“. შემოიტანა ამგვარი ფორმულა და განსაზღვრა მისი თანმიმდევრულობა და უწყვეტობაც.

გამომდინარე ყოველივედან, არ არის რეზო სტურუას ლექსის სამყარო ერთფეროვანი. აქ არის პატრიოტული ლირიკაც, სამამულო სევდა, ქრისტესმიერი სიყვარულის თემა, ეგრეთწოდებული ცივილიზაციით განპირობებული მეტამორფოზა, ზოგადად ქართველი კაცისა...

ლექსთა კრებულები მთელი საქართველოს მომცველია. დაკვირვებას პოეტი ახდენს მისივე ბავშვობიდან დღემდე აღქმულ ასპარეზზე. ყველა

ლექსში ქართული სული ტრიალებს. აქ სევდაც ქართულია, სიხარულიც, მონატრებაც, სიყვარულიც. ამის მიზეზს პოეტი ძალზე გასაგებად გვიხსნის ლექსში „მე ქართველი ვარ“, რომლის მიხედვით მისი ნიჭი „ვაჟას აკვანში დარწმუნა“, სული ილია მართლის გამოყოლია, ოცნება გალაკტიონის გალექსილი აქვს, გონი — რუსთაველის სიბრძნით გაკეთილშობილებული.

რეზო სტურუას პოეტურ სივრცე-

ში სერიოზული ადგილი სევდის გეოგრაფიას უჭირავს. მიზეზი თვალსაჩინოა, დრამატიზმი პიკს აღწევს, — ქართველთა ერთობის მძებნელი ამაოდ დამშვრალა, ჯვარზეა გაკრული ქრისტეც და საქართველოც; პოეტს, აფხაზეთისკენ გამონვდილი ხელის გულზე მორცხვად დაუსვამს მობოდიშება...

ქალის თემა სისხლხორცეული ნაწილია ქართული რაინდული პოეზიისა. რეზო სტურუას ხელწერა აქ ნაღდად გამოჩნეულია. პოეტის გაფაქიზებული სული, რომელიც გრძნეული შოთას მიერაა განვრთნილი და „ფესვებზე დაგეშილი“, მზადაა დუელში გამოიწვიოს ხელოვანი, რომლებმაც ხუროთმოძღვრებაში საყრდენ სვეტად ქურუმი ქალები, კარიატიდები გამოიყენეს.

პოეტის ლექსი („კარიატიდებს“) ის თეთრი ხელთათმანია, რომელიც რაინდი დუელიანტის ნებას გამოხატავს —

— „საშველად დავლაშქრავ
ელადის ტრამალეებს,
მოვალ არტემიდას,
კაცურად გპირდებით,
ოლონდ თქვენ დაგიხსნათ
ამ მძიმე ტვირთისგან,
ღმერთებსაც შევუტევ
და დავეჭიდები“.

ამგვარი განაცხადი მოულოდნელი არაა იმ ქვეყნის შვილისათვის, სადაც „ქართველის დედა“ მთანმინდიდან მთას შუბლით ეხება.

უფრო მეტიც — პოეტი-რაინდი რეზო სტურუა შუბმომარჯვებული ესარჩლება „საშოვარზე წასულ ქართველ ქალსაც“. მათშიც კარიატიდს მოიხზრებს. „დაჩოქილი სირცხვილის შვილი“ და ლექსით თანაუგრძობს.

რაკი ქალზე ჩამოვარდა საუბარი, დავსძენ — სასიყვარულო ლირიკა რეზო სტურუასთან ერთგან მცირე

ლირიულ-მუსიკალურ ნაწარმოებთა ციკლში („ოცნებები ფარფატებენ“) ერთიანდება და აპოგეას აღწევს სტრიქონებში:

„ეგ ტურები მაგონებს
ჩაშაქრებულ ზედაშეს,
ცაში მხოლოდ მთვარეა,
აქ, ზღაპარში, მე და შენ“.

პოეტი ლექსის თემატურ მინდორზე საპატიო ადგილს უთმობს ბათუმს. ბათუმისა, და ზოგადად აჭარის თემა რეზო სტურუასათვის საამური ჟრუანტელის მომგვრელია.

არავინ შემედაოს, თუ ვიტყვი, რომ ბათუმი ქართული ლექსის თავმოსანონებელი „გეოგრაფიული ლანდშაფტიცაა“.

რეზო სტურუა — სამშობლოს მომღერალი გვერდს უვლის პათეტიკას. მამულისათვის მოსაფერებელ სიტყვებში მეტწილად კრძალვა იკითხება. სიყვარულს კი სტრიქონ-სტრიქონ თანაბრად უნაწილებს საქართველოს ყოველ კუთხე-კუნჭულს.

მონატრების წყურვილს მოგზაურობით იკლავს. ხან სამცხე-ჯავახეთს მოინახულებს, ხანაც სვანეთს და პოეტური წარმოსახვით „უშბის თოვლის ფაფარს“ ვარცხნის.

ღირსებას დიდგორით აღიქვამს, დარდი ცხრა ძმის საფლავს უკავშირდება, სიმღერებიდან „შავლეგოს“ გამოარჩევს; ერთგან, გამახვილებული პოეტური სმენა ათქმევინებს, რომ „მკერდი უწივის ბებერ ბახტრიონს“. შორით ალგეთის ლეკვების ყმუილიც ესმის.

აფხაზეთზე ფიქრიც არ ასვენებს ჭეშმარიტ მამულიშვილს და იმედიანი განწყობილებით გვავსებს — „და მაინც მჯერა, ქვაყრილზე, სადაც სისხლია შემხმარი, მზეს მოდრეკს, ნაპირს მიაღწევს დაღლილი თარამ ემხვარი“. („აფხაზ ძმას“).

პოეტი ზოგჯერ აზრის გამოსახატავად ოსტატურად იყენებს მსუბუქ იუმორსაც. საილუსტრაციოდ ამჯერად მხოლოდ ერთ სტროფს მოვიყვან ლექსიდან „დეპუტატი მიდის ხალხთან“ —

— „დეპუტატი მიდის ხალხთან,
თვითონც არის კმაყოფილი,
ორი ბოთლი პეპსი მიაქვს,
„სამი კილო კარტოფილი“.

ვფიქრობ, კომენტარებიც ზედმეტია!

რეზო სტურუას ლექსებისათვის დამახასიათებელია მხატვრული ცნობიერების ორიგინალობა, სისადავე, დახვეწილობა, თვითგანცდის ორიგინალურად, ლაკონურად გადმოცემის ნიჭი.



მთვარისა კერესელიძე

„მწერლის გაზეთის“ წინა ნომერში, როდესაც დავბეჭდეთ ნეკროლოგი მთვარისა ჭყოიძის გარდაცვალების გამო, სამწუხაროდ, გაგვეპარა შეცდომა. ბოლო აბზაცში მთვარისა ჭყოიძის ნაცვლად ეწერა მთვარისა კერესელიძე, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით ქალბატონ მთვარისა კერესელიძეს.

ეს დღე

ეს დღე სხვა ოცნების კომპებს აგებს, მხატვრის ნახატიდან გადმოსული, ვგავარ მიტოვებულ სარკოფაგებს, ნამეხარ მუხასავით მარტოსული! დავალ მკრთალ განტოლებასავით დრო ამკიდებია სახადივით, მხატვრის ოცნებიდან გადმოსული, დაუმთავრებელი ნახატივით! სხვა ხატი იმზირება სახატიდან, საქმე კი ხელიდან წასულია, სულის უნაზესი კუნჭულები, სათნოებისათვის დახშულია...

ეს დღე კვლავ ოცნების კომპებს აგებს!

როდემდე გვღევი, ჟამო, ტიალო!

ისევ ღიაა ერის ქრილობა - მამულისათვის არის ცილობა, როდემდე გვღევი, ბედო, ტიალო? - ...და უგზო-უკვლოდ ცის კიდეებზე, კვლავ ჩემი სული დახეტილობს! ვიცოდეთ მაინც, საით მოხვედით, ნუხს ია-იით მოფენილი ჩემი კოლხეთი! - ასეთ სასწაულს ვილა ელოდა? მზეს ეფარება ჭირხლი ჭილოფად, განდევნილია ლექსიც, ღმერთიც საქართველოდან, ისევ ღიაა ერის ქრილობა!

როდემდე გვღევი, ჟამო, ტიალო?!

ნატავი, საით მივექანებით?

აშრილებდა ქარი ნუხელ ხეს, აფრილებდა დილა მერდინებს... ნუთუ ვერაფერს ვერ მოვუხერხებთ, თანამედროვე ჯალაღედინებს! ქრის შხამიანი ისარი მკვეთრი და იღვიძებენ ჩინგიზ ხანები, კვლავ ბრუნავს ბედის კამათელი - გრძნეული ეტლი, ზღვასავით ვრცელი შრილებენ - ფიქრის ყანები: - ნეტავი, საით მივექანებით?..

უფალო ჩემო!

უფალო ჩემო, სურვილთა ზემოთ, ქრიან ფრთალაღი თეთრი ნისლები... ან სიხარული ვით დავიჩემო, სული თუკი მაქვს დანაისრები! უფალო ჩემო, სიცოცხლის გემო, ვერ შევიგრძენი დღემდე სულებით და სისხამ დილით ამოვა მზე, რომ შენ ქარის ხმაზე მეჩურჩულები: - განსაცდელშია დღეს საქართველო! უფალო ჩემო! უფალო ჩემო!

ფოთოლცვენა

ფოთლებმა ისე მოფინეს ველი, (დღე შემოდგომის არაფერს არ თმობს!) ცა იმზირება თვალებით სველით, ხან ქარი უსტვენს, ხან ზეცა ავდრობს! ...ივრის ჭაღებში ბულბულთ სტვენაა, მონმენი გაფხდით რამდენი რამის! თუ განმკითხავი მხოლოდ ზენაა, აქ არსაიდან არ ისმის ჩქამი - ფოთოლცვენაა!

ბერდია ბერიშვილის ხსოვნას

არსად არ ისმის შენი ხსენება, იმ საუკუნის დასასრულიდან, ვილაც მომძახის, ხან წარსულიდან, ხან ჩამავალი მზე მეჩვენება! ამომავალი ქრიან ბინდები, ნაფლეთ-ნაფლეთად და გარინდებით... მიქრიან ცაზე ღრუბლის ფთილებად, ფიქრიან, სავსე მზეს ეცილება - ნიავე ივრის! როდემდე ივლის ფეხშიშველი - ივლისის დილა, ან ფეხაკრეფით, ან ფრთხილად?.. არსად არ ისმის შენი ხსენება! - და მეჩვენება, რომ წარსულიდან, იმ საუკუნის დასასრულიდან, - ამომავალი ქრიან ბინდები, ნაფლეთ-ნაფლეთად და... გარინდებით!

ისევ უკან ვიყურები, ველარ გადავეჩვიე! - წამოზრდილან პიკულები, მწკრივად რომ მაქვს დარგული. უამრავი ტიტულებით მიცქერიან ფიტულები... სამშობლოდან სადღაც გადაკარგული! ისევ უკან ვიყურები... წინ გზა არ ჩანს - ნაგზაური დარჩენილა მხოლოდ! გაყიდული სამშობლო და... ორი გროში საზღაური - გვრჩება ბოლო, ბოლო, - ჰოდა! - უკან ვიყურები!..

ბაბუა

სიმონ კერესელიძის ხსოვნას

სულ თუთას თლიდა სააკვენს, მუდამ, სულ ვიდრე შვილობდა, ცდილობდა საშვილიშვილოდ, ქვეყნის სატირალს ტიროდა... რა აღარ გამოსდიოდა, იმ დალოცვილი ხელიდან, მზე როცა ამოდიოდა სამეფო თიხას ზელდა. სამეფო თიხას მოზელილს, ზოგჯერ ხელახლა ზელდა და ასე ნუთისოფელი ეპარებოდა ხელიდან...

სულ თუთას თლიდა, სააკვენს!

კოკა ავსებას ნატრობდა, მოქუხდა წყარო, მთისა და... მზე იცინოდა წყაროსთან მარტოკა დედაბრისა და... კოკისთვის სადღა ეცალა ცით ჩადიოდა მზე ცალად!

რომ მარწმუნებდით, ვუსმენდი იმ ხმას და არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა, რომ ამ ხილული სამყაროს მიღმა ულამაზესი სიცოცხლე ფეთქდა!

და თუ წავედი, კვლავ თქვენი ნებით იმ აუხდენელ ნათელ სიზმრებად და სურვილებით სავსე მიზნები კლდის პიტალოებს შეეხიზნება!

აღარცა ღელვა, არცა შფოთვები, არ წავიკითხავ ნიცშეს, დიკენსებს... და ტკივილები იის ფოთლებით, მზის ყაინაღით ამომიკემსეთ!

ბალატიონი

ნეტავ, ამ ქვეყნად რისთვის მოვედი, რომ უდიდესი ვიყო პოეტი?! თუ მამულის ცა რომ მოვიმღერო, ცა - ულურჯესი ლერწამის ღერო!

ფრთამოტეხილი მიფრინავს წერო, ეს ჩემი სულის ნაზი ზმანება, გავძლებ უღელქსოდ და უსიმღეროდ? „მივდივარ, ვნუხვარ და მენანება!“

თუ სამშობლოს ცას ვერსით ვპოვებდი, რისთვის მღეროდა ლერწამის ღერო? „ნუთუ ამ ქვეყნად მისთვის მოვედი, რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო!“

უფალმა მისცათ გაძლება განფენილიყვენ ტაძრებად! რჩეული გენი არ ცხრება, არც არასოდეს მარცხდება! სიმღერა ლერწმის ყელიდან, მოფინება სამყურებს... და ქართლის გასასვლელიდან, საუკუნეებს გაჰყურებს! ძლიერი ორბის ფრთებით და ჭაბუკურ შემართებითა!

საოცარია

საოცარია, სული ისევ როგორ მზიანობს, ან ჩონგურის სიმს „ოროველა“ როგორ მოება, ან ქონგურები როგორ უნდა აახმიანო, ან სიყვარულის ვინ მოგიძღვნა ოდენ, პოემა?! საოცარია! - დღეს სულ სხვაა გარემოება!

აღილო... აღილო... მახსენდება იმ წამს, როგორ სისხლით ვიცავთ, დროო, საქართველოს მიწას! ვერ ვიბრუნებთ, დღემდე, ხო...ო... სოხუმსა და რინას! ცრემლიანი ვზივარ ახლაც, - საწერ მაგიდასთან, ისევ მიწვევს სიტყვის დახლა, ჩემს მეზობელ ძმასთან! - ისევ სისხლით, ისევ სისხლით, ისევ სისხლით ვიცავთ, ვინარჩუნებთ მისხალ, მისხლით, საქართველოს მიწას!



ნომადი ბართაია – 75

75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და მეცნიერი ნომადი ევგენის ძე ბართაია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ძვირფასო ბატონო ნომადი!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან დიდებულ შემოქმედსა და მეცნიერს, ქართველ ირანისტა გამორჩეულად კოლორიტულ წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 75 წლისთავს.

1967 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ აღმანახ „პირველ სხივში“ გამოაქვეყნეთ პირველი თარგმანები და მას შემდეგ თქვენი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები – ლექსები, მხატვრული თარგმანები, იუმორისტული მოთხრობები, მოგონებანი, მეცნიერული მონოგრაფიები და სტატიები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

მთელი თქვენი შეგნებული სიცოცხლე ქართულ-ირანული ლიტერატურული და არა მხოლოდ ლიტერატურული ურთიერთობების კვლევას მიუძღვნით და ამჟამად სრულიად სამართლიანად ითვლებით ერთ-ერთ წამყვან ირანისტად საქართველოში. ამის დასტურ-

ია თქვენი საკანდიდატო დისერტაცია „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობებიდან (კლასიკური სპარსული ლირიკის ქართული თარგმანები)“ და არაერთი საყურადღებო ისეთი კრებული, როგორცაა „ირანული ჩანახატები“, „საერთაშორისო კონგრესი, მიძღვნილი ისპაჰანური სკოლისადმი“. „ქართული საყვავილე ირანული ვარდებისათვის“, „ქართულში შემოსული ქართული ლექსიკა იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონის“ მიხედვით“, „ქართულ-ირანულ ურთიერთობათა უპრეცედენტო 20 წელი“, „კულტურული ურთიერთობანი გრძელდება (2013-2018)“, „საქართველო და ირანი“, „მე შაჰრიარის ქუჩაზე ცვხოვრობ“, „თავრიზის მზე“, „სპარსული ენა და ლიტერატურა ირანს გარეთ“, „აბას აბადის ბაღები“, „ქართულ-ირანული ლიტერატურული ენობრივი ურთიერთობანი“, „სპარსული ლიტერატურის ქრესტომათია“ (იდეის ავტორი და თანაშემდეგენელი), „ფირდოუსი მეორე ათასწლეულში“, „დილოგი რელიგიათა შორის“, „სპარსული პოეზიის ქართული თარგმანები დედნებითურთ“ (თანაშემდეგენელი), „დილოგი ცივილიზაციათა შორის“, „ცივილიზაციის გზაჯვარედინზე“, „დავით აღმაშენებლის ერთი დამსახურების შესახებ“... უნდა ითქვას, რომ არ გვეგულება მეორე პრეცედენტი, სადაც ასე საფუძვლიანად ყოფილიყო შესწავლილი საქართველოს ურთიერთობა რომელიმე სხვა ქვეყანასთან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.

თქვენი ნაყოფიერი მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობაც ირანისტიკასთანაა დაკავშირებული. ლექციებს კითხულობდით და კითხულობთ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტებში, არჩეული იყავით ირანისტიკის კათედრის გამგედ თსუ-ში და სულხან საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტში, რედაქტორობდით ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოსთან არსებულ ქართულ და სპარსულენოვან ჟურნალ „კალამს“. არჩეული ხართ თსუ-ს აღმო-

სავლური ფილოლოგიის დეპარტამენტისა და ირანისტიკის მიმართულების ხელმძღვანელად, სამეცნიერო ჟურნალების („ქართველოლოგიური მემკვიდრეობა“, „წელიწადწიგნი“, „სამეცნიერო აზრი“, „ისლამი და ქრისტიანობა“) სარედაქციო კოლეგიების წევრად. სისტემატურად მონაწილეობთ ირანში ჩატარებულ საერთაშორისო კონგრესებში და მუდამ ღირსეულად წარმოაჩინთ ხოლმე თქვენს საესავე სამშობლოს.

ბრწყინვალე მთარგმნელი ხართ და ჩინებულად თარგმნეთ სპარსული კლასიკური (რუდაქი, ჯელალედინ რუმი, ხაყანი შირვანელი, ნასერ ხოსროვი, ომარ ხაიამი, ქამალ ხოჯენდი, სეიდ ჰასან ლაზნელი, საადი შირაზელი, შაჰრიარი...) და თანამედროვე (ნადერ ნადერფური, ახაკან სალესი) პოეზიის ნიმუშები, აგრეთვე საიდ ჯაფარ საიდის წიგნი „ცხოვრება მუჰამადისა“, იმამ ხომენისადმი მიძღვნილი კრებული „მწვანეზე მწვანე“... ომარ ხაიამისა და საადის პოეზია ცალკე წიგნებად იხილა მკითხველმა, დანარჩენებმა კი თავი მოიყარა უმშვენიერეს კრებულში „რა საამოა დღეს შენი სახე“. სპარსულად თარგმნეთ ილია ჭავჭავაძის „ნიკოლოზ გოსტაშვიტი“.

ის, რაც ჩამოითვალა, ერთი ადამიანის ღვაწლისა და დამსახურებისათვის სრულიად საკმარისი უნდა იყოს, თუმცა რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ თქვენი სახით თანამედროვე ქართულ პოეზიას ერთ-ერთი ჩინებული წარმომადგენელი ჰყავს. თქვენი პოეტური კრებულები („ლექსები“, „ვიღაცას აივანი აუყვავებია“, „მზესავით ითხოვ არაფერს“, „იმ წლის შემოდგომის მთვარე“, „მე გიცნობთ ყველას“, „ასი ლექსი“, „ლირიკა“ (ერთტომეული), „თბილი ქარები“, „მე ისიც მიყვარს, მინახავს ვინც არ“) ხომ იმ დიდზე დიდი თვისებით გამოირჩევა, რომ მათი ავტორი ბავშვის აუმღვრეველი სულითა და ფართოდ გახელილი თვალებით უმზერს სამყაროს და იქ, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, არაფრისმთქმელ საგანსა თუ მოვლენაში, იმხელა მადლსა და სიკეთეს პოულობს, რომ თავადაც ბედნიერი მკითხველსაც აზიარებს სათნოებისა და კეთილმო-

ბილების სასწაულებს. თქვენს პოეზიას დიახაც რომ გამოარჩევს სისადავე, შინაგანი დრამატიზმი, უშუალობა და ორიგინალობა...

წლების განმავლობაში თქვენი იუმორისტული მოთხრობები სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალ „ნიანგის“ ფურცლებზე და ცალკე კრებულებადც გამოიცა („არ დამინეროთ ფრიადი“, „მიშველეთ“, „მიყვარს ცურვა“, „მხიარული შეხვედრები“, „მხიარული ავტობიოგრაფიული ჩანახატები“ (ორ წიგნად). თქვენი, იუმორისტის, ძალმოსილება თვალნათლივ გაცხადდა თქვენი და ჩვენი უნიჭიერესი კოლეგის ზეზვა მედულაშვილისადმი მიძღვნილ კრებულში „ჩვენი ზეზვა“, რომლის გარეშეც დღეს უკვე წარმოუდგენელია ბატონ ზეზვაზე საუბარი.

მშვენიერი წიგნი მიუძღვნით დიდი ქართველი მწერლისა და მეცნიერის მაგალი თოდუას ხსოვნას („ბატონი მაგალი“). საკადრისი პასუხი გაეცით ქართული კულტურის დაკნინების მსურველთ კრებულთ „მცდელობა ქართული კულტურის დისკრედიტაციისა“...

ქართველმა ბავშვებმა შეიყვარეს თქვენი საყმანვილო კრებულები „მეც გამიშვით სკოლაში“ და „ღრუტუნისას გასაჭირი“...

თქვენი მუხლჩაუხრელი მრავალწლიანი მოღვაწეობა აკაკი წერეთლისა და ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიებით აღინიშნა. ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ დაგაჯილდოვათ XX საუკუნის დიდი ირანელი პოეტის შაჰრიარის კულტურის საერთაშორისო მედლით. მონიჭებული გაქვთ „ჭადრის ოქროსფერი ფოთლის“ პრემია, არჩეული ხართ მარტვილის საპატიო მოქალაქედ.

ჩვენო ნომადი!

კიდევ ერთხელ სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს უძვირფასეს კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ ადამიანურ ბედნიერებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ჩემო ნომადი!

თანამედროვე ქართული პოეზია და აღმოსავლეთმცოდნეობა შენს გარეშე ვერ წარმოგვიდგენია. აღმოსავლეთმცოდნეობაში ვგულისხმობ, უპირველეს ყოვლისა, შენს მშვენიერ თარგმანებს სპარსული პოეზიიდან და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობებისათვის ნათელისმომფენ იმ მშვენიერ მეცნიერულ გამოკვლევებს, რითაც არაერთგზის გაგვახარე.

მწერალთა კავშირში ჩემი განზოგადებული სამსახურის გამო საღამოს სახლისაკენ მიმავალს ჩემი ძვირფასი მეგობრების ნაჩუქარი წიგნებით სავსე დიდი აბგამიმექს, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდის ამ წიგნების ავტორებს. ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ არც ერთი ნაჩუქარი წიგნი განზე არ გადამიდვია, ყველა წამიკითხავს და ავტორს შევხმინებოვარ, მაგრამ მაპატიოს ყველამ, თუ ნომადი ბართაიას წიგნს, უპირველეს ყოვლისა, ვკითხულობ. ლექსების კრებულია და როგორი სადა, ლაპიდარული ენით და ჩურჩულის ინტონაციით დაწერილი ლირიკული შედეგებია. თითქოსდა შენც ავტორის გვერდით ხარ, მას დაყვები კოლხეთში, ფშავ-ხევსურეთში, თბილისში, კახეთში იალაღებზე და მისი დაუფინყარი ლირიკული ხილვების თანამონაწილე ხდები. თარგმანების კრებულია და რა ფაქიზი გემოვნებით არის შერჩეული სპარსული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები და ისეთი მაღალი პროფესიონალიზმით არის თარგმნილი, რომ ქართულად დაწერილი გეგონება. ამ საქმეში შენ შენი დიდებული მეგობრების და მასწავლებლების: მაგალი თოდუას, დავით კობიძის, ალექსანდრე გახარიას და ვახუშტი კოტეტიშვილის შემოქმედების ღირსეული გამგრძელებელი ხარ.

რაც შეეხება სახელგანთქმული სწავლულის, პროფესორ ნომადი ბართაიას სამეცნიერო მოღვაწეობას, მთელი პასუხისმგებლობით უნდა ვთქვა, რომ აქაც უზადო და შეუცვლელი გზამკვლევი ხარ. შენ ერთ-ერთმა პირველმა მიაქცევინე მკითხველს ყურადღება სპარსული და ქართული ლიტერატურის ურთიერთგავლენაზე, დიახ, ურთიერთგავლენაზე, რადგანაც თუ დიდი სპარსული მწერლობის კვალი შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურას ძალუმად ეტყობა, არც საქართველო დარჩენილა დიდი სპარსი პოეტების ყურადღების გარეშე და შენმა მახვილმა თვალმა ისიც კარგად შენიშნა, რომ ორი დიდი კულტურის ურთიერთგავლენა მიიყვანა დავით აღმაშენებლის და თამარის ეპოქა რელიგიურ-ფილოსოფიურად თვითმყოფადი, სრულიად ახალი ლიტერატურის დაბადება-აღორძინებამდე.

ეს რაც შეეხება შენს ადგილს ქართული კულტურის ისტორიაში. ახლა ორი სიტყვით იმაზეც ვთქვათ, რა თბილი, რა ერთგული, რა უანგარო მეგობარი და რა სამაგალითო ქართველი ხარ. არ მახსოვს შენი ოდნავი დაქვევება და ოდნავი გადაცდომაც კი, როცა საქმე ქართველის ბედს შეეხება. საქართველო განერია გულის ფიცარზე და ყოველთვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანამდგომი და თანამგრძნობი იყავი და ხარ.

ამაყობს შენით ქართული უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს მწერალთა კავშირი.

„მაგრად დექ“, ჩემო ძვირფასო მეგობარო!

რევაზ მიშველაძე

გამოვიდა პანტომიმის თეატრის დამაარსებლის და ხელმძღვანელის, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის, ახლახან გარდაცვლილი ამირან შალიკაშვილის ლექსების კრებული „დუმის შემდეგ“, რომელიც მისმა შვილებმა დიდი რეჟისორის მაგიდის უჯრაში აღმოაჩინეს.

პოეზიით განათავსებული გზასაპალი

ამირან შალიკაშვილი პოეზიით ცოცხლობდა. პოეტური ცეცხლი გიზგიზებდა მის არსებაში. პოეტური იყო მისი ყოველი ნაბიჯი ხელოვნებაში. პოეზიით გაჯერებული გახლდათ მისი ყველა სპექტაკლი. პოეტური იყო მისი გამოსვლები ფარდის წინ და მის მიერ ნათქვამი სადღეგრძელოც.

„გალაკტიონზე“ მთელი გატაცებით მუშაობდა. ვაგლახ, პრემიერამდე დაფერფლა მისი გული პოეზიის ცეცხლმა. პოეზიის იგავმიუწვდომელ მშვენიერებას, რუსთაველის გრძნეულებას მიუძღვნა ბრწყინვალე სპექტაკლი - „ვეფხისტყაოსანი“.

ის, რაც დღემდე ვერც ერთმა თეატრმა ვერ შეძლო, ამირან შალიკაშვილმა განასრულა, რუსთაველი ამეტიყველა დუმის ენაზე. პოეტური ცეცხლი, რაც გადარჩებოდა ამირანის უმთავრეს ბომონს - თეატრს, ამირან შალიკაშვილი ლექსებში სდებდა. ლექსს თითქმის ყოველდღე წერდა. გამოსცა რვა კრებული. ჩვენი მეგობრობა ორმოცდაათ წელს ითვლიდა.

როცა მივიდოდი, სანამ თეატრზე დავიწყებდით საუბარს, უპირველესად იმ დღეს დანერგულ ლექსს წამიკითხავდა.

უამრავ მსოფლიო კონკურსში გამარჯვებულს, უამრავი თეატრალური ჯილდოსა და პრემიის მფლობელს „მწერლის გაზეთში“ დაბეჭდილი ლექსი ბავშვივით უხაროდა.

მწერალთა კავშირის წევრობა ეამაყებოდა. გამოსაცემად გამზადებული ეს ხელნაწერები მისი მაგიდის უჯრაში ვიპოვეთ. და აჰა, კიდევ ერთი უკან მიდევნებული ლამპარი დიდი მაესტროს უკვდავსაყოფად.

რევაზ მიშველაძე
საქართველოს სახალხო მწერალი,
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

სოფლად ვიყავი, მოვინახულე,
მოვინახულე მწვანე ბალახი,
ზეციდან წვიმის ცრემლი დავწურე,
აღმოვაჩინე ჩემი წარსული.
მთვარე და ღამე ტანჯვით მავალი,
იმ დღეს არ იყო ღამე მართალი,
სადღაც ყოიდა ჩემი მამალი,
იბადებოდა სოფლის ზღაპარი.


მე ვერავინ ვერ გამასწრებს,
იმიტომ, რომ არვის მივდეგ,
გაქცეულ დროს ვინ დამანეწეს,
ქარო, შენგან უკან ვიხვევ.
არც ქარი ვარ, არც ზღვის ტალღა,
წინ მივდივარ, იქნებ, იქნებ,
ვერიდები ღამის სიზმრებს
და უნიჭო ვირის ნიხლებს,
შინდის ფერი, ფერი შინდებს,
ზეცა ზეცის ფერებს იხვევს.

ერთი სიცოცხლე შესწირო თეატრს...

ბატონ გიგა ლორთქიფანიძეს


ერთი სიცოცხლე
შესწირო თეატრს,
ეს მხოლოდ ღმერთის განაჩენია.
შენ ღმერთს ეკუთვნი,
შენ მზეს ეკუთვნი,
შენში რაც არის, ის ხომ ჩვენია!
თეატრალური ერთი ზღაპარი
ქართულ სამყაროს შემორჩენია.
ქართულ თეატრში შენი ნავარდი
ეს ხომ შენია, მერე ჩვენია...
შენ იყავ შენი ნიჭით მართალი,
სცენაზე გედი აგიფრენია.
ქართული სცენის საჭეს მართავდი -
გიგა, გიორგი, ნიჭი, გენია...
მანაც არსებობს ცის სამართალი,
ცაში ხომ მუდამ სამი ფერია,
ზეცის სიცოცხლე შესწირო თეატრს
ეს მხოლოდ ღმერთის განაჩენია,
შენ ღმერთს ეკუთვნი,
შენ ერს ეკუთვნი,
შენში რაც არის,
ის ხომ ჩვენია!

შემოირბენს წვიმა ფეხით,
თოვლი მოსდევს, ზამთარია,
ქარი დარბის ცემა-ტყეებით,
მთვარის შუქი ჩამქრალია.
სად გარბიან ღამაზე,
ყველა წყარო დამშრალია,
გაქცეულან ყვავილები,
აღარ სჩანან, რა ხანია.
ოცნებები მიმალულან,
ვხედავ - ცაში ღალატია,
გოგონები გაპარულან,
მთვარის შუქი ჩამქრალია.



ამირან შალიკაშვილი

კი არ დავიღალე, ვგრძნობ, რომ დავიტანჯე,
ჯვრის თრევით, ღმერთო, ლოცვის გზას ვენამე,
მხრებში მოვიხარე, ღამით ვინანაღლე,
ცხოვრების გზა ტანჯვით, ტანჯვით გავიარე.
სიხარულით ვერა, მე ვერ გავიხარე,
ბოროტებას, მტრობას, ვერსად დავემალე,
ხე დავრგი და ვერსად მე ვერ გავახარე,
ცაზე ირწეოდა ღრუბლიანი მთვარე,
ქალი შევიყვარე, ეშმაკს გავეყარე,
გულზე მშობლიური მიწა დავიყარე,
ციდან ვეცემოდი, ვაზი შევიყვარე.
ვარდი, დილის ია ერთად შევავაგარე,
თეთრი გედი ცაში ფრენით ავიყვანე.
ქალის თვალთა ხედვა თვალთ შევიყვარე,
ბროწეულის ფეთქვა წვეთ-წვეთ ჩამოვღვარე,
დავაშავე, ზეცავ, ვიცი, დავაშავე,
რომ ამ ქვეყნის მთები ვნახე, შევიყვარე,
მზე ცით ავიყვანე, სხივთა სხივი ვთვალე,
ხე ჩემი დარგული ვერსად გავახარე.



მერაბ ბერიძე — 70

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მერაბ იოკიმეს ძე ბერიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბატონო მერაბ!

ჩვენო უღალატო მეგობარო და კოლეგავ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან სიკეთითა და სიქველით გამორჩეულ დიდებულ პიროვნებას და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო სარბიელზე 1967 წელს გადადგით, როდესაც გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსი „მეგობრობა“. სწორედ მეგობრობის, სიყვარულის, მოყვასისადმი თანადგომის აპოლოგეტად გიცნობთ საუკუნის ნახევრის განმავლობაში და მტკიცედ გვწამს, რომ სხვანაირად არც შეგიძლიათ არსებობა. ამ უმშვენიერესი იდეალებითაა განმსჭვალული თქვენი პოეტური კრებული „უნდა იფხიზლო მაშინ, როცა მგლებსაც კი სძინავთ“.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართულ მეცნიერებას, დავაზუსტებთ, ქართულ ონომასტიკას თქვენი სახით ძალზე მნიშვნელოვანი, მასშტაბური მკვლევარი ჰყავს. ამის დასტურია თქვენი როგორც საკანდიდატო („ჯავახეთის ტოპონიმია“ — 1986 წ.), ისე სადოქტორო („მესხური ტოპონიმის სტრუქტურული და ისტორიული ანალიზის პრობლემები“ — 2005 წ.) მონოგრაფიები. თქვენი მეცნიერული ნაბიჯები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული, სადაც 1973 წლიდან ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმის ლაბორატორიაში დაიწყეთ მუშაობა ჯერ ლაბორანტად, მერმე კი მეცნიერ-თანამშრომლად და უფროს მეცნიერ-მუშაკად. კარიერის გაგრძელება იქვე დიდი წარმატებით შეგეძლოთ, მაგრამ შინაგანმა ხმამ გიკარნახათ, რომ ძალზე სჭირდებოდათ მშობლიურ კუთხეს — მესხეთს და 1990 წლიდან სათავეში ჩაუდგეით თსუ ახალციხის ფილიალს. თქვენვე ჩაუყარეთ საფუძველი თსუ ჯავახეთის ფილიალს და დიდხანს იყავით მათი დირექტორი. ეს ფილიალები თქვენ ქართველი და სომეხი ახალგაზრდების აღზრდის, მათი დამეგობრების უმძღავრეს კერებად აქციეთ. 2012 წლიდან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, ხოლო 2014 წლიდან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყავით. ამჟამად რექტორის მოადგილე ხართ სამეცნიერო დარგში და ჩვეული გატაცებით ემსახურებით საყვარელ საქმეს.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი არჩეული იყავით საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორად.

თქვენი მონოგრაფიები და სამეცნიერო ნაშრომები „ტაძრები და სახელები“, „სოფლები და ნასოფლარები მოგვითხრობენ“, „ზევილი და მისი შემოგარენი“, „ნასოფლარი ერკოტა“, „მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდლობა“, „ასპინძა და ასპინძელობა“ ჩვენთვის ანთებულ კელაპტრებს წარმოადგენს, ქართული სისხლით შეფერილი მათიანის სადიდებლად დანთებულს.


თქვენი რედაქტორობით გამოიცა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული „გულანი“ და ლიტერატურული და სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „არავი“. დამფუძნებელი და სარედაქციო საბჭოს წევრი ხართ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთისა“. იყავით სამეცნიერო ჟურნალ „ქართველოლოგიის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.

თქვენი, სამშობლოს სამსახურში უმურველად დახარჯული ერისკაცის ღვაწლი ღირსების ორდენით და ივანე ჯავახიშვილის მედლით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია. „ქართული სულის“ ფესტივალზე თქვენ, როგორც ქართული სულიერების გამამდიერებელს მესხეთსა და სრულიად საქართველოში, „დიდი მესხის“ წოდება და ოქროს მედალი მოგენიჭათ. 2013 წელს ყენევაში გადმოგეცათ ევროპის რექტორთა კლუბის დიპლომი. არჩეული ხართ ახალციხის საპატო მოქალაქედ.

ბატონო მერაბ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს საქართველოს სამხრეთი კარიბჭის მეციხოვნეთა რაზმის წინამძღოლს, დღეგრძელობას და მზეგრძელობას გისურვებთ თქვენი სათაყვანებელი სამშობლოს სადიდებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირი



„ბუნების შვილი“
«Твой сын - Земля»
“Nature's son”
TBILISI
2018

ღვთის ნებით, ადამიანს სიცოცხლე სიკეთის ქმნისთვის ენიჭება. უფლის მადლით სიკეთის თესვა და შენება ყველას არ შეუძლია, რამეთუ „მრავალნი არიან ნოდებულნი, მცირედნი - რჩეულნი“. რჩეულთა წარმოჩენა ღვთიური საქმეა. სულმნათმა ილია ჭავჭავაძემ დაგვიბარა, რომ „ჩემი, მშვიდობიანი, დინჯი, არამყვირალა მოღვაწეობა, საცა უნდა იყოს, თუ გულმხურვალეობით არის გამთბარი, გულმოდგინებით წარმართული, ერთგულობით ძირმაგარი და პატიოსნებით ნათელცხებული, უტყუარი ნიშანია თვითონ მოღვაწის დიდბუნოვნებისა... ხოლო იმისთანა საქმენიც არიან, რომელთაც ჟღარუნები არა აქვთ და არა ხმაურობენ, მაგრამ მათ არანაკლები მნიშვნელობა აქვთ ნუთისოფლის სიმწარის დასატკობად და სიმწვავის გასანელებლად“. სწორედ ასეთ არაჟღარუნა, არახმაურთან საქმეთა წარმართველს, ერთგულებით ძირმაგარ და პატიოსნებით ნათელცხებულ ადამიანზე გვსურს გვიამბოთ ამჯერად.

სულ რამოდენიმე ათეულ წელს ითვლის დამოუკიდებლობაშეპოვებული სახელმწიფოებრიობა და ამ ხნის მანძილზე ტერიტორიების დაკარგვა, ოკუპაცია, ომი, მოუგვარებელი რეალობა, უმუშევრობა, მიგრაცია... ძალზე ბევრი საფიქრალ-საზრუნავი დაგვიგროვდა. სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე ღირებულებათა გადაფასება ყველაზე მტკივნეულად შესაგუებელია. და კიდევ რამდენი შეიძლება ჩამოვთვალოთ, რაც ასე აწუხებს თითოეულ ჩვენგანს. რა თქმა უნდა, რამდენიმე ათეული წელი ისტორიისთვის ბევრი არაა. ეს ჩვენ გვეჩქარება დალაგებულ და მონესრიგებულ, ყველა პრობლემამოგვარებულ სახელმწიფოში ცხოვრება, რადგან თაობები მიდიან დაუმსახურებელი უგულვებლყოფით, უკიდურესი გაჭირვების განცდით და რაოდენ ნიშნდობლივია, რომ სწორედ ამ საკითხებზე მომხიბდა საუბარი ჩემს რესპონდენტთან - რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტთან, თბილისის საპატიო მოქალაქესთან, საქართველოს ღირსების ორდენის და იმამ შამილის მედლის კავალერთან, საქართველოს მწერალთა კავშირის და კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრთან ალი ისაევ-ავარსკისთან.

- ბატონო ალი, თქვენ ძალიან კარგად გიცნობთ ქართველი ერი, თქვენს მიერ შესრულებული როლები სამუდამოდ შესულია კინემატოგრაფიის მატრიანში, მაგრამ ალბათ ბევრმა არ იცის, როდის და რატომ ჩამოხვედით საქართველოში...

- დიახ, ეს მართლაც ჩემი ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მე დავიბადე დალესტინის მაღალმთიანი აულში, ობოხში. მძიმე ბავშვობა მქონდა. ოჯახში რვა ბავშვი იზრდებოდა. დედა სხვა ქალებივით მუშაობდა მინდორში, ბაღში, მკაზე... მაშინ ჩვენ, პატარა ბავშვებს კალათით დაგვსვამდნენ ხოლმე ვირზე და თან დაგვატარებდნენ, საღამოს კი დედა ძილის წინ ზღაპრებს და ლეგენდებს მიაშობდა. დღემდე ვერ ვივინყებ დედის ანდერძს, რამაც ჩემი შემდგომი ცხოვრება განსაზღვრა და გადამწყვიტა. მაშინ 10-

12 წლის ვიყავი. დედა მუდამ მარიგებდა და ერთხელაც ჩვენი სოფლის გადაღმა, ჰორიზონტს მიღმა სივრცისკენ ხელი გაიშვირა და მითხრა: „შვილო, იქ, სადაც მზე ჩადის, სადაც მზე ეშვება საქართველოა. იქაურობა სამოთხეს ერწყმის. თუ ოდესმე მოგინია იქ ყოფნა, თავყვანი ეცი ამ კურთხეულ მიწას!“ დედა მალე გარდაიცვალა. ეს დიდი ტკივილი იყო. მე ვეღარ გავჩერდი აულში და დაიწყე ჩემი მოხეტიალე ცხოვრება. ბევრი ვიარე, ბევრი პროფესია შევისწავლე, მაგრამ საკუთარი

„სადაურსა სად წაიყვან...“

თავი ვერ ვიპოვე... გადავწყვიტე, ჩემს მშობლიურ აულში დაებრუნებულიყავი, გამეგრძელებინა მწყემსობა... მაგრამ სანამ ამას გავაკეთებდი საქართველოში ჩამოსვლა გადავწყვიტე. ეს იყო გასული საუკუნის 60-იანი წლები, საქართველო და ცივილიზებული სამყარო დიდი შოთა რუსთაველის იუბილეს, მის 800 წლისთავს ზეიმობდა. როგორც კი თვითმფრინავის კარი გაიღო და ტრაპზე დავედექი, დავინახე, რომ აეროპორტში უამრავ ადამიანს მოეყარა თავი. მეტად გრანდიოზული საზეიმო განწყობა იგრძნობოდა, შემდგომში კი გავარკვიე, რომ აეროპორტში იუბილის აღნიშვნის მონაწილე სტუმრებს ხვდებოდნენ, მაგრამ ჩემთვის ეს უჩვეულო დახვედრა იყო, რამაც დიდად გამაოცა და ამ ადამიანთა ტალღას შევერიე. ანაზდეულად ჩემი ყურადღება ერთმა ულამაზესმა გოგომ მიიპყრო, რომელიც ხალხის ნაკადს გამოჰყავდა, მომიახლოვდა და ხელი გამომინოდა. მივხვდი, რომ იუბილზე ჩამოსული სტუმარი ვეგონე. ასე გავიცანი თბილისის კონსერვატორიის ახალგაზრდა ლექტორი, უნიჭიერესი ქართველი მუსიკათმცოდნე მზია იაშვილი, რომელთანაც სამომავლოდ ოჯახური თანაცხოვრების ბედნიერება მარგუნა უფალმა. ფეხი დავადგი თუ არა ქართულ მიწაზე, მუხლი მოვიყარე და ვეამბორე. ასე ვუერთგულე და აღვასრულე დედის შეგონება და ანდერძი.

- ბატონო ალი, მეტად საინტერესოდ გვიამბოთ თქვენი ჩამოსვლა საქართველოში. ეს ის წლებია, როდესაც ქართული კინო აღმავლობის გზაზეა და ქართულ ფილმში გადაღებები მიმდინარეობს. თქვენ მრავალ ფილმში გაქვთ სხვადასხვა როლი შესრულებული. როგორ დაიწყეთ თქვენი მოღვაწეობა?

- დიახ, ეს მართლაც ჩემი ცხოვრების საოცარი ხანა იყო. საქართველო ჩემი მეორე სამშობლო გახდა. ჩავაბარე თეატრალურ ინსტიტუტში, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ შეიქმნა კინო-მსახიობთა სტუდია, სადაც განსაკუთრებული გულმოდგინებით დაიწყე ახალგაზრდობამ მოღვაწეობა. მეც მათ რიცხვში აღმოვჩნდი. სწავლის დამთავრების შემდეგ, რამდენიმე ათეულ კურსდამთავრებულს შორის, მხოლოდ მე, ეთნიკურად არაქართველს, მერგო კინოსტუდიის შტატში მიღება. დღესაც ვფიქრობ იმაზე, რომ ეს ჩემი ტალანტის აღიარება იყო თუ ჩემს მიმართ მშობლიური მზრუნველობის გამოვლინება. ალბათ, ორივე ერთად და მე ჩემი თავი აქ ვიპოვე, აღმოვაჩინე. მეამაყება, რომ ურთიერთობა მქონდა ისეთ გენიალურ ადამიანებთან, როგორებიც იყვნენ რეზო ჩხეიძე, ირაკლი აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, გიგა ლორთქიფანიძე...

და ეს ყოველივე მე მოვახერხე ჩემი მეუღლის, მზია იაშვილის და ცნობილი დალესტინელი პოეტის რასულ გამზათოვის თანადგომითა და დახმარებით, ადამიანისა, რომელიც ჩემს ცხოვრებაში გახდა მანათობელი შუქურა, ჩემი შემოქმედების საწყისი. სწორედ ამ ადამიანებთან ურთიერთობამ ჩამომაცალიბა მსახიობად და რეჟისორად, პოეტად და პროზაიკოსად. ამ კორიფეებთან ურთიერთობებმა მანავლა შემოქმედებით სამყაროში შესვლა და ხანგრძლივი შრომის შედეგად მასში

ადგილის დამკვიდრება.
- ბატონო ალი, თქვენ არაერთი საინტერესო კინოროლი შექმენით ფილმებში: „კავკასიელი ტყვე“, „წითელი ვაშლების ხანა“, „წიგნი ფიცისა“, „სამოთხე ხმლების ჩრდილქვეშ“... გადაიღეთ დოკუმენტური ტრილოგია „საქართველო-დალესტანი, მიზიდულობის ფორმულა“; ხართ ათეულობით წიგნის ავტორი: „დალესტნური რტო ქართულ მუხაზე“, „გულის ძახილი, სისხლის ყვილი“, „არწივის ბუდე“... და განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო „მზარე, სადაც სიყვარული მეფობს“, რადგან ვფიქრობ, რომ ეს წიგნი ყოველი ქართველის ოჯახში უნდა იწახებოდეს, როგორც ერთაშორისი მეგობრობის და სიყვარულის ჰიმნი.

- დიახ, განვიღო გზას რომ ვიხსენებ, ვრწმუნდები, რომ ჩემი ჩამოსვლა საქართველოში უფლისგან ნაკარნახევი იყო და დედის ანდერძი ერთგვარი მინიშნება ჩემი ცხოვრებისეული დანიშნულებისა. მე ერთი ჩვეულებრივი მსახიობი ვარ, მაგრამ ვთვლი, რომ ცხოვრებაში შევასრულე არა 35, არამედ მხოლოდ ერთადერთი როლი. ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მძიმე, ყველაზე ღირსეული როლი, რომელიც არასდროს დამავინწყდება არც მე, არც ბევრ ადამიანს. 1992 წელს მე შევძელი და შევაჩერე, ვიხსენი ჩემი ხალხი მონაწილეობისგან ძმათამკვლელ ომში. ჩავედი დალესტანში და შევხვდი დალესტინის პირველ პირს, დალესტინის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარეს მაგომედ ალი მაგომედოვს. მან მომიხიბა და მითხრა: ძვირფასო ალი, როცა ორი ძმა ჩხუბობს, მესამეს იქ არაფერი ესაქმება. მხოლოდ ერთ შემთხვევაშია გამართლებული მესამის ჩართვა, როდესაც იგი მათ შერიგებას გადაწყვეტსო. დამპირდა, რომ დალესტანი ამ ომში მონაწილეობას არ მიიღებდა და სიტყვაც შეასრულა. ეს მართლაც მეტად მძიმე წლები იყო და მეამაყება, რომ მეც ჩემი პატარა სასიკეთო წვლილი შევიტანე.

- ჩვენ წილად გვხვდა ოცდამეერთე საუკუნის ბინადარნი ვყოფილიყავით, მაგრამ ეს სულაც არ აღმოჩნდა ადვილი. ძველი სტერეოტიპების, შეჩვეული კერპების მსხვერველსა და ღირებულებათა გადაფასებას ძალიან ბევრი ჩვენთვის უჩვეულო და ბოლომდე გაუცნობიერებელი მოვლენა მოჰყვა. შემამოფთებელ სტატისტიკას იმის შესახებ, თუ რამდენი ადამიანია სილატაკის ზღვარზე, რამდენი ადამიანი ცდილობს საზღვარგარეთ გაქცევით დააღწიოს თავი დღევანდელ გაუსაძლის ყოფას, ჩვენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით და ღმერთმა დაგვიფაროს, რომ გულგრილები გავხდეთ და

აუღელვებლად შევეგუოთ ამას. ამ ყველაფრის ფონზე უნებურად გინდება სურვილი გვეროდეს, რომ გვირახის ბოლოს სინათლე აუცილებლად გამოჩნდება.

- დიახ, მართლაც მეტად რთულ დროში გვინევს ცხოვრება. ჩვენს გარშემო აქამდე მიუღებელი, გაუცნობიერებელი და ერთი შეხედვით, თითქოს, დაუძლეველი პრობლემებია, მაგრამ თითოეული ჩვენთაგანის ვალია, არ შევეგუოთ რეალობას, უარყოფითს და მანკიერს ბრძოლა გამოვუცხადოთ და დაულალავად ვეძიოთ ბრობლემათა გადაწყვეტის გზები და საშუალებები... ჩემს მეუღლეს, პროფესორ მზია იაშვილს და ჩემს საყვარელ მოღვაწეებს - დალესტინის სახალხო პოეტს რასულ გამზათოვს, აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს, სახალხო არტისტებს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატებს რეზო ჩხეიძესა და გიგა ლორთქიფანიძეს ჰქონდათ ნატურა: გაგვეხსნა მსოფლიოს ახალგაზრდული პარლამენტი. დღეს, როგორც ცნობილია, მთელი დედამიწა გაჟღენთილია სისხლით. მიმაჩნია, რომ ახალგაზრდული პარლამენტი და ახალი თაობა გადაარჩენს მსოფლიოს. ამისათვის უნდა გაერთიანდეს დასავლეთი და აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი.

ჩვენ მივმართავთ, როგორც საქართველოს ხელისუფალთ, ისე მსოფლიოს მთავრობებს და ხელმძღვანელებს, ხელი შეგვიწყონ ამ კაცობრიობისთვის კეთილ საქმეში - ახალგაზრდული პარლამენტის შექმნაში, რომლის წესდება სარეგისტრაციოდ უკვე მზად არის.



- ბატონო ალი, დღევანდელითაზე რას გვეტყვი...

- მე ორი ქვეყნის შვილი ვარ, ორივე ჩემთვის მშობლიური და საყვარელია. მე ორივე ქვეყნის შვილებისგან დიდი სიყვარული მიმიღია, რისთვისაც უსაზღვროდ მადლიერი ვარ, მაგრამ ეს ყველაფერი იყო წარსულში, თუნდაც ახლო წარსულში, მაგრამ მაინც წარსულში. გული მტკივა და უკმარისობის განცდა მეუფლება იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შემიძლია და სათანადო მხარდაჭერას ვერ ვღებულობ. სიკეთე ერთ-ჯერადი არ არის და ოდესლაც დანყებული არასოდეს არ უნდა სრულდებოდეს, მუდმივად უნდა ვითარდებოდეს და ძალას იკრებდეს. სწორედ სიკეთის სამსახურში ყოფნის დაუოკებელმა სურვილმა, დალესტინისა და საქართველოს სიყვარულმა გადამაწყვეტინა, შემექმნა დოკუმენტური ტრილოგია „საქართველო-დალესტანი, მიზიდულობის ფორმულა“, სადაც სამივე ფილმში, ფილმის გმირები ორი ერის მეგობრულ ურთიერთობებზე შთამბეჭდავად საუბრობენ. ზოგიერთი დღეს, სამწუხაროდ, გარდაცვლილია, მაგრამ ისინი უკდავყოფილები არიან ამ ისტორიულად მნიშვნელოვანი და ღირებული ფილმებით. დოკუმენტურ ტრილოგიაზე მუშაობა წარმართა იმ პერიოდში,

როდესაც ყოველივე ძველი, თავისთავად თუ გარედან დახმარებით, იშლებოდა და ინგრეოდა, ხოლო ახალი დამკვიდრებას იგვიანებდა. კრიზისული ვითარება სუფევდა ქვეყნის წამყვან კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, ისევე როგორც სხვა სფეროებში. არ იყო სახსრები, არ ჩანდა არავინ, ვინც უჭირისუფლებდა ქართულ კინოს და განა შეეძლო ვინმეს გვერდში დამდგომოდა მიზნის განხორციელებაში? მე თავად ვიტვირთე ყველაფერი. მივიღე გადაწყვეტილება, ფილმისათვის სახსრების მობილიზებისათვის, ბანკში ჩამედო საკუთარი ბინა მასში განთავსებული ქონებით და რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ მისი გამოსყიდვა დღემდე გადაუჭრელ პრობლემად გადამექცეოდა.

დარწმუნებული ვარ, ღვთით ნაფერები ქართველი ერი კუთვნილ ღირსეულ ადგილს დაიკავებს მსოფლიო თანამებობრობაში და ამას ობიექტურ მიზეზებს მივანერ, მათ შორის იმ სულისკვეთებას, რომელიც ქვეყნის, სამშობლოსადმი სიყვარულის გამოვლენითაა განპირობებული. ეს გვეხმარება წინააღმდეგობათა დაძლევაში, გამარჯვებასთან შეხებაში და მომავლისთვის იმედის თვალთვლით. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მალე დაიძლევა ჩვენი ყველა დროებითი სირთულე, რომელიც აფერხებს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას და ქართველი ერი კავკასიაში აუცილებლად ღიღერის ფუნქციით, ისტორიული პასუხისმგებლობით შეუდგება ერთიანი კავკასიის იდეის ხორცშესხმას მოძვე ხალხებთან ერთად. ვოცნებობ, თანამომემებთან ერთად დავაფუძნო კავკასიის ახალგაზრდული პარლამენტი, სადაც ახალგაზრდა უნიჭიერესმა ახალგაზრდებმა ახალი, გაბედული და დიდ ჰუმანიტარულ შედეგზე ორიენტირებული სიტყვა უნდა თქვან კავკასიური ხალხების ურთიერთდასახლოვებულ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეში.

ასე გაიღო საკუთარი წილი ბატონმა ალი ისაევ-ავარსკიმ წინაპართა მიერ რუდუნებით აგებული სიყვარულისა და მეგობრობის ხიდის შენარჩუნებაში. ვფიქრობთ, მისი ეს ჭეშმარიტი გმირობის ტოლფასი საქციელი ქართული საზოგადოების მხრიდან სათანადოდ აღზაბა ვერ არაა შეფასებული და არ შეეცდებით ყოველივე გავამართლოთ იმის მოშველიებით, რომ რთულ ეპოქაში გვიწევს ცხოვრება, რომ ობიექტური ვითარება ზღუდავს ჩვენს საზოგადოებრივ აქტიურობას, რომ ვერ ვიცვლით ერთმანეთისათვის. გამოწვევებით აღსავსე გარემო არ უნდა შეგვზღუდოს ისეთი დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში, სადაც საკუთარი ადგილი უნდა დაეთმოს ქვეყნისათვის, სამშობლოსათვის გარჯას, მოყვასისადმი თანადგომასა და ერთგულებას, ღირსეულად ნაღვანის დანახვასა და მის შეფასებას.

ყოველივე ამის დასტურად რამოდენიმე ამონარიდს შემოგთავაზებთ ალი ისაევ-ავარსკის შეახება.

რასულ გამზათოვი, დაღესტნის სახალხო პოეტი:

„აფხაზეთში განვითარებული მოვლენების შემდგომ ყველანი ერთად ვიყავით და კარგად ვიცით, თუ რა როლი შეასრულა ალიმ იმ დაძაბულ ვითარებაში. ამადლევებელია მის მიერ წარმოთქმული სიტყვები: ჩემო ძვირფასებო, მშვიდობისათვის უფრო მეტი უნდა ვაკეთოთ, ვიდრე ომისთვის! აი, აქედან გამოიტანეთ დასკვნა, ჩემო ძვირფასებო. ნებისმიერი ჯილდოს შეძენა შესაძლებელია, მაგრამ

ხალხის სიყვარულს ვერ იყიდი! ალიმ მიიღო უმადლესი ჯილდო - ქართველი ხალხის სიყვარული და ამ ჯილდოს დღემდე ინარჩუნებს... როგორც ალი ამბობს: ის ორი ერის შვილია, დაღესტნისა და საქართველოსი, როგორც ტყუპები დედის ხელში! ალი საოცრად აღზრდილი პიროვნებაა. ხშირად ამბობს, ყველაფერი, რასაც მან ცხოვრებაში მიაღწია, მისი გულშმატკივრების წარმატებაა“.

რეზო ჩხეიძე, კინორეჟისორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი:

„მიუხედავად იმისა, რომ ფილმი ყოველგვარი პოლიტიკის გარეშეა, იგი პოლიტიკაზე მალა დგას, ვინაიდან სიყვარულითაა გაჟღერებული“.

გიორგი კვესიტაძე, აკადემიკოსი:

„მე არ შემიძლია არ აღვნიშნო ის დიდი წვლილი, რაც ქართველი და დაღესტნელი ხალხის მეგობრობაში, ურთიერთობაში, აღმშენებლობის პროცესში შეასრულა ბატონმა ალიმ ავარსკიმ, რომელიც ჩამოვიდა საქართველოში, დაოჯახდა, აქ მოღვაწეობს. მან დაიმსახურა ქართველი ხალხის ძალიან დიდი სიყვარული და პატივისცემა. ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, განპირობებულია იმ საქმეებით, რომელსაც ბატონი ალი ასრულებს. მისი საქმიანობა ეხება გადაღებულ ფილმებს, დამყარებულ კონტაქტებს ქართველებსა და დაღესტნელებს შორის. რა თქმა უნდა, დღეს ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნებისთვის სასარგებლო და სასიკეთოა. მიმაჩნია, რომ ალი ავარსკი განსაკუთრებული დიდი პატივისცემით სარგებლობს. ის ჭეშმარიტი მეგობარი და ჩვენი ერის შვილია. შესაბამისად, მისი სახელი და დაფასება დაუკარგავი და დაუზიანებელია“.

გია ლორთქიფანიძე, კინორეჟისორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი:

„ეს ზედმინვენიტი ნიჭიერად გადაღებული და მნიშვნელოვანი ფილმია. მასში დიდი ძალისხმევაა ჩაქსოვილი. დადგება დრო და აღარ იარსებებს პოლიტიკური წინააღმდეგობანი ისეთი ადამიანების წყალობით, როგორებიც არიან მზია იაშვილი და ალი ისაევ-ავარსკი. მათი ოჯახი ამის საუკეთესო ნიმუშია. აქედან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზოგადკაცობრივ კავშირებსა და ტრადიციებს, კულტურასა და მსოფლმხედველობას ხალხთა შორის მეგობრობის დამკვიდრების საქმეში. ბრწყინვალე იდეა!“.

იოსებ ნონეშვილი, საქართველოს სახალხო პოეტი:

„ალი იყო და არის საქართველოზე შეყვარებული, მისი სინმინდით და ნიჭით, ბუნებრივი გზით შემოვიდა ჩვენი ხალხის გულგებში! მისი სიარულის მანერა და აღნაგობა შეუძლებელია ვერ შეამჩნიო. მზია იაშვილის წყალობით საქართველომ ეს ნიჭი იპოვა. მან დაღესტანი და საქართველო ახლებურად დააახლოვა. ვუსურვოთ მას ჯანმრთელობა და წარმატებები. მისი პირდაპირი დანიშნულება კინოა. ვუსურვოთ მას წარმატება ამ სფეროში! პირველი მე ვუნოდე მას „მთის ირემი“ და მოხარული ვარ, რომ ჩვენმა ალიმ იპოვა თავისი ადგილი!“

რევაზ მიშველაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი:

„ალი ისაევ-ავარსკის სახელი კარგა ხანია ლეგენდად იქცა. ჩვენი თანამედროვეობის არაქართველთათვის საქართველოს ეროვნული გმირის სახელის მინიჭება რომ შეიძლებოდა, პირველ რიგში მას ალი ისაევ-ავარსკის მივანიჭებდი“.

მერაბ კოკოჩაშვილი, კინორეჟისორი:

„კულტურული, მეგობრული კონტაქტები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება

წყდებოდეს. უნდა იყვნენ ადამიანები, ვინც ამას გააკეთებს. ამის მაგალითია ბატონი ალი, რომელიც აქ სწავლობდა, სამსახიობო სკოლა აქ განვლო, ახალგაზრდობიდან მოყოლებული მოღვაწეობს საქართველოში. „ქართულ ფილმსა“ და ქვეყნის საზღვრებს გარეთ სტუდიებში შექმნა შესანიშნავი როლები, აქ ჰყავს ოჯახი, შვილი, მისი მეუღლე ქალბატონი მზია იყო შესანიშნავი მუსიკის მცოდნე. ამიტომაც არის, რომ ადამიანი, ვინც აგრძელებს ორი ერის ძმურ ურთიერთობებს დაღესტანსა და საქართველოს შორის არის ალი ავარსკი, რომელმაც იცის ყოველივე და ამ გამოცდილებით აკეთებს უდიდეს საქმეს ჩვენი ქვეყნებისათვის“.

ელდარ შენგელია, კინორეჟისორი:

„ქართველი კინომატორაფისტები ვულოცავთ შესანიშნავ კინოსახიობსა და კინორეჟისორ ალი ისაევ-ავარსკის დოკუმენტური ტრილოგიის „მიზიდულობის ფორმულა - საქართველო-დაღესტანი“ მესამე ფილმის „ქართველების თვალთვლით დანახული დაღესტანის“ დამთავრებას. ფილმში ასახული დოკუმენტური კადრები ცხადყოფს, რომ დაღესტნელ და ქართველ ხალხთა შორის ოდითგანვე არსებობდა კეთილმეზობლური ურთიერთობა, რომელიც კვლავ ურყევია და მუდამ ასე გაგრძელდება“.

ვაჟა აზარაშვილი, კომპოზიტორი:

„მე დაღესტანის შესახებ, რა თქმა უნდა, ვიცოდი ისტორიული წიგნებიდან, მაგრამ შემდგომ მეგობრები შევიძინე - ნიჭიერი კომპოზიტორები ჩალავეი და კაჟალავეი. მათთან მეგობრობით ვამაყოფ, მაგრამ კიდევ უფრო მიხარია ის, რომ მე და ალი ერთ სართულზე ვცხოვრობთ. მის ბინას დაღესტანის საკონსულოს ვეძახით. ეს ნიჭიერი ოჯახია. ეს არის ოჯახი, რომელიც მთელს საქართველო უყვარს და რისთვისაც უყვართ ამის ნახვა ფილმშიც შეიძლება. მშვიდობა, სიყვარული და მეგობრობა ამ ოჯახის მონოდებაა!“

რეზო ადამია, მხატვარი:


„ალი ავარსკის ფილმი თავისი შინაარსით უღალატო მეგობრობის შესახებ არის მსოფლიო მნიშვნელობის ზნეობის უმაღლესი დონე. ბატონმა ალიმ იმხელა დიდი საქმე გააკეთა, რომ მე რომ ვიყო მმართველი, ყველაზე დიდ პრემიას მას მივანიჭებდი, რადგანაც მან მსოფლიო ერებს დაანახა დაღესტნელ და ქართველთა ძმობა“.

ქეთი დოლიძე, რეჟისორი:

„მიუხედავად იმისა, რომ მზია იაშვილი, რასულ გამზათოვი, ირაკლი აბაშიძე დღეს აღარ არიან, ალი აგრძელებს მართო მუშაობას. მე ვუსურვებ ამ ფილმს და ვხვდები, რომ არ არის არც ერთი ეპიზოდი, რომელიც გულგრილს დაგტოვებს“.

კახი კავსაძე, საქართველოს დამსახურებული მსახიობი:

„ასეთი ფილმი შეიძლება გადაიღოს მხოლოდ ამ ადამიანმა - ალი ავარსკიმ, იმიტომ, რომ დასასრული საბოლოოდ ყველაფერს აქვს, ხოლო ამ ფილმის შემოქმედის, ბატონ ალი ავარსკისგან გამოსჭვივის უსასრულო სიყვარული... ეს მხოლოდ იმ ადამიანმა შეიძლება გააკეთოს, რომლის სიყვარულიც საქართველოსადმი ამოუწურავია... მე მინდა ვუსურვო ალის, რომ ის იყოს ბედნიერი, რომ მას ჰქონდეს ბევრი ენერგია, რომ ყოველთვის შეეძლოს გამოხატოს აზრი და გადაიღოს ფილმები სიყვარულის შესახებ, რადგან სიყვარული, ეს არის ის, რისკენაც კაცობრიობა მიილტვის. ალი არის ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი, რომლებიც ხალხს უხსნიან გზას ამ ადამიანური მონოდებისაკენ“.



კაცი, რომელმაც ოთხსერიანი ფილმი გადაიღო, დღეს აბსოლუტურად მიტოვებული და იგნორირებულია საქართველოს ხელისუფლების მიერ.

ალი ავარსკის საქართველო-დაღესტნის მეგობრობაზე ოთხსერიანი ფილმის გადასაღებად აღებული აქვს ბანკის ვალი და ამ ვალის სარეალიზაციოდ ჩადებული აქვს თავისი ოროთახიანი ბინა, რომელშიც ცხოვრობს თავისი 5-სულიანი ოჯახთან ერთად. ბედის ირონიაა, აბა, რა არის, რომ კულტურის სამინისტრო წლების განმავლობაში თითსაც არ ანძრევს, რომ ალი ავარსკის უნიკალური ფილმი შეისყიდოს და მისცეს საშუალება სახელგანთქმულ მსახიობს და რეჟისორს, რომ იმ ფულით გამოისყიდოს თავისი ბინა, საიდანაც დღედღეზე გამოსახლებით ემუქრებიან.

ალი ავარსკი ამაყი კაცია. იგი მოწყალეობას არავის სთხოვს. მას უბრალოდ სურვილი აქვს, თავისი შრომის საფასური აუნაზღაუროს იმ ქვეყანამ და იმ ხელისუფლებამ, რომელსაც თავისი შეგნებული სიცოცხლე შესწირა. გასულ წელს გამოჩენილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა ღია წერილით მიმართეს ქართველ „ქველმოქმედ“ ბიზნესმენებს, რომ შეძლებისდაგვარად დახმარებოდნენ ბატონ ალის. საოცარი ის არის, რომ ავტორიტეტულ ქართველ მოღვაწეთა ამ თხოვნას არც ერთი ბიზნესმენი არ გამოეხმაურა.

რა ხდება? რატომ შეკრა პირი ქართულ-სახელმწიფო და საზოგადოებამ საქართველოზე შეყვარებული ამ უაღრესად ნიჭიერი ხელოვანის წინააღმდეგ?

სანამდე შეიძლება გაგრძელდეს ეს უყურადღებობა?!

მანანა გორგიშვილი

გიორგი ჩოხელი

ააჰულო!

არვინ არის შენზე წმინდა
შენით ვინთებ სულში ღადარს,
ვაჰ, რამდენჯერ გაგინვიმდა
და მოელი ისევ ავდარს.

დაქცეული სისხლი არის
ყოველ გოჯზე სადაც შენ ხარ,
გზით მიდიხარ ნისლიანით
მაგრამ სამოთხეში შეხვალ.

დიდგორს

აქ დუმით მტყველებენ მთები
ფერდობია გვირილებით სახსე,
დგას დიდგორი აღმართული ხმლებით
მტერთა ძლევის ლალი სილაშაზე.

წივის ქარი, ვუსმენ ქარის ბგერებს
ცა ახლოა გზაც ზეცისკენ ინევს,
ქარი ღრუბლებს ისე მოაგლევეს
გადანისლა მთების მთელი სივრცე.

გაიელვა გასაოცრად დიდგორს
ვჭვრეტ მუზარადს და ცხენიან ლანდებს
და ვმალდები ისე სწრაფად თითქოს
რომ საცაა კი მივალწევ ცამდე.

რარიგად ძნელია
ჭიუხთა სიშორე,
მოვა და გამცელავს
სიკვდილი ლამაზად,
არწინი სალ კლდეზე
ნანვიმ ფრთებს იშრობენ
და ღამეს ელიან,
როგორც შმაგ ავაზას.

იმაღალ მაინც...

კრთება ღვთიური იდუმალებით
თითქოს მთვლემარე, უტყვი ბუნება,
ჩამოცრემლილი ზეცის თვალები
წვიმას მოუხმობს დასაბრუნებლად...

კვლავ უამინდობს გაუთავებლად,
იმედად ისევ ვირჩევთ უხილავს,
სივრცე დაფარეს ღრუბლის ზვაგებმა
და ცას გაეკრა ელვა ნუხილად.

სიზმრად ისევ გეჯიბრები
ცხადი სიზმრად ამრევი,
შრილებენ ჯეჯილები,
ჯეჯილების ჰაერია.

ისე გავა ასწლეული
ანთებული ვარსკვლავებით,
არ დარჩება ნაქცეულის
ნატერფი და ნაკვალევი.

განა რით ვარ კმაყოფილი
სული დარდით დამშაშვრია,
გული ორად გაყოფილი
მხოლოდ შენთვის გადამშლია.

თუმცა ბევრიც მინანია,
ისევ წყენას ვუხირდები,
ახლა სევდა გვიანია
დასაღვრელად უხილველი.

ჟამი დგება დაღამების,
იღვენთება ნახანძრალი,
ცისკენ მიდის აბლაღლებით
სული ხორცზე გადამძვრალი.

*"რაც დღემდე მოხდა, თავისით მოხდა,
რაც დღემდე ითქვა, ითქვა თავისით."
ოთარ ჭილაძე*

ნასვლას აპირებს მკაცრი ზამთარი,
დგას გაფხიზლებულ მიწის სურნელი
და ჩემს გარშემო ირგვლივ რაც არი,
ხდება საამო და სასურველი.

დრომ მოაცილა სულს სიღარიბე,
ქარს გაჰყვინენ ნებით თეთრი ღრუბლები
დგას მზე და ისევ სხივებს არიგებს,
ამაყი თავის თავისუფლებით.

საკუთარ თავთან თუმცა ბევრს ვომობდი,
მაგრამ რაც მოხდა, მოხდა თავისით
და დაიკარგა ასე ბოლომდის
თითქმის ყველაფრის ხსნაც და ხალისიც.

ბოლო მოელე ყველა მოლოდინს
მხოლოდ მიწიერ ყოფნის ხალისით,
სურვილიც იყო იქნებ ბოროტის,
მაგრამ რაც ითქვა, ითქვა თავისით.

დარჩა კვლავ ნატვრად ის რაც ვინატრე,
ახლა სხვა გზებით მივემგზავრები
და მადგას თავზე ზეცის სინათლე
გაზაფხულეულ მზიან დარებით.

გაიგებ გმინვას იმ მოჭრილ ხისას
გაზაფხულზე რომ უსკდება კვირტი,
შენ აღარ ღირხარ სიცოცხლის ღირსად
თუ სხვა სიცოცხლის სავნებოდ ილტვი.

მივალ, აღმართით წვრილ ბილიკს ვკეცავ
ვუმზერ აშოლტილ ვერხვსა და მუხას,
მიწის სინედლე ამშვენებს ზეცას
მიწისგან ბევრჯერ მწუხარს და მქუხარს...

და აღარა ღირს სიცოცხლის ღირსად
მასაც ისევე დასჯის ბუნება,
ულმერთო კაცი მომჭრელი ხისა
ხვალ იმ ხესავით აღესრულება.

ისევ ლექსი უნდა ვწერო
ლიკა, თიკა, ანეტა,
იმზირება გაზაფხული
სულში სანამ მწვანედა.

ვერ ვიცოცხლებ ულექსოდ
ეკა, მაკა, ლიდა,
სანამ სულში ზაფხულის,
და ჯერ მზის ამინდია.

ალბათ ის დღეც დადგება
მზე სულს როცა დაღვესო,
შემოდგომის ფოთოლი
ნაშლის ჩემს ნაკვალევსო.

ეკა, მაკა, ლიდა,
ლიკა, თიკა, ანეტა,
მერე თქვენ გაიხსენებთ
ამ გაზაფხულს მწვანედა.

იაგო ქებურია

თითქოს დავლონდი, ძალა არ შემრჩა! –
დავილაღე! –
მოდო, უფალო, გთხოვ მომეშველე! –
გადამარჩინე, მიმკურნალე, მიაქიმი,
ჩემო უფალო! –

გზას თუ ამაღლებენ ეშმაკები,
შენ გამისწორე ეს მრუდე გზა,
ჩემო უფალო! –

წყაროს წყალივით მორაკრაკებს
ჩემი ცრემლები, ოფლმაც დამასხა! –
მოდო ჩემთან, უფალო! –

ვიცი, ჩემში ხარ
და მე სხვაგან გეძებ! –
ვერსად ვერ გიპოვის ვერვინ,
ვერცა ტაძარში, ვერცა მთაში, ვერცა

უდაბნოში,
შენ ჩვენში ხარ, ადამიანში სახლობ,
შენ ჩემში ხარ და მე სხვაგან გეძებ!..
მიშველე! –

უკვე ვეღარ ვძლებ,
არ შემიძლია შენს გარეშე! –
მოდო, მომეშველე!

როცა აყვავილებული ვარ,
არ მახსოვხარ,
როცა ვჭკნები, მაშინ მახსენდები! –
გთხოვ, გთხოვ მაპატიე!..

მომეცი ძალა რომ სულ შენზე
გვფიქრობდე –
ჩემი გეზი შენ იყო და არა სხვა!..
ამ ძალის მოცემა შენ შეგიძლია,
მე დავრდომილი ვდგავარ და გევედრები,
მომეშველე, უფალო!..

/არჩილ ტატუნაშვილს/

ჯალათო! –
ხელი გაუშვი საქართველოს!
მის ნაცვლად მე გამროზგე,
თუ გინდ მე დამშალე ნაწილ-ნაწილ!
გესმის ჯალათო? –

თუ გინდ მომკალი
ოლონდ საქართველოს ხელი არ ახლო!..
ორლობეს დაუწყევი
და საქართველო ფეხშიშველმა შემოვიარე,
გთხოვ, ჩემთან მოდი,
მე გამროზგე,
მე მანამე,
მე მომკალი –

ოლონდ საქართველოს ხელი არ ახლო!..
თუ კაცი ხარ და თუ გმირი გქვია
(ან როდის ყოფილა ჯალათი გმირი!)
მოდო მერკინე, მე შემებრძოლე,
მე თუ დავმარცხდი გადამიარე,
ოლონდ საქართველოს ხელი არ ახლო,
ოლონდ საქართველოს ერთი ფოთოლიც
არ ჩამოუგდო!..

ჯალათო! –
გესმოდეს,
შენ შეიძლება მე მომკლა,
მაგრამ საქართველოს ვერ მოკლავ!
გახსოვდეს,
შენ შეიძლება გამროზგო,
მაგრამ საქართველოს შენი როზგი
ცისარტყელად მოედება!

გჯეროდეს,
შენ შეიძლება თვალი დამთხარო,
მაგრამ საქართველოს ვერას დააკლებ!
ჯალათო! –
მოდო, მე გელოდები
საქართველოს ვერას დააკლებ,

ჯალათო! –
გესმოდეს,
შენ შეიძლება მე მომკლა,
მაგრამ საქართველოს ვერ მოკლავ!
გახსოვდეს,
შენ შეიძლება გამროზგო,
მაგრამ საქართველოს შენი როზგი
ცისარტყელად მოედება!

გჯეროდეს,
შენ შეიძლება თვალი დამთხარო,
მაგრამ საქართველოს ვერას დააკლებ!
ჯალათო! –
მოდო, მე გელოდები
საქართველოს ვერას დააკლებ,

ჯალათო! –
გესმოდეს,
შენ შეიძლება მე მომკლა,
მაგრამ საქართველოს ვერ მოკლავ!
გახსოვდეს,
შენ შეიძლება გამროზგო,
მაგრამ საქართველოს შენი როზგი
ცისარტყელად მოედება!

გჯეროდეს,
შენ შეიძლება თვალი დამთხარო,
მაგრამ საქართველოს ვერას დააკლებ!
ჯალათო! –
მოდო, მე გელოდები
საქართველოს ვერას დააკლებ,

ჯალათო! –
გესმოდეს,
შენ შეიძლება მე მომკლა,
მაგრამ საქართველოს ვერ მოკლავ!
გახსოვდეს,
შენ შეიძლება გამროზგო,
მაგრამ საქართველოს შენი როზგი
ცისარტყელად მოედება!

გჯეროდეს,
შენ შეიძლება თვალი დამთხარო,
მაგრამ საქართველოს ვერას დააკლებ!
ჯალათო! –
მოდო, მე გელოდები
საქართველოს ვერას დააკლებ,

მე გამროზგე და მე მომკალი!
საქართველოს შენ ვერა მაგრამ ჩემი ძმა,
ისევ ქართველი დაამარცხებს!
ჯალათო! –
გესმის?..

რეკვიამი

ჩემო ჩამოღვარცოფებულო ზეცავ,
ჩემო ჩამოღვარცოფებულო უფალო,
რად ჩამოუნგრე ტაძრებს გუმბათი,
რად დაუნგრე ზარებს სამრეკლო?!
და მაინც უპატრონო ზარები
რეკენ და რეკენ,
სიმწრისა და გლოვის ზარს რეკენ!
ჩემო უფალო, როგორ მჯეროდა შენი,
რად ჩაიდინე ეს სისაძაგლე,
რატომ არეკინებ ამ გაცოფებულ
დედო ზარებს

გლოვისა და სიმწრის ზარებს?!
რატომ წაართვი დედას ქალიშვილი,
რატომ?!
ამ ხორბლისფერ ტაძარს უჩნდება
ბზარები,

ეს ხორბლისფერი ტაძარი იქცა
ნაცარტუტად,
სულ ჩამოინგრა, ჩამოიღვენთა.
დარჩა ერთი ხატი
და მის წინ აკელაპტრებული შაოსანი
ქალი,

პირქვე დამხობილი,
რომელიც გაკანრული და მკვდარი
ხმით გეუბნებოდა:
--შვილი მიცხოხე, ღმერთო!..
ჩემო დასევდიანებულო ღმერთო,
რად ჩაიდინე ეს სისაძაგლე...
და ნუთიერად დამავინწყდა ღმერთი
რომ ხარ

და გულში გწყველე!
უფალი თავისთან კარგებს იხმობსო,
სულ ტყუილია იგი!
ეს ამ ბოროტების გასამართლებელია,
ბრმამორწმუნეთა მიერ!
ან თუნდაც მართალი იყოს, რა,
დედამიწას არ უნდა კარგები,
თუ ეგოისტი ხარ და შენ გინდა
მხოლოდ?

როგორც ლაზარე, ისე აღადგინე ექვსი
წლის ანგელოზი!
ამ ნორჩ ყლორტს,
ამ ნორჩ კოკორს
რად არ აცალე აყვავილება, აჟუჟუნება,
რად არ აცალე გაფურჩქვნა და
„აფეთქება“?!

ჩემო უფალო,
თუ ვერ აღადგენ ექვსი წლის
ანგელოზს, ვითა ლაზარეს,
მაშინ ძალა მიეცი დედას,
ძალა მიეცი შვილის სამუდამოდ
დანკვარამებულ თვალებს უყუროს
და მისგან სითბო და სინათლე იგრძნოს!
...
და ნელ-ნელა, ქვა-ლორღად ქცეული
ლოდები ისევ ლოდებოდა,
და ნელ-ნელა ტაძარს უქრებოდა
ბზარები,

აღდგა ხორბლისფერი ტაძარი, ვითა
ლაზარე და ვითა შენ, ჩემო უფალო,
მაგრამ უცვლელი დარჩა ხატი და
მის წინ
პირქვე დამხობილი შაოსანი ქალი,
რომლის ცრემლები გემირონებოდა,
ჩემო დასევდიანებულო უფალო!
მაპატივე მე ცოდვილს ესე ცოდვები
და შვილი უცხოხე დედას -
ამინ!

პირქვე დამხობილი შაოსანი ქალი,
რომლის ცრემლები გემირონებოდა,
ჩემო დასევდიანებულო უფალო!
მაპატივე მე ცოდვილს ესე ცოდვები
და შვილი უცხოხე დედას -
ამინ!

პირქვე დამხობილი შაოსანი ქალი,
რომლის ცრემლები გემირონებოდა,
ჩემო დასევდიანებულო უფალო!
მაპატივე მე ცოდვილს ესე ცოდვები
და შვილი უცხოხე დედას -
ამინ!

პირქვე დამხობილი შაოსანი ქალი,
რომლის ცრემლები გემირონებოდა,
ჩემო დასევდიანებულო უფალო!
მაპატივე მე ცოდვილს ესე ცოდვები
და შვილი უცხოხე დედას -
ამინ!

პირქვე დამხობილი შაოსანი ქალი,
რომლის ცრემლები გემირონებოდა,
ჩემო დასევდიანებულო უფალო!
მაპატივე მე ცოდვილს ესე ცოდვები
და შვილი უცხოხე დედას -
ამინ!

პირქვე დამხობილი შაოსანი ქალი,
რომლის ცრემლები გემირონებოდა,
ჩემო დასევდიანებულო უფალო!
მაპატივე მე ცოდვილს ესე ცოდვები
და შვილი უცხოხე დედას -
ამინ!

პირქვე დამხობილი შაოსანი ქალი,
რომლის ცრემლები გემირონებოდა,
ჩემო დასევდიანებულო უფალო!
მაპატივე მე ცოდვილს ესე ცოდვები
და შვილი უცხოხე დედას -
ამინ!

პირქვე დამხობილი შაოსანი ქალი,
რომლის ცრემლები გემირონებოდა,
ჩემო დასევდიანებულო უფალო!
მაპატივე მე ცოდვილს ესე ცოდვები
და შვილი უცხოხე დედას -
ამინ!

პირქვე დამხობილი შაოსანი ქალი,
რომლის ცრემლები გემირონებოდა,
ჩემო დასევდიანებულო უფალო!
მაპატივე მე ცოდვილს ესე ცოდვები
და შვილი უცხოხე დედას -
ამინ!

პირქვე დამხობილი შაოსანი ქალი,
რომლის ცრემლები გემირონებოდა,
ჩემო დასევდიანებულო უფალო!
მაპატივე მე ცოდვილს ესე ცოდვები
და შვილი უცხოხე დედას -
ამინ!

პირქვე დამხობილი შაოსანი ქალი,
რომლის ცრემლები გემირონებოდა,
ჩემო დასევდიანებულო უფალო!
მაპატივე მე ცოდვილს ესე ცოდვები
და შვილი უცხოხე დედას -
ამინ!

პირქვე დამხობილი შაოსანი ქალი,
რომლის ცრემლები გემირონებოდა,
ჩემო დასევდიანებულო უფალო!
მაპატივე მე ცოდვილს ესე ცოდვები
და შვილი უცხოხე დედას -
ამინ!

პირქვე დამხობილი შაოსანი ქალი,
რომლის ცრემლები გემირონებოდა,
ჩემო დასევდიანებულო უფალო!
მაპატივე მე ცოდვილს ესე ცოდვები
და შვილი უცხოხე დედას -
ამინ!

პირქვე დამხობილი შაოსანი ქალი,
რომლის ცრემლები გემირონებოდა,
ჩემო დასევდიანებულო უფალო!
მაპატივე მე ცოდვილს ესე ცოდვები
და შვილი უცხოხე დედას -
ამინ!

პირქვე დამხობილი შაოსანი ქალი,
რომლის ცრემლები გემირონებოდა,
ჩემო დასევდიანებულო უფალო!
მაპატივე მე ცოდვილს ესე ცოდვები
და შვილი უცხოხე დედას -
ამინ!



ამირან ხეცაძე

მიტოვებული აზო

საფეხურები კიბის-სევდის კლავის დასი, წვიმის წვეთები ჰკვივის, კისერს იგრილებს ხავსი. კუდის ქიციანით წვება ძალლი, ცარიელ სახლთან, მოსულ ფიქრების წყებას, ელდის ცხედრები ახლავს. კიბის ქვეშ სხივის ნაცვლად, წამოწოლილა ბინდი, ნუში სიჩუმით გაცვდა, უბრად დამდგარა შინდი. ტყვესავით დადის სიო, ჰაერში ტოკავს ალვა, სურო რომ მოისიოს, უწევს ღიმილის მალვა. გაჰქრა ქარბუქი ვნების, გაჰქრა ხალისის წყარო, მიწავ, დარდისგან დნები, ნუთუ ღმერთი არ გწყალობს! მოთქვამს ნალია ძველი, მოთქვამს თოხი და ბარი, პირგამშრალია ქვევრი, არის სევდისგან მკვდარი. დადუმებული კავი, დადუმებული ცელი, ავად ყრანტალებს ყვავი, ცივი ფიქრების მგვრელი. გაბუტულია ვარდი, სევდით ავვსია გული, აქ ფეხშიშველი დადის, მწვანე ბალახის სუნი. მონყენილია წყალი, მონყენილია ყორე, ფანჯრის თვალები მწყრალი, ჭვრეტენ აფრენილ ყორნებს. სიჩუმე უღრენს ვაზებს, ნაზად ეხვევა სხივი, სძინავთ ჩაკეტილ რაზებს, მამალი აღარ ჰყვიის. ხელეგაშლილი იცდის, დადუმებული შარა, სევდის ფერები სივრცის, ჩანს უკვდავების დარად. ამ წლებს--მარაოს კონას, უყეფს ნიავის ყელი, სანამ მოცელავს ხსოვნას, მოგონებათა ცელი.

მთის მწვერვალთან მზე იცქირება, ბავშვივით სუფთა და უშურველი, იშვა აისი --უფლის ქმნილება, მშვენიერება დაუსრულები. გადაუშლია ფერდობებს გული, მკერდზე დაუდით სიო შრიალით, აქ გაუმართავთ ხეებს ფერხული, შაშვთა ჰანგების ისმის წკრიალი. მე ვენაცვალე ჭიკჭიკა მერცხლებს და ამ ბუღბუღებს ვარდთან
ტრფიალში, გამრჯე მეგუთნეს და გამრჯე მეხრეს, თავიანთ მკლავით ბარაქიანით. ამ აფეთქებულ პატარძლებს--ბალებს, ოქროს ტევრებში რაიგ ბზრიალებს, სისხლადუღებულ ჭაბუკ-ვაჟუკაცებს და ამ გოგონებს ბაგემზიანებს. მე ვენაცვალე ქართველთა მოდგმას, მე ვენაცვალე ყველაფერს ქართულს, ქართული სისხლის ღვთაებრივ როკვას, მარად და მარად საქვეყნოდ
განთქმულს. მე ვენაცვალე ამ საქართველოს, უფლის კურთხეულ წმინდა ალაგებს, დიად სამთვაროს, დიად სამზეოს, მტერი ვერასდროს გააჩანაგებს.

მზე ღრუბლებში მიიკარგა, მწვანედ ელავს ველები, არემარეს ნისლი ქარგავს, თეთრი მოსართველებით, სიომ ყანა გადამარგლა, გაიტანა სვრელები. მსურს ვარიდო ამ მთას, მდელს, მტრები სისხლის მსმელები, ამრავლოს და აჯანმრთელოს, ქვეყნის გმირი მცველები, ღვთის კურთხეულ საქართველოს, თავზე შემოველები.

სად დაიკარგა

ჩამოვირბინე ცის ბილიკები, ჩემი სამშობლო ვეღარ ვიცანი, მეც სტუმარივით ქუჩას მივეყვები, გულზე მესობა სევდის ისარი. ნუთუ, ეს არის ჩემი მამული, ნუთუ, ეს არის ჩემი ქვეყანა, აქ უცხო ხალხის მესმა ხმაური, გულში მდუღარე ჩამომეღვარა. სად დაიკარგა ბაღჩა-ბალები, სად დაიკარგა ეგ ჩემი ოდა, ო, გულო, რატომ მეთანაღრები, ნუთუ, მამული არასდროს მქონდა. სად დაიკარგა ყველა სიამე, სად დაიკარგა ყველა დიდება, თუ მიწა-წყალი გამინიავეს, მაშინ სიცოცხლე რაღად მჭირდება. სანამდე სული ხორცს გაეყრება, დაე, განმგმირეთ მყისვე ისარით, თუ საქართველო აღარ მექნება, მამული ჩემი დასაფიცარი.

უთოვლო თბილისი

ეს ცივი დილაც მოჰგავს სნებთანს, ცას გაუშლია მშრალი ხელები, წელს თბილისს თოვლი არ ღირსებია, უთეთრსამოსოდ დარჩნენ ხეები.

მტკვარი ჩვეული ხიბლით იცინის, ქუჩები სჩანან რჩეულ ლექსებად, დადის ნიავი კუდის ქიციანით და ტროტუარებს ეაღვრება. თოვლს ნატრულობენ ყველა უბნები, აქ ბელურები შვებით გალობენ, გაბერნებულან თეთრი ღრუბლები, ფანტელებს ველარ მშობიარობენ. ლოდინით ჭვრეტენ ზეცას ბავშვები, ფიფქებს უძღვნიან მაინც სიმღერებს, აქეთ ჰანგები ისმის შაშვების, იქით ბუღბუღი კისერს იღერებს. სახლებს ედება მზეთა არილი, არის მთებისკენ თვალთა ცეცება და სურვილები ფერ-უმარილით, სხივების ტინებს დაეღენება. აღარ გამოჩნდა ფიფქების ჯარი, ღრუბელი სითბოს უღრენს ძალღვივით, პირმერცხვენილი დგას იანვარი, კაბანართმეულ პატარძალივით.

მარადიული ელავი


გატრუნულა მინდორ-ველი, ნიავქარის უსმენს მღერას, ჩანს ლაჟვარდი სასურველი, ლურჯი ნავით მოიწინევა. მონარნარებს მზის სხივები, ოქროები მოაქვთ კალთით, წინ ხვდებიან შველ-ირმები, ღვთაებრივი სილამაზით. დაფარფატებს ტკბილ-სურნელი, ხის ფოთლები თხზავენ ლექსებს, აქ ფუტკარი რუდუნებით, ყვავილს ღანჯზე უაღვრებს. კლდის გაღვლილ, შიშველ მკერდზე, მოშრიალებს ხმით ჩანჩქერი, არ იკარებს ნიავს გვერდზე და უტეხად გადასცქერის. უთვალთვალეებს მნიფე ბალებს, ზამბახების თეთრი რკალი, ჩიტუნების ლამაზ ჰანგებს, ახლავს სითბო საოცარი. აქ მდინარე ნაპირს კოცნის, ტალღა მზის სხივს უმღერს ნანას, ეს გორაკი და ეს ბორცვი, სიყვარულის ზვირთში დგანან. შარა ეტრფის ურმის ბორბლებს, ჭრიალით რომ აფენს ჰანგებს, წყლის წისქვილი ისვრის დორბლებს და სიმინდებს ფიფქად აბნევს. დაქარვულა ბაღი, ვაზი, თაფლის სუნი დადის ნებად, ავიწყდება სხივს თავაზი, მტევანს მკერდზე ეკონება. აქეთ ვარდი სატრფიალოდ, ბუღბუღს უხსნის გულის კარებს, ნიავი კი შორიახლოს, ყურძნის მარცვლებს უთვალთვალეებს. მერცხლის გუნდის ათრობს ხმები ჭალას, ნასულს ყვითელ ძილში, გამოტილა საწნახელი, სატრფოს--ყურძნის მოლოდინში. ეს ველები, ეს მინდვრები, სიყვარულით არის მთვრალი, შექმნილია უფლის ნებით, ჰარმონია საოცარი. ზღვა ხიბლი აქვთ ფანტასტიურ, ცის და მიწის წარმტაც ხედებს... ვენაცვალე მარადიულ, საქართველოს დიად ედემს.

საოცნებო საქართველოვ, ღვთიურ მადლით მოცულო, ამ მიწისთვის მზეც და მთვარეც, გამალებით ლოცულობს. აქ მდინარე, ჩანჩქერები, სიმღერებად მოდიან,

აქ ზღაპრული სილამაზის მთა, მდელი და კორდია. აქ ხალისით ცეკვავს ქარი, ქვევრში მღერის ბადაგი, აქ გუბეებს ნისლის ცრემლი ოხშივარად გადასდის. აქ ნისლები მთის ფერდობზე, მოკრძალებით წვებიან, აქ მთის წვერნი სიამაყით, ზეცის თალებს წვდებიან. აქ ვარდს ტრფიალს ეფიცება, ხმანკრიალა ბუღბუღი, აქ ბალები მზეს ელტვიან, ელდით სულშეგუბულნი. ამ მიწაში წინაპრებიც ღალადებენ გმირობას, აქ ყანები ყაყაჩოებს, უშუშებენ ჭრილობას. აქ ყოველთვის ზღვა-ხმელეთის მეგობრობა დიდია, სახე გმირი რაინდების, ვარსკვლავებად გვინთია... სულზე მეტად მიყვარს ზვრები, მინდვრები და ველები, მე ამ მიწის ყოველ მტკაველს, თავზე შემოველები. ღმერთო, ღმერთო, დამილოცე, მე ეს ტურფა ალაგი, ღირსეული ქართველების წმინდა ძვალთმესალაგი.

მე მზის სხივების ვეტრფი ამბორებს, ამ ზამბახების კოცნის სირბილეს, მწვანით დაბინდულ ლამაზ მთა-გორებს, თვალი რომ ელდით მოისირბილებს. ტანაშოლტილი მხიბლავს ალვები, ამ ველ-მინდვრების მიყვარს ფერება, ცას შეხიდილი მთის მწვერვალები, ოქროებით რომ დაიფერება. მიყვარს ვენახში, ყანა-ბაღებში, როცა ქარვები იფერთხავს კალთას, ნიავს, ხეხილის სუნით დაგემილს, რომ წამოიწვენს ჯეჯილი კართან. როცა მზის სხივებს მკერდზე მოიწვავს მდელი, ნაფურჩქნი ათას ფერებით, მივალ და ყოველ ფეხისდგმა მიწას, სულმოუთქმელად მოვეფერები. მე პოეტი ვარ, ლექსებს ვმღერევი, აქ ყველა ტანჯვას მედგრად დაზვდები, ბედნიერი ვარ, ბედნიერი ვარ, რომ ამ ედემში დავიმარხები.

მიყვარს ეგ თმები ვნების მგვრელები, გულის წამალი ფარულ დოზებით, ჩამოსანთლული ხელთა მტევნები, წარბთა რკალების ურჩი პოზები, თვალთა ლამაზი ქრიზანთემები, ტურთა მარწყვები და მიმოზები. ღანჯთა ალები, კბილთა ბროლები, მკერდის გვრიტები, მხრების მერცხლები, მკლავთა ძენები, თეძოთ რგოლები, მუხლთა ცეცხლები, წვივთა ლერწმები, ვნების მომრევი შვების მორევი, ნაჩუქურთმები სუნთქვის ვერცხლებით... მიყვარს მაგ ტანის ჯადო სურნელი, თავბრუდამხვევი მწველი ალებით, გეტრფი და გეტრფი დაუსრულებლივ, ხარ მიუწვდომი ცის მწვერვალები, მარადი ტრფობით განუკურნელი, შენს ნატერფალეებს ვენაცვალელები.



გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის, ცნობილი კრიტიკოსის და ლიტერატურათმცოდნის, პროფესორ ცისანა ლლონტის რჩეული წერილების კრებული - „წერის ღირსების საგუშაგოზე“. ვბეჭდავთ კრებულის წინათქმას.

წინათქმა

ამ წიგნში ცნობილი ქართველი კრიტიკოსისა და ლიტერატურათმცოდნის, პროფესორ ცისანა ლლონტის რჩეული წერილები თავმოყრილი.

ლიტერატურული ავისა და კარგის გამორჩევის ურთულეს პროფესიას ათეული წლების განმავლობაში ემსახურებოდა ქალბატონი ცისანა.

მან თანამედროვე ქართული ლიტერატურის დიდ წიგნში არაერთ შემოქმედს მიუჩინა თავისი ადგილი.

ობიექტურობა, შეუვალობა, ჭეშმარიტი პროფესიონალიზმი, მხატვრული ნაწარმოების შეფასების კრიტერიუმების ღრმა ცოდნა და ამ პრინციპების დროული გამოყენების შესაბამისი უნარი განაპირობებს ცისანა ლლონტის მაღალ ავტორიტეტს.

ჩემს თვალწინ გაიარა მისი საინტერესო ცხოვრების მრავლისდამტკემა,

შინაარსით სავსე და ზოგჯერ დრამატულმა გზამ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ერთხანს დიპლომისმიერ პროფესიაში ცდიდა კალამს და საინტერესო პუბლიცისტის სახელი დაიმკვიდრა.

რამდენიმე წელი ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტში დაჰყო სამმართველოს უფროსად, მერე თითქმის ათი წელი რედაქტორობდა უაღრესად საინტერესო გაზეთს „წიგნის სამყაროს“... ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში პროფესიონალ ლიტერატურათმცოდნედ ჩამოყალიბდა. დაიცვა დისერტაციები და თავის მშობლიურ უნივერსიტეტში, უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრაზე წარმატებით კითხულობდა თანამედროვე ლიტერატურის კურსს.

წიგნში, რომელიც ახლა წინ გიძევს, ძვირფასო მკითხველო, შეხვდებით

საფუძვლიან გამოკვლევებს გრიგოლ რობაქიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, ანა კალანდაძის, მუხრან მაჭავარიანის, მორის ფოცხიშვილის, ალექსანდრე ჩხაიძის და სხვათა შემოქმედებაზე, აგრეთვე, ორიგინალურ დაკვირვებას „ბიბლიის“ მოტივებზე.

უაღრესად ნიჭიერი და ჩვენი მწერლობის სრულყოფილებისათვის ფრიად გარჯილი ქალბატონის, ცისანა ლლონტის წიგნების სრული გამოცემა მომავლის საქმა.

მე კი ამ მშვენიერი წიგნის ავტორის მეგობარსა და თანამოკალმეს, ისღა დამრჩენია, ხანგრძლივი სიცოცხლე და ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობა ვუსურვო საქართველოს მწერალთა კავშირის ამადგარ, ვალმოხდოდ წევრს, პროფესორ ცისანა ლლონტს.

რევაზ მიშველაძე

გიორგი მაგლობლიშვილი

წიგნის ჩივილი

ერთ დროს დიდი რუდუნებითა და მონივნებით მეპყრობოდნენ ადამიანები. - გულისტკივილით ამბობს წიგნი - ახლა კი ვაგდვიარ ოთახის ერთ ბნელ კუთხეში მარტოდმარტო და მტერის სქელი ფენა მადევს, სუნთქვა მიჭირს! ჩემი ტანმთელიობა დრო-ჟამისაგან ისეა გაცვეთილი და გაცრეცილი, რომ მნახოთ შეგებრალეობით, თუმცა ჩემს პატრონს არ ვებრალეობი. ერთხელ დიასახლისმა დამტაცა ხელი და გამიტანა სასადილო ოთახში, ძალიან გამიხარდა, ვიფიქრე, ალბათ ქალბატონს ჩემი ნაკითხვა მოეგონება-მეთქი, და მოუთმენლობისაგან ცახცახი დავიწყე, მერედა ვინ მოთვლის რამდენი ხანი იყო, რაც არავის ნაეკითხა ჩემი ან უკვე ნახევრად გადაშლილი სტრიქონები! მაგრამ იმედი აქაც გამიცრუვდა. სასადილო ოთახში შესვლისთანავე დამაგდო მაგიდაზე და დამადგა გაზქურიდან ახლახან გადმოდგმული ღომიანი ქვაბი, თითქოს მე ერთი უბადრუკი ხის ნაჭერი ვყოფილიყავი, რომელსაც როგორც მოენებებოდათ ისე მოექცევოდნენ. ჰაი, დედასა! თუმცა რა ვიცოდი მე უბედურმა რა მელოდებოდა წინ. მართლაც, როცა ამ მუცელღმერთების ღრეობა დასრულდა, დიდად დანაყრებულმა ქალბატონმა დამავლო გაქონილი ხელი და გადამისროლა ფანჯრის რაფაზე, თან ასეთი სიტყვებით მიმართა ჩასუქებულ ქმარს: "ახლა, აქ ეს წიგნი ორ კარგ საქმეს გაგვიკეთებს, ცხელი კერძის დასადებად ხომ კარგია და კარგი, მაგრამ ამავე დროს ვინმე, რომ შემოვა დაინახავს არა კედელზე ჩამოკიდებულ ხის დაფებს, არამედ ფანჯრის რაფაზე კოხტად დადებულ წიგნს - ეს უფრო ესთეტიკურია!"

განა სადმე კიდევ გინახავთ ასეთი დამცირება და აბუჩად აგდება წიგნისა, რომელსაც ოდესღაც მთელი ქვეყანა თაყვანს სცემდა. მერედა რამდენი ასეთი მწარე წუთი მარგუნა ბედმა...

ბანდირული

დეკემბრის სუსხიანი ღამეა, თოვს, ყინვა ძვალ-რბილში ატანს. მე კი ვდგავარ ჩვილი ბავშვით ხელში მარტოდმარტო ქუჩაში და სიცივისაგან ვკანკალებ. ძალიან მშია, მეორე დღეა არაფერი მიჭამია. ჩემი პანია ეკა განუწყვეტლივ სტირის, მასაც შია და სცივა. მკერდში კიდევ უფრო მაგრად ვიკრავ ჩემს გათოშილ პატარას, რათა უკეთ გავათბო. მის ლამაზ სახეს თოვლის ფიფქები ეცემა და ყინვად იქცევა. ვცდილობ ფიფქები მოვარშორო, მაგრამ თითები უკვე აღარ მემორჩილება. ჩემი ნორჩი სხეული ისეა დასუსტებული, რომ მეშინია ბავშვი ხელიდან არ გამივარდეს. უფალო შემინყალო! თუმცა ღმერთი ხომ არ არსებობს, ის, რომ ნამდვილად ყოფილიყო ამქვეყნად, მაშინ ჩემი ცხოვრება ასე ბედუკუდმართად არ წარიმათებოდა. რა ცოდვა ჩავიდინე ისეთი, რომ ჩემი და უცოდველი ბავშვის სიკვდილით უნდა გამოვისყიდო?!

ნუთუ ჩემი ბრალია, რომ შემეყვარდა ერთი ლამაზი ყმაწვილი, რომელიც არამზადა აღმოჩნდა, მაშინვე მიმატოვა როგორც კი უთხარი ფეხმძიმედვარ-მეთქი, და მას შემდეგ აღარც მინახავს. როდესაც დედაჩემმა ყველაფერი გაიგო, ხელები თავში ნაიშინა და მოთქმას მოჰყვა. "რას იტყვის ხალხი, როდესაც შეიტყობენ შენი შერცხვენის ამბავს, თვალი როგორ უნდა გაუსწორო ახლობლებს ამის შემდეგ?!" ქვითინით თქვა ეს სიტყვები დედამ და გავიდა ჩემი ოთახიდან. ცოტა ხნის შემდეგ გაცოფებული მამა შემოვარდა და ცემა დამიწყო. როდესაც მამაჩემის რისხვა ცოტათი დაცხრა, მაშინ მან მომართა ასეთი საშინელი სიტყვებით: "შენ ჩემი შვილი უკვე აღარ ხარ, ჩემთვის მკვდარხარ, ნადი ამ სახლიდან და სადაც გინდა იქ იცხოვრე". ბევრი ვემუდარე მაპატიე-მეთქი, მაგრამ ამოდარც ერთმა ახლობელმა არ შემეფერა მე უბედური. ყველამ ზურგი შემაქცია თითქოს კეთროვანი ვყოფილიყავი. რატომაა ხალხი ასეთი უღმობელი?! მე

ხომ მათთვის არაფერი დამიშავებია? ასე აღმოვჩნდი ქუჩაში. პურის ფულს მათხორობით ვშოულობდი. მიტოვებული სარდაფი ვიპოვე და იქ დავინყე ცხოვრება. იქვე გავაჩინე ჩემი საბრალო ეკა, მაგრამ ახლა ის ბნელი სარდაფიც სანატრელი გამიხდა. ერთ აგბედით დღეს მანანწალა ბიჭების მთელი ხროვა მოადგა სარდაფს, უხამსი წინადადება შემომთავაზეს დარჩენის სანაცვლოდ, მაგრამ მე არ დავთანხმდი და იქიდანაც გამომაგდეს.

მზესავით გაკაშკაშებული მთვარე დაჰყურებს ჩვენს უკანასკნელ გაბრძოლებას. ყინვა უფრო და უფრო გვიჭერს რკინის მარნუხებს. ნაბიჯის გადადგმა აღარ ძალმიძს. ვეშვები თოვლში და ვხუჭავ დაღლილ თვლებს, ძალიან მეძინება. ბავშვის სუნთქვას ველარ ვგრძნობ, მაგრამ განძრევა უკვე აღარ შემეძლია, მხოლოდ ძილი მინდა, ძილი...

შობის ღამე

სოფლის განაპირას დგას ნახევრად დანგრეული ქოხი, რომლისთვისაც მდინარეს საძირკველი გამოუცლია, ასე გგონია, სადაცაა მდინარეში ჩაიქცევაო. თოვლის გუმბათი ადგას ქოხის სახურავს. ოთხმოცი წლის ბერიკაცი და მისი ორი შვილიშვილი ბუხრის წინ სხედან და მოწყენით უცქერიან მინავლებულ ნაკვერჩხლებს. მთები ღამის ნისლში ჩაძირულა. მოქუფრული ღრუბლები თითქოს დასტირიან სოფელს, რომელსაც თეთრი ძაძა ჩაუცვამს. სოფელს ვაბობ, თორემ უფრო ნასოფლარს ჰგავს, სამარისებური სიჩუმეა, სულიერის ხმა არსაიდან ისმის. ახლა სრული წყვდიადი სუფევს ოდესღაც გაჩირადლებულ სახლებში. მხოლოდ ეს სამი ადამიანი შემორჩა ერთ დროს ხალხმრავალ სოფელს, მაგრამ ისინიც როდემდე გაუძლებენ ამ პირქუშ ბუნებას არავინ იცის. ბერიკაცი ძლივძლივობით ახერხებდა გოგონების გამოკვებას, დღითი დღე სულ უფრო მცირე და მწირი ხდებოდა ულუფები.

შობის ღამეა, გოგონები თაფლის სანთლებს ანთებენ და მშობლების სულს უფალს ავედრებენ. გარედან უცებ ვიდაცის ძახილის ხმა მოისმა: "მასპინძელო". მოწყენილმა ბავშვებმა ყურები ცქციტეს და ცნობისმოყვარეობით დაინყეს ფანჯარაში ყურება. ბერიკაცმა კარი გამოაღო და გასძახა: "მობრძანდით, სტუმარი ღვთისაა". თვალებგაცისკროვნებული მოხუცი შემოვიდა, რომელმაც რაღაც ღვთაებრივი სიტბო შეიტანა ქოხში, თუმცა თვითონ სულ მთლად გათოშილიყო და თეთრი წვერი ყინვას დაეთრთვილა. მოხუცს გახდაში გოგონები მიეშველნენ. უეცრად ბუხარში ისეთი ცეცხლი დაინთო ნახევრად ჩამქრალი ნაკვერჩხლისაგან, რომ ბერიკაცი გაოცდა. გოგონებმა სუფრა გაშალეს, ყველაფერი გამოიტანეს რაც რამ ებადად. მოხუცი ხურჯინიდან იღებდა და იღებდა ნაირ-ნაირ საქმელ-სასმელს, თითქოს ხურჯინი უძირო ყოფილიყო. ქეფსა და დროსტარებაში ისე გაერთნენ, რომ შუალამე უკვე კარგა ხნის გადასული იქნებოდა, როცა გოგონებმა ბუხრის ახლოს დაუგეს ლოგინი სტუმარს და დაანვინეს.

გათენდა, მზე ამოვიდა და გაათბო ყინვისაგან დამზრალი მიწა. ბერიკაცმა თვალი გაახილა და რას ხედავს! თავისი ძველისძველი ქოხის ნაცვლად სრულიად ახალ სახლში აღმოჩნდა, სადაც ყველაფერი ახალი იყო. ბუხარში ცეცხლი ისევ გიზგიზებდა. სტუმარი კი არსად ჩანდა. შეშის უზარმაზარი გორა დახვდა გარეთ გამოსულ ბერიკაცს, მაგრამ სასწაულები ამით არ დასრულებულა. ბოსლიდან საქონლის ბლავილის ხმა მოისმა, არადა აგერ უკვე ერთი წელი იქნებოდა, რაც გაყიდა ბერიკაცმა ერთადერთი მარჩენალი ძროხა უმცროსი შვილიშვილის ავადმყოფობის გამო. ბერიკაცი მუხლზე დაეცა და პირჯვარი გადაინერა. "ნუთუ მართლა ქრისტე ღმერთი იყო ის მოხუცი?!" გაიფიქრა ბერიკაცმა და თვალეში იმედის სხივი ჩაუდგა...

ლია მუმლაძე

როგორ გაფრენილა წლები...

როგორ გაფრენილა წლები, მთები? ისევ დგანან მთები! ისევ აყვავილდა მდებლო, ისევ გადიპენტა გზები. ახლა დაისია, წყნარი ნაირფრად აელვარდა ზეცა ფრინველნი გაიტრუნენ წამით ნელ-ნელა ეშვება ღამე... ღამე თბილი და წყნარი, ირგვლივ აღარ ისმის ჩქამი! ამ სურათს მერამდენედ ვხედავ, როგორ გაფრენილა წლები... ასაკიც მემატება ვხედავ.

საქართველოს

აბა, ეს ბუნება, როგორ მივატოვო, მე ბალახიც მიყვარს შენი -- თითო ღერი! ზეცად აზიდული მთები მიყვარს შენი, ცა -- იდუმალი და ფირუზისფერი! სიცოცხლეს ახარებს ყველა გათენება... მინდორში ათინათობს, ცვარი ვერცხლისფერი... ზღაპრულად ღამაზი ხარ, ჩემო საქართველო! ოდითგან გეხვეოდა ყველა ჯურის მტერი. ვერ გადაგაშენეს, თუმცა კი გარბიეს ... იყო ბაზალეთი ცი! ღვთივკურთხეული ხარ, ჩემო საქართველოვ, რას დაგაკლებს მტერი!

ალექსანდრე ბოლქვაძე

გიცქერი და გადარე

გიცქერი და გადარე ხან მთვარეს და ხან მზესა, მე ვადარებ ამ დარებს ამ შენს სილამაზესა.

ისინი შორს არიან, შენ აქვე ხარ ხილული, თვალწარმტაცო, ღამაზო, შენით ვარ მოხიბლული.

როგორ მსურს, სულ გიცქირო, ამდენი რომ მეცალოს... ჩემი სულის სილამაზე, ჩემო ტკბილო „მერცხალო“.

მწერალთა კავშირის სახლი

თუ სურვილებს და ჩვენს გულს ღიად, ფართოდ გაუშლით, ვინც სასახლეს დაუბრუნებს ჩვენს მწერალთა კავშირს...

მწერლებისთვის ის იქნება ისე, ვით ზეკაცი, (მიკარნახა ეს ფიქრებმა: თუნდაც და მზეკაცი).

ის იქნება, უნდა ითქვას: ჯადოქარი, შემწე (ნუ იქნება ეს ხვალ, თუნდაც, მოკლე ხანში, ამ წელს)...

ზოგი ისე უცქერს ამ ხალხს, როგორც ბუზებს, მწერებს... კუთვნილი სასახლე უნდა, დაუბრუნდეს მწერლებს!

ღმერთი არვის აპატიებს თავხედობას იმდენს... შვიდასამდე მწერლის სახელს აბუჩად რომ იგდებს...

ვლადიმერ ბერუაშვილი

ყვავილავით ნაღვას

ეს ზაფხულიც მიინავლა ცხელ-ცხელ თვეთა დღეებით, მთვარეც სადღაც მიიმალა ღემებნათენები.

შემოდგომაც მალე მოვა მოსაწყენი წვიმებით, დაიბუდებს ჩემში გლოვა, სევდა, ცოტა იმედი.

ჩამობარდნის ნოემბერი თოვლით მთებს და ველობებს და მეც, როგორც ნოე ბერი, თეთრ მტრედს უნდა ველოდე.

უნდა ვთვალო თითო-თითოდ ზამთრის ცივი თვეები, მთვარეული ვიყო თითქოს ღამის თეთრად თენებით.

დღემდე ვცდილობ, არ ვნებდები ჩემს არაერთ განსაცდელს, სულის შფოთვით და ვნებებით გზას ტაძრისკენ არ ავცდევ.

ჩემი გაზაფხულიც მოვა, მომიკითხავს, მომხვევს მკლავს და ჩემს ყველა ნუხილს, გლოვას, ყვავილებით ნალექავს.

ზმანაბანი

ყოველდღიურ დარდს, სევდას და ჩემს ფაცი-ფუცს ღამით ძილში ემატება ზმანებანი, გავიღვიძებ, ვგავარ ზოგჯერ ძმად გაფიცულს ტოლბიჭებთან ოდეს ვიყავთ თავნებანი.

მოულოდნელ ხილვით ზოგჯერ თავსაც ვერ ვცნობ, თვალს ვაცეცებ, მინდა, ყველა ცოცხლად ვნახო, ფიქრთა რემა ჰგავს შლეგიან ზვავს და ღვარცოფს, გზად ყოველის წამლეკავს და სავაგლახოს.

თვალს ვაცეცებ, სად ვინ არის ძილბურანში, მეღიმება თუ რამ ვნახე აკრძალული, მაგრამ ზოგჯერ სიზმრისეულ ამ სურათში, მეჩვენება ჩემთვის რაღაც საკრალური.

გონს მოვალ და რეალობა თვალწინ მიდგას, სარკმელს ვაღებ, ცხადს თუ სიზმარს შფოთით ვხვდები, მთვარე ციდან ღვინოს ვერცხლის თასით მიდგამს, ისიც თვრება და სატირლად ერთად ვსხდებით.

დავით რობაქიძე

ციყვი ბორჯაღში

რევაზ მიშველაძეს

(აკროსტიქი)

ციურ აზრებთან დანადარი ღალადით სულის, იმედად მომდევს ერისკაცის ამაყად თქმული, ყურადსაღებად ნაამბობი, თვალით ხილული, ვარ ფრთაასხმული, განათლებული და მოხიბლული. იხაროს შვილმა გონით-აზრით ამაღლებულით! ბუნება მართლაც თუ იმეტებს სადაგ სასწაულს, ოცნებათ რემას ოკეანედ სულში შემოსულს, რასაოცრებად განანესებს ზომა-საწყაულს, ბარაქალაა, ერს აჩუქებ სადაგ სამკაულს! აგვიხმინე ისტორია უახლოესი, ლაქარდიანი სიტყვა-თქმებით უბადლო მწყემსის, შინაურთა და გარეულთა გვასწავლე ნესი, იქნებ ნობელმაც გაგვასინჯოს საუფლო ხემსი.

ვარდო დევაძე

უშვილო ქალის ვედრება

ღამის წყვილი კვლავ ცისკარმა ნათლით შემოსა, მზის მობრძანებას ისევ შეხვდა ჩიტი გალობით, კვლავ გაიხურა სახლის კარი ფერმკრთალმა ქალმა, ცისფერ ოცნებით შებოჭილმა ღვთიურ გალობით. ის მზის პირისპირ ხელანვდილი შეხვდა განთიადს, თეთრ საბურველქვეშ მომზირალმა ცრემლიან თვალთ, შესთხოვა გამჩენს - ერთი ბავშვი მაჩუქე, დიას, რომ მეც მხურვალედ აღვასრულო ამ ქვეყნის ვალი. უშვილო ქალის მწუხარებით სწუხდა ცისკარი, მზის თინათინი მის ვედრებას ჰფენდა გარშემო და ქალის ირგვლივ მუხლმოყრითი დედაბუნება შესთხოვა გამჩენს, ამ საბრალოს რომ უსაშველონ. იდგა ქალი და გამოკრთოდა ღვთიური შუქი, მის ღამაზ სახეს ეფრქვეოდა ციციანთლები, თანაც სტიროდა, ეს ცრემლები ნურავის უკვირს, მის ბედისწერას შენ მოჰფინე, ღმერთო, ნათელი!

ოცნება

მე მინდა ვიყო შემოდგომის თავნება სიო, ავაფრიალო უსიცოცხლო ფოთლები ცაში, მე მინდა ვიყო მწყურვალთათვის ანკარა წყარო, ხან ამოვჩქეფდე, ხანაც კიდევ ვქრებოდე წამში. მე მინდა ვიყო ღაღას კალმით ნახატი გოგო, სახელად მერქვას საყვარელი მისი ანანო, მე მინდა ვიყო დიდი ვაჟას ობოლი ნუკრი, ჩემი ფიქრები ჩემი გალას ღამეს გავანდო. მე მინდა ვიყო სიბნელეში შუქის მბოვნელი, ყველა საგანში ჩემი სულის ნათელი ენთოს, მე მინდა ვიყო სვეტიცხოვლის წმინდა სანთელი და საქართველოს ცხელი გული ხელთმეპყრას, ღმერთო. მე მინდა ვიყო ყოველივეს სულის აღმძვრელი, ჩანჩქერი ვიყო და ხარობდეს ჩემით მთა-ველი, მე მინდა ვიყო მზიანიც და ღრუბლიანი დღეც, ყველა ობოლის გამზრდელი და ვიყო მფარველი.

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, **„მწერლის გაზეთის“ რედაქტორი, ბატონ რევაზ მიშველაძე**

მასწავლებელი, როგორი განსაკუთრებული იყო ბატონი კიტა, როდესაც თქვენ, ბატონო რევაზ, გამოაქვეყნეთ ნოველა, სადაც მთავარ პერსონაჟად გამოიყვანეთ იგი, მის მიერ ღარიბი ადამიანებისათვის ფულის დარიცხვის გამო. დიდი მადლობა ყველაფრისათვის.

ღრმა პატივისცემით თინათინ ბარამიძე
29 აგვისტო, 2019 წელი.

**„სიცოცხლე ხანმოკლეა, დიდება კი, შეიძლება - სამარადისო აღმოჩნდეს.“
ციცერონი**

ჩემს წმინდათაწმინდა მოვალეობად მივიჩნევ, პატივი მივაგო დიდი მეცნიერის, ჩემთვის ძვირფასი ადამიანის, აკადემიკოს გიორგი ზედგენიძის ნათელ ხსოვნას, რომელიც, საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერებს შორის, გამოჩენილი პიროვნება გახლავთ.

1992 წელს ბატონ გიორგისგან მივიღე ორ ნაწილად გამოცემული ბიოგრაფიულ-მემორიული ხასიათის ნარკვევი „ეკლანი გზა მეცნიერებაში“. მას აქეთ ჩემი დიდი სურვილი იყო ქართველი მკითხველისთვის გამეცნო ამ დიდი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი პიროვნული და ადამიანური თვისებების შესახებ, რომელმაც დიდი გარჯის და შრომის შედეგად მიაღწია მეცნიერების უმაღლეს მწვერვალს. ეს განსაკუთრებით სასარგებლო იქნება ახალგაზრდებისათვის - გამოცდილების მიღების და ადამიანურ და პიროვნულ ღირებულებებთან გაცნობის თვალსაზრისით...

თავის მეცხრე ათეულ წელზე, თვალს ავლეს რა განვილი ცხოვრებას, ბატონი გიორგი აღნიშნავს: „გავიარე ხანგრძლივი და დიდი ცხოვრება, ბევრ სიხარულთან ერთად იყო გულგატეხილობაც, ნარმატებები და ნარუმატებლობაც, გატაცებები, სიხარული და მწუხარებაც, მაგრამ თუ მე მეცნიერებაში შევძელი თუნდაც პატარა ბილიკის გავლენა - კმაყოფილი ვიქნები და ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს, რომ მე ჩემი მოვალეობა შევასრულე“...

თვალს ვავლებთ რა ბატონ გიორგის მიერ განვილი ცხოვრებას, საბოლოო ჯამში წარმატებებით და გამარჯვებებით აღსავსე გამოდგა მთელი მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა:

- აკადემიკოსი გიორგი ზედგენიძე - რუსეთში მოღვაწე გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, რენტგენოლოგიის და რადიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და სკოლის დამაარსებელი;
- კიროვის სახელობის სამხედრო-საზღვაო, სამედიცინო აკადემიის რენტგენოლოგიის და რადიოლოგიის სამსახურის უფროსი, ბალტიისპირეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის აკადემიის უფროსი;
- ქ. ობინსკში მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტის დამაარსებელი და მისი პირველი დირექტორი. ინსტიტუტი წარმოდგენილია 37 ჰა-ზე, 25 უმსხვილესი ნაგებობით და ორი ათასი თანამშრომლით, დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიკაციური სამეცნიერო კადრებით, აღჭურვილია უახლესი სამედიცინო ტექნიკით... ეს უკვე წარმოადგენს ხელქმნილ ძეგლს;
- ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს რენტგენოლოგების და რადიოლოგების სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე და მთავარი სპეციალისტი;
- მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის უფროსი „სამედიცინო რადიოლოგიის“ დამაარსებელი და რედაქტორი; „დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის“ - რედაქტორი;
- „ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს“ და „მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის“ ექსპერტი;
- 2013 წელს რადიოლოგიის ინსტიტუტის დარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით, გამოცა აკადემიკოს გიორგი ზედგენიძის სახელობის მედალი, რომელიც გადაეცემა დარგის წარმატებულ მეცნიერებს;
- აკადემიკოს გიორგი ზედგენიძის კალამს ეკუთვნის 450 სამეცნიერო შრომა, მათ შორის, 24 მონოგრაფია და სახელმძღვანელო. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 132 დისერტაცია, მათ შორის 34 სადოქტორო. ბევრი მისი მოწაფე დღეს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ან ნევრ-კორესპონდენტია, რომლებსაც ჯანდაცვის სამინისტროს სისტემაში მაღალი თანამდებობები უკავიათ. რენტგენოლოგიის და სამედიცინო რადიოლოგიის დარგში მომზადებული ჰყავს ათასობით ექიმი, რომლებიც მოღვაწეობენ ჩვენი უკიდურეს ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკის ქალაქებში;

- აკადემიკოს გიორგი ზედგენიძის დიდი ღვაწლი ქვეყნის მედიცინის განვითარებაში აღინიშნა მთავრობის ოთხი უმაღლესი ჯილდოთი: ორი - „შრომის ნათელი დროშის“, „ნათელი ვარსკვლავის“ და „ოქტომბრის რევოლუციის“ ორდენებით.

თავის ბიოგრაფიულ ნარკვევში ბატონი გიორგი მიმართავს ახალგაზრდებს: „ჩემს მოგონებებში ჩემი მიზანი იყო ახალგაზრდა თაობისათვის შემეხსენებინა ისეთი ფასეულობების შესახებ, როგორცაა მოვალეობის და პასუხისმგებლობის გრძობა - ოჯახის, საზოგადოების და სამშობლოს წინაშე“...

...„რომ ცხოვრების გზაზე ჩვენ ვხვდებით კარგ, კეთილშობილ, კეთილგანწყობილ ადამიანებთან ერთად, ბოროტ, შურიან, არაკეთილმოსურნე ადამიანებსაც, ასეთ შემთხვევაში შურისძიება არ არის მიზანშეწონილი, ასეთ შემთხვევაში საჭიროა ბრძოლა. ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა - საკუთარი პროფესიის კარგი ცოდნა, პირადი ერუდიცია და ა. შ.“

აკადემიკოს

გიორგი ზედგენიძის ხსოვნას

...„რომ დასახული მიზნის მისაღწევად უნდა გამოიმუშავოთ - მიზანსწრაფვის, შრომის-მოყვარეობის, შეუპოვრობის, სიმამაცის, ამავდროს მოთმინების და თავშეკავების უნარ-ჩვევები“...

ჩვენს დღევანდელ ყოფაში, როდესაც ისეთი ფასეულობები, როგორცაა სულიერება, ზნეობა, ღირსება - სრულ დევალვაციას განიცდის, განსაკუთრებით გვესაჭიროება აკადემიკოს გი-



გიორგი ზედგენიძის მშობლები დედა - ოლა, მამა - არტემ ზედგენიძე

ორგი ზედგენიძის მსგავსი პიროვნებების წარმოჩენა. მომავალი თაობები უნდა აღიზარდონ ასეთი მაშულნიკების მაგალითზე.

მომავალი თაობისთვის სამაგალითო და მისაბაძი უნდა გახდეს მათი ცხოვრება და მოღვაწეობა - როგორი გულმოდგინებით, ერთგულებით და პატრიოტული შემართებით უნდა ემსახურებოდნენ ქვეყანას, შენს ხალხს. ამას ქვეყნისათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია...

გთავაზობთ აკადემიკოს გიორგი ზედგენიძის მოკლე ბიოგრაფიულ მონაცემებს, იმ მნიშვნელოვანი და საინტერესო მოვლენებით, რომლებიც მის ხანგრძლივ და რთულ ცხოვრების გზაზე უხვადაა წარმოდგენილი.

აკადემიკოსი გიორგი ზედგენიძე დაიბადა თბილისში, ძველ ტრადიციულ ქართულ ოჯახში 1902 წლის 22 თებერვლს. მამა არტემ ზედგენიძე და სახელმწიფო ბანკში, დედა, ოლა იყო მასწავლებელი. ოჯახში ოთხი და-ძმა იზრდებოდა, გიორგი უფროსი შვილი იყო.

ბატონი გორგი დედის ყველაზე დიდ დამსახურებად თვლიდა შვილების აღზრდის უნარს, რომლებიც შრომისმოყვარე გარემოში იზრდებოდნენ. ამისათვის სამინიო განრიგაც არსებობდა, რომლის შესრულება სავალდებულო იყო, რადგან დედა ყოველივეს ამონებდა. ბავშვებისათვის არ იყო უცხო არც საკულინარიო, არც შავი სამუშაოები. გიორგი მადლიერებით აღნიშნავს, რომ დედისგან მიღებული ჩვევები მას გაჰყვა ღრმა მოხუცებულობამდე.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ბატონ გიორგის აღზრდის თავისებურებამ თავის ნაყოფი გამოიღო და მას განუვითარა ისეთი თვისებები, როგორცაა: დისციპლინა, შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობის და მოვალეობის გრძობა, შეუპოვრობა და სხვა. რომლებმაც შემდგომ დიდი გავლენა იქონიეს მის პიროვნულ ჩამოყალიბებაში და წარმატებულ მოღვაწეობაში... „მე მნამს, რომ შრომა არის პიროვნების ზნეობრივად ჩამოყალიბების საშუალება, ხოლო შრომისმოყვარეობა, როგორც ხასიათის თვისება, ბავშვობიდანვე უნდა გამოუმუშავდეს ადამიანს“ - აღნიშნავს ბატონი გიორგი.

აქ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევადაროთ ბავშვთა აღზრდის „ძველი“, „დრომოჭმული“ მეთოდი თანამედროვე „თავისუფალ“, „პროგრესულ“ აღზრდის მეთოდთან. შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ძველი“ აღზრდის მეთოდი არც თუ ისე „ურჩიან“, ისევე, როგორც „თავისუფალი“

აღზრდის მეთოდი არ არის „საუკეთესო“... რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვთა აღზრდის საკითხი მოითხოვს გადახედვას. მშობლებმა, პედაგოგებმა, ფსიქოლოგებმა დიდი გულსისყურით უნდა გადახედონ ბავშვთა აღზრდის საკითხებს და შეიტანონ სათანადო კორექტივები...

გიორგი ზედგენიძემ საშუალო განათლება მიიღო მიხეილ რომანოვის სახელობის ვაჟთა გიმნაზიაში. 1910 წელს ლვითმეტყველების და რუსული ენის წარჩინებით ჩაბარების შემდეგ იგი ჩაირიცხა გიმნაზიაში და როგორც ხუთოსანი განთავისუფლებული იყო სწავლის საკმაოდ მაღალი, ყოველწლიური გადასახადისგან. ასეთი პრივილეგია 40-დან 2-3 მოსწავლეს ეძლეოდა. გიმნაზიაში ასწავლიდნენ ლათინურ, ფრანგულ და გერმანულ ენებს, რომელიც მას მოზრდილობაში ძალიან გამოადგა... 1920 წელს მან წარმატებით დაამთავრა გიმნაზია და იგი ჯგუფზე გაცემული ერთადერთი ოქროს მედალის მფლობელი გახდა. იმავე 1920 წელს, როგორც მედალოსანი

უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც გამოირჩეოდა მაღალი სწავლის დონით და თავის გამორჩეული პროფესორ-მასწავლებლით. მათ შორის მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი მეცნიერებით, როგორცაა ი. ბერიტაშვილი, შ. ნუცუბიძე, გ. ნათიშვილი, პ. მელიქიშვილი, გ. გოგიტიძე და სხვა.

სტუდენტობის წლებში გიორგი ზედგენიძეს მაღალნიჭიერებასთან ერთად მაღალი შრომისუნარიანობა გამოარჩევდა თანაკურსელებისაგან. მისი არჩევანი იყო რენტგენოლოგიის საგანი, რომელიც მას საოცრად აინტერესებდა და იზიდავდა. რენტგენოლოგიის კათედრის თანამშრომლებს იგი პერსპექტიულ სტუდენტად მიაჩნდათ. აღნიშნის ღირსია, რომ მისმა მასწავლებელმა, კათედრის გამგემ გიორგი ნახარიშვილმა და კათედრის დოცენტმა დავით მიქელაძემ, მოგვიანებით, სადოქტორო დისერტაცია დაიცვეს, რომლის ხელმძღვანელი გახლდათ გიორგი ზედგენიძე. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია...

სტუდენტობის წლებში, საღამოს საათებში გიორგი ზედგენიძე მუშაობას იწყებს სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში პროფესორ ა. ურუშაძესთან. პოლიკლინიკაში მისულ ყველა პაციენტზე პარადონტოზის ადრული გამოვლენის და დროული მკურნალობის მიზნით უტარებს რენტგენოლოგიურ გამოკვლევას. აქვე შეისწავლის პირის ღრუს ანატომიას და პისტოლოგიას, რამაც საშუალება მისცა ალვეოლარული პიროვასთვის ენოდეგინა პარადონტოზი-დენტოტი, ხოლო ჩირქოვან-ანთებით პროცესის არარსებობის შემთხვევაში - პარადონტოზი. ლენინგრადში დამწყებ ექიმად ყოფნისას ბატონი გიორგი გერმანიის ავტორიტეტულ უფროსალ-ში გამოსაქვეყნებლად აგზავნის სამეცნიერო შრომას: „ალვეოლარული პიროვის ადრული დიაგნოსტიკა რენტგენის სხივების გამოყენებით“. აღსანიშნავია, რომ ამას აკეთებს რიგითი რენტგენოლოგი, რომელიც სთავაზობს ახალ ტერმინოლოგიას. ამ თამამ განაცხადთან დაკავშირებით, იგი დედას, მოსვენებას კარგავს... მაგრამ მოულოდნელად ლებულობს შეტყობინებას, რომ მისი სტატია დაიბეჭდება უახლოეს ნომერში. გიორგის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გერმანიიდან მიიღო აღნიშნული უფროსი, სტატის ამონაბეჭდებთან ერთად, რომლებსაც იგი სიცოცხლის ბოლომდე ინახავდა.

1927 წელს გიორგიმ წარჩინებით დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. მიიღო რამოდენიმე კათედრიდან მიწვევა კათედრაზე დარჩენის შესახებ, მაგრამ მას არჩევანი უკვე გაკეთებული ჰქონდა...

1929 წლის 14 აპრილი დასამასპინძლებელი დღე იყო მის ცხოვრებაში, როდესაც იგი გაემგზავრა ქ. ლენინგრადში. ქალაქში, რომელმაც ფართოდ გაუღო მას კარი დიდ მეცნიერებაში. გიორგი საცხოვრებლად მოენყო კომუნალური ბინაში, სადაც, მისი ჩათვლით, ცხრა მოზინადრე ცხოვრობდა. მეორე დღეს იგი გამოცხადდა რენტგენოლოგიის ინსტიტუტის დირექტორთან, იმ დროისთვის ცნობილ მეცნიერთან პროფესორ ნ. ნემიონოვთან, რომელმაც გიორგის შესთავაზა ახალგაგასწილი ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში სამთვიანი კურსის გაგება რენტგენოლოგიაში და თუ იგი დაინტერესდება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობით შეუძლია, მიმართოს პროფესორ გ. შორს, რომელიც იყო ნ. ნემიონოვის მოადგილე სამეცნიერო დარგში. გიორგი მამწივე შეუდგა საქმეს. ინსტიტუტში მუშაობდნენ უმაღლესი რანგის მეცნიერები, რომელთა შორის გიორგი

გამოყოფს პროფესორ ს. რეინბერგს, ენციკლოპედიური ცოდნის ერუდირებულ სპეციალისტს, მრავალმხრივ განათლებულს, უცხო ენების მცოდნეს, რომელსაც ერთდროულად დოცენტის კურსი მიჰყავდა სამხედრო-საზღვაო სამედიცინო აკადემიაში.

დახელოვნების კურსის გავლის შემდეგ ბატონი გიორგი დინტერესდა რენტგენოლოგიური სურათის პისტოლოგიური საფუძვლების შესწავლით და ამ მიზნით იგი გადადის ექსპერიმენტულ განყოფილებაში, სადაც მუშაობდნენ ისეთი მსხვილი მეცნიერები, როგორცაა - ს. ლარიონოვი, დ. შაბადი და სხვა, რომელთა გამოკვლევები დღემდე აქტუალურია.

1929 წლის სექტემბერში პროფესორ გ. შორის რჩევით გიორგი გამოცდებს აბარებს ასპირანტურაში, რომელიც დიდი კონკურსით მიმდინარეობდა - 11 პრეტენდენტიდან მხოლოდ 3 ჩაირიცხა, რომელთა შორის იყო გიორგი ზედგენიძე... შედგენილ იქნა ასპირანტურაში სწავლების ორწლიანი პროგრამა, რომელშიც შედიოდა ინგლისური ენის და ევროპული ცეკვების შესწავლა, ხოლო ბოლო წელს რენტგენოლოგიაში ექსპერიმენტული პრაქტიკის გავლას. აქ იგი იხსენებს აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილს, რომელთანაც ერთად გადიოდა ასპირანტურის პროგრამას და დასძენს, რომ ცეკვაში არც ერთ ჩვენთაგანს ნიჭი არ გაგვაჩნდაო.

გიორგიმ ასპირანტურის პროგრამა ვადაზე ადრე გაიარა და წელიწადნახევარში, 1932 წლის ივლისში წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

მანამდე, 1931 წელს პროფესორ ს. რეინბერგის რეკომენდაციით გიორგი დაინიშნა სამხედრო-საზღვაო სამედიცინო აკადემიის ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკაში, რომლის ხელმძღვანელი იყო ცნობილი ქართველი მეცნიერი აკადემიკოსი იუსტინე ჯანელიძე, რენტგენოლოგიური კაბინეტის გამგედ, რომელიც 1939 წელს ჩამოყალიბდა, როგორც უმსხვილესი რენტგენოლოგიური სამსახური, რომლის უფროსი გახლდათ უკვე პროფესორი გ. ზედგენიძე.

აკადემიკოს იუსტინე ჯანელიძის კლინიკაში ბატონი გიორგი მთელი თავისი უფასძლებლობით შეუდგა მუშაობას. თავის მხრივ, ბატონი იუსტინე არ აკლებდა თავის ყურადღებას ბატონ გიორგის.

1934 წელს ბატონმა გიორგიმ დაამთავრა თავისი სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ეხება ქვანახშირის ფისის ზემოქმედებას ძვლოვან ქსოვილზე. ექსპერიმენტული კვლევიტი, იგი მიდის დასკვნამდე, რომ ფისის ზემოქმედების ადგილზე ძვლოვან ქსოვილში ვითარდება კარცეროგენური პროცესი, ხოლო ძვლოვან სისტემაში - გენერალიზებული ოსტეოდისტროფიის პროცესი, ე.წ. „პეჯეტის დაავადება“.

1935 წლის 21 ნოემბერს გ. ზედგენიძემ ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც საატესტაციო კომისიამ ოთხეუმი დაამტკიცა. მოგვყავს ერთ-ერთი ოპონენტის შეფასება: „მე თქვენ გიცნობთ, როგორც ნიჭიერ, მიზანდასახულ და ფრიად წარმატებულ მეცნიერს, ექიმს და პედაგოგს და ა. შ.“ ეს სიტყვები ეკუთვნის პროფესორ ნემიონოვს, გიორგისადმი არაკეთილგანწყობილ პროფესორს, რაც ორმაგად დასაფასებელია...



მარცხნიდან: ოლა ზედგენიძე, თინათინ ბარამიძე, კობა გურული (მოქალაქე), გიორგი ზედგენიძე და ლევან ჩარკვიანი. კ.გურულის სახელოსნოში 1972წ.

ახალგაზრდა და ნიჭიერი ქართველი მეცნიერის მიღწევები ნათელი ხდება ლენინგრადის ფართო საექიმო და სამეცნიერო საზოგადოებისათვის. თავის ძირითად სამუშაოსთან ერთად ბატონ გიორგის იწვევენ სვერდლოვის სახელობის საავადმყოფოში რენტგენოლოგიური განყოფილების გამგედ, აგრეთვე საავადმყოფოსთან არსებულ პოლიკლინიკაში - კრემლის სამედიცინო სამსახურის ფილიალში, რომელიც ემსახურებოდა ლენინგრადის მთავრობას, რაც ნიშნავდა პირადი გიორგისადმი, მისი საექიმო კვალიფიკაციისადმი დიდ ნდობას.

თავის ავტობიოგრაფიულ ნარკვევში ბატონი გიორგი დიდ ადგილს უთმობს აკადემიკოს იუსტინე ჯანელიძის პიროვნებას და არ შეიძლება ამას გვერდი აუაროთ, რადგან ახალგაზ-

მოგონება

რდა მეცნიერებისათვის ეს კარგი და მისაბაძი მაგალითი იქნებოდა... „ი. ჯანელიძე პირად ურთიერთობაში იყო მკაცრი და უკომპრომისო. ვერ იტანდა პაციენტების მიმართ უყურადღებობას და გულგრილობას, ვერ იტანდა ტყუილს, მამამებლობას, ვერ იტანდა უღირს საქციელს...“ ამასთან დაკავშირებით ბატონი გიორგი იხსენებს, როგორ გაანთავისუფლა ჯანელიძემ სამსახურიდან ერთ-ერთი თავის მოწაფეთა-



გ. ზედგენიძე, ფრანგ პროფესორებთან. 1946წ. VIII საერთაშორისო ონკოლოგთა კონგრესზე

განი, რომელმაც საგაზეთო სტატიაში უარყო საკუთარი მამა, იმისათვის, რომ იგი იყო მღვდელი: „თქვენ დღეს არ დაინდეთ და უარყავით საკუთარი მამა, ვინც თქვენ გაგზარდათ და მოგაარათ. ხვალ თქვენ შეიძლება, უარყავთ მეც, თქვენი მასწავლებელი, შემდეგ საკუთარი სამშობლოც... მე და თქვენ ერთად ვეღარ ვიმუშაებთ...“ ამავე დროს იუსტიცე ჯანელიძე იყო საკმაოდ თვითკრიტიკული და სამართლიანი. მას მსჯელობისას თავისუფლად შეეძლო საკუთარი შეცდომის აღიარება...

ლექციის მსვლელობისას ბატონ იუსტიცის უყვარდა მოულოდნელი შემეცნებითი და მახვილოვანი იმპროვიზაციები. ერთ მშვენიერ დღეს მან შეწყვიტა ლექციის ერთი და ბატონ გიორგის შესთავაზა გაეგრძელებინა მის მიერ დაწყებული ლექცია. ადგილი წარმოადგენია, როგორც მოულოდნელი იყო ეს გიორგისთვის, ისიც ჯანელიძის ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ. მაგრამ მას სხვა გზა არ ჰქონდა, განაგრძო ლექცია და, როგორც კოლეგებმა უთხრეს, ძალიან კარგადაც, და რაც მთავარია, ზუსტად ჩატია სალექციო დროში.

1941 წლის დასაწყისი - ეს ის პერიოდია, როდესაც ფაშიზმი იკრებს ძალებს. არის ომის საშიშროება, სამამულო ომი გარდევნილია. ლენინგრადის მესამე სამედიცინო ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის აკადემია, რომელსაც საექიმო კადრების მომზადება ევალება - მსოფლიოში პირველი, ბალტიისპირეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის. აკადემიის უფროსის, აგრეთვე პედაგოგობაში ადგილზე გამოცხადდა საკავშირო კონკურსი. კონკურსში გამარჯვებული გიორგი ზედგენიძის კანდიდატურამ და 1941 წლის მარტში იგი დაინიშნა ბალტიისპირეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის უფროსად.

ამ დროს ბატონი გიორგი თბილისიდან ღებულობს ელვა დეპეშას დედის გარდაცვალების შესახებ... ეს იყო მის ცხოვრებაში ყველაზე მტკივნეული დარტყმა და გამოუსწორებელი დანაკლისი...

დიდ სამამულო ომთან დაკავშირებით, სამხედრო-საზღვაო სამედიცინო აკადემია ევაკუირებული იქნა ქ. კიროვში, ხოლო სასწავლო პროცესი რომ არ შეჩერებულიყო, ერთდროულად ლენინგრადშიც განაგრძობდა თავის მოღვაწეობას. ხშირად ლექციები საჰაერო განგაშის პირობებში ტარდებოდა, რომლის შემდეგ ერთმანეთს ულოცავდნენ ბედნიერ დასასრულს. ბატონი გიორგი იხსენებს შემთხვევას, როდესაც აკადემიის 400 მსმენლისათვის უნდა ჩატარებინა ლექცია, რომელიც ბოლო წუთებში გადაიდო მეორე დღისთვის. მეორე დღეს, ლექციის ჩასატარებლად მისულს, შენობის ნაშენოვლები დაზიანდა - გერმანელებს იგი წინდელი დაუბოძოთ... კიდევ ერთი შემთხვევის შესახებ, როდესაც ქუჩაში მიმავალს დარტყმითი ტალღის ზემოქმედებით გონება დაუკარგავს, რამოდენიმე ხანში მოუკრიფავს ძალები, სამედიცინო ჩარევის გარეშე ადგამაც მოახერხა და დაუბრუნდა ჩვეულ საქმიანობას... ყოველივე ამის შემდეგ როგორ შეიძლება არ გწამდეს ბედისწერის - აღნიშნავს ბატონი გიორგი.

ომის წლებში, 1942 წელს გ. ზედგენიძე ი. ჯანელიძესთან ერთად მივლინებული იყვნენ საზღვაო ევაკოპოსპიტლების მუშაობის შესამომწებლად, მარშრუტით: ტუაფსე-სოჭი-ფოთი-ბათუმი-თბილისი (მარტო სოჭში იყო 3 ჰოსპიტალი, ზოგი მათგანი იყო 2 ათას საწოლიანი). ყველა ქალაქში, სადაც მათ მოუხდათ ყოფნა, ყურადღებას იპყრობდა მოსახლეობის დიდი ერთსულოვნება, თავდადებული პატიროტიზმი და გამირობა. მოსახლეობა, ქალებისა და ბავშვების ჩათვლით, საკუთარი ინიციატივით, დაჭრილ მეომრებს ამარაგებდა ბაღებში და ტყეში დაკრეფილი ხილით და კენკრეულით, აგრეთვე, მცენარეული ნაყენებით, ჭრილობების მოსა-

შუშებლად და დაჭრილების მოსამარაგებლად. დიდი ერთსულობით სრულდებოდა ღობუნგი: „ყველაფერი ფრონტისათვის“, „ყველაფერი გამარჯვებისათვის“ - ყოველივე ეს მოწმობდა, რომ გამარჯვება შორს არ იყო...

ზემოაღნიშნული მივლინების სამაგალითო შესრულებისათვის, უმაღლესი პრეზიდიუმის ბრძანებით, 1944 წელს გიორგი ზედგენიძე დაჯილდოვდა „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით.

1944 წლის 27 იანვარს ჩვენი ჯარების მიერ ლენინგრადის ბლოკადა გარღვეულ იქნა, რომელიც 900 დღე-ღამის განმავლობაში გრძელდებოდა, რაც ნიშნავდა სამამულო ომის დამთავრებას, ომში ჩვენი ქვეყნის გამარჯვებას და ფაშიზმის დამხობას...

1956 წლის მიწურულს აკადემიკოსი გიორგი ზედგენიძე მთავრობისგან და მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისგან დეპუტატობის საპატიო დავალებას: ქვეყანაში უმსხვილესი სამედიცინო დაწესებულების - მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის, სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტის დაარსების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, აღნიშნული ინსტიტუტისათვის ადგილის შერჩევა, მშენებლობის ორგანიზება, კადრების შერჩევა, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა და ა. შ., რომელიც არაერთი თვე უნდა ჩამოეყვანებოდა დასავლეთის ქვეყნების და შეერთებული შტატების შესატყვის ინსტიტუტებს.

გიორგი ზედგენიძე, მისთვის ჩვეული ერთსულობით შეუდგა ამ საპატიო დავალების შესრულებას. მის წინაშე უდიდესი ამოცანა იდგა, მას უნდა გაემართლებინა ხელისუფლების მიერ გამოცხადებული ნდობა.

ინსტიტუტის მშენებლობის ადგილად შერჩეული იყო კალუგის ოლქის ქალაქი ობინსკი (მოსკოვიდან 80 კმ-ით დაშორებული), ადგილის შერჩევის ერთ-ერთი არგუმენტი გახლდათ აღნიშნულ ოლქში ატომური ელექტროსადგურის ფუნქციონირება. სულ მოკლე დროში, 1957-1959 წწ-ში ბატონი გიორგის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით დასრულდა მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტის მშენებლობა, რომელიც თავისი მასშტაბით, სამეცნიერო კადრებით, ულტრათანამედროვე აღჭურვილობით უპრეცედენტო იყო საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ.

გიორგი ზედგენიძემ წარმატებით გაართვა თავი აგრეთვე, სამეცნიერო კადრების შერჩევას. გამოცხადებული საკავშირო და საერთაშორისო კონკურსით ინსტიტუტში თავი მოიყარა მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერებმა, როგორცაა მაგალითად, ნ.ვ. ტიმოფეევი-რესევისკი, რომელიც იყო ზოგადი რადიოლოგიის და რადიაციული გენეტიკის ხელმძღვანელი. მისმა განყოფილებამ ინსტიტუტში მოღვაწეობის პირველივე წლებში მოიპოვა დიდი აღიარება. 1965 წელს მისი სამეცნიერო მიღწევები უჯრედოვანი მუტაციების სფეროში აღინიშნა კიმბეროვსკის სახელობის მედალით და პრემიით (ამშ). მასვე ცნობილმა რუსმა მწერალმა დ. გრანინმა მიუძღვნა მხატვრული ნაწარმოები „დრონა“, რომელშიც გადმოცემულია მეცნიერის ხასიათის ნიშნები და პროფესიონალური მოღვაწეობის თავისებურებები...

გიორგი ზედგენიძის ორგანიზატორული ნიჭის და სამეცნიერო გამოცდილების წყალობით, სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტმა, როგორც მთავრად სამეცნიერო დაწესებულებამ, ფართოდ გაშალა თავისი ორგანიზაციული-მედიკალური მუშაობა. ინსტიტუტმა ითავა საკავშირო რესპუბლიკების სამეცნიერო კადრების მომზადება-დახელოვნების საქმე. რადიოლოგიის ინსტიტუტის თაოსნობით გვეგზავნიდნენ ტარდებოდა რენტგენოლოგების და რადიოლოგების ყრობობა. ასე მაგალითად, 1970 წელს თბილისში ჩატარდა რენტგენოლოგთა საკავშირო მეცხრე ყრობობა, 1974 წელს ქ. ერევანში ჩატარდა რენტგენოლოგების საკავშირო მეათე ყრობობა, 1978 წელს ტაშკენტში, შესაბამისად, მეთერთმეტე ყრობობა და ასე შემდეგ.

გარდა აღნიშნულისა, საკავშირო რესპუბლიკების დაკვეთით სხვადასხვა აქტუალურ თემაზე ინსტიტუტი ატარებდა სესიებს, სიმპოზიუმებს, პლენუმებს, სემინარებს და სხვა.

სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტის დახმარებით ხდებოდა საკავშირო რესპუბლიკების რადიოლოგიური ტექნიკით უზრუნველყოფა. ბატონი გიორგი სამეცნიერო მუშაობას დიდი გულმოდგინებით და სულიერი კმაყოფილებით უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას - ჩვენს ქვეყანაში, აგრეთვე, მის ფარგლებს გარეთ იგი სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით და დიდი პატივისცემით. მისი თავმჯდომარეობის და ქმედითი ჩარევის გარეშე არ ჩატარებულა არცერთი დარგობრივი საერთაშორისო კონგრესი. მრავალ ევროპულ ქვეყანაში და შეერთებულ შტატებში მინიჭებული ჰქონდა საპატიო აკადემიკოსის წოდება.

ბატონი გიორგის მოღვაწეობის პერიოდში ინსტიტუტის სამეცნიერო თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებული იყო 2 000-ზე მეტი

სამეცნიერო ნაშრომი და მოხსენების თეზისები, მათ შორის 30 მონოგრაფია და სახელმძღვანელო. დატული იქნა 200 დისერტაცია, მათ შორის 18 სადოქტორო.

1973 წლის მაისიდან აკადემიკოსი გიორგი ზედგენიძე საკავშირო ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის დირექტორის, აკადემიკოს ნ. ნ. ბლოხინის მიწვევით დაინიშნა აღნიშნული ცენტრის რენტგენოლოგიის და სამედიცინო რადიოლოგიის სექტორის საპატიო კონსულტანტად. ამ პერიოდისთვის იგი რჩება საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარედ და ჟურნალ „სამედიცინო რადიოლოგია“ მთავარ რედაქტორად.

ბატონმა გიორგიმ იცოცხლა ღრმა ხანდაზმულობამდე. გარდაიცვალა ქ. მოსკოვში 1994 წლის 24 აგვისტოს 92 წლის ასაკში... დაკრძალულია „ნოვოდევიჩის“ სასაფლაოზე...

სხოვნა და არდავინყება მის ნათელ სულს. გავიდა წლები, აკადემიკოს გიორგი ზედგენიძის სახელი კიდევ უფრო გაბრწყინდა და დამკვიდრდა. მისი შრომა ნაყოფიერი გამოდგა. მის მიერ დაარსებული მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტი ფართო სტაციონარულ-დისპანსერული და ექსპერიმენტული ქსელით ეწევა ნაყოფიერ მუშაობას, იმ სამეცნიერო მემკვიდრეობის გამოყენებით, რაც ბატონმა გიორგიმ დატოვა, აგრეთვე სამეცნიერო კვლევითი და პრაქტიკული მუშაობის წრმდგომი გამოლა-განვითარებით დღემდე წარმატებით ასრულებს თავის მაღალ დანიშნულებას, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მისი სახელოვანი მონაწილეობა ღირსეულად განაგრძობს მის მიერ დაწყებულ საქმეს.

2013 წელს სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტმა საზეიმო ვითარებაში აღნიშნა დაარსებიდან 50 წლის საიუბილეო თარიღი. ამ



გ. ზედგენიძე თავის დოქტორანტთან თინათინ ბარამიძესთან ერთად 1970წ.

თარიღს მიეძღვნა: რადიოლოგთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გამოიცა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული, რადიოლოგიის ინსტიტუტის დამაარსებლის და მისი პირველი დირექტორის, აკადემიკოს გიორგი ზედგენიძის უკვდავსაყოფად ინსტიტუტმა დააარსა მისი სახელობითი მედალი, რომელიც გადაეცემა დარგის წარმატებულ მეცნიერებს.

ყოველივე მითითებულ იმაზე, რომ აკადემიკოს გიორგი ზედგენიძის სახელი სრულიად დამსახურებულად უკვდავყოფილია და ბატონი გიორგის მიმართ გამართლებას პოულობს ციციერონის დიდებული გამონათქვამი: „სიციცხლე ხანმოკლეა, დიდება კი შეიძლება სამარადისო აღმოჩნდეს“...

ჩემი სამეცნიერო ნათლობა შედგა ქალაქ ლენინგრადში სამეცნიერო კონფერენციაზე 1956 წელს, რომელიც წარმატებული გამოდგა. აქვე გავიცანი რუსეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი გიორგი ზედგენიძე. გაცნობა საზეიმო ვითარებაში შედგა, რადგან იმ დღეებში მონოგრაფიისთვის „ქვლოვანი ინსტიტუტის სხვადასხვა დავადებების რენტგენოლოგიის სექტორი“. მედიცინის მეცნიერებათა აკადემიაში იგი არჩეული იქნა აკადემიის ნევრო-კორექსიონდენტად და სამხედრო-საზღვაო სამედიცინო აკადემიის კოლეგები და თანამშრომლები გულმხურვალედ ულოცავდნენ ამ გამარჯვებას. აქვე დავეცნო, რომ ბატონი გიორგი მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი 1960 წელს გახდა.

დასამახსოვრებელი იყო აკადემიკოს გიორგი ზედგენიძის გაცნობით მიღებული შთაბეჭდილება: იგი იყო მაღალი, წარმოსადგები, შთაბეჭქდავი გარეგნობის, შინაგანი ღირსებით აღსავსე, შავი ფერის სამხედრო საზღვაო უნიფორმა თავისი ოქროსფერი აქსესუარებით, კიდევ უფრო აძლიერებდა მისგან მიღებულ შთაბეჭქდას. მსგავსი შეხვედრა ჩვენს მეცნიერებაში რჩება სიცოცხლის ბოლომდე. საბედნიეროდ ბატონ გიორგისთან პირველი შეხვედრა არ იყო ბოლო შეხვედრა. მოგვიანებით, სამოციანი წლების ბოლოს, მე გავხედი მისი დოქტორანტი და მან, როგორც ხე-

ლმძღვანელმა, დიდი წვლილი შეიტანა ჩემს სამეცნიერო კარიერაში. 1973 წელს დავიცავი სადოქტორო დისერტაცია, რომელიც უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ სამ თვეში დაამტკიცა. აღსანიშნავია, რომ დისერტაციის ერთ-ერთი ფრაგმენტი შესრულდა ქ. ობინსკში, რადიოლოგიის ინსტიტუტის კიბერნეტიკის განყოფილების ხელმძღვანელის მერაბ მირიანაშვილის თანაავტორობით.

„ადამიანებთან ურთიერთობა არის დიდი განძი“ ბრძანებს ეპკური. ბატონი გიორგი გახლდათ ადამიანებთან ურთიერთობის დიდი ოსტატი. მას ღრმად სწამდა, რომ „მხოლოდ სიკეთეს და კეთილ საქმეს აქვს ცხოვრებაში ღირებულება“ და ეს იყო მისი ცხოვრებისეული კრედი.

როგორც ხელმძღვანელი, ბატონი გიორგი იყო შეუდარებელი: გულთბილი, გულითადი, მზრუნველი და სულგრძელი.

მიუხედავად დიდი დაკავებულობისა, იგი ყოველთვის მზადყოფნას გამოხატავდა ჩვენთან შესახვედრად. საჭიროების შემთხვევაში, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ჩვენ შეგვეძლო მასთან შეხვედრა - ობინსკში, მოსკოვში, როგორც ბინაზე, ასევე ინსტიტუტში ან აკადემიაში და ასე განსაჯეთ, საზაფხულო აგარაკზეც („სხენგერბში“), სადაც იგი ოჯახთან ერთად ისვენებდა.

ბატონი გიორგის ხელმძღვანელობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სადისერტაციო მასალის განხილვით და საკონსულტაციო საკითხების გარჩევით. მას, როგორც ფართო მასშტაბის პიროვნებას, ერთი კარგი თვისება გააჩნდა - ჩვენ, ახალგაზრდებს ყოველმხრივ ხელს გვიწყობდა, მაქსიმალურად გამოგვეცხელა ჩვენი შესაძლებლობები. ამისათვის მის მიერ ორგანიზებულ ყრილობებზე, სიმპოზიუმებზე, პლენუმებზე, სემინარებზე ჩვენ, დისერტანტებს წარგვადგენდა სხდომის თავმჯდომარედ, ორგკომიტეტში, სამეცნიერო შრომების სარედაქციო კოლეგიაში და ა.შ.

ხანდახან ბატონი გიორგის ეს სულგრძელი დანიშნვები ჩვენს ძალებს აღემატებოდა და გვიხდებოდა ჩვენი სარეზერვო ძალების მოილიზება, მაგრამ ეს ჩვენთვის, ახალგაზრდა მეცნიერებისთვის საკუთარი შესაძლებლობების გამოცდის და გამოცდილების მიღების საუკეთესო საშუალება იყო და დიდი მაღლობა მას ამისათვის.

კიდევ ერთი ფაქტი ბატონი გიორგის მხრიდან ნდობის გამოცხადებასთან დაკავშირებით. 1973 წლის ბოლოს მასთან ერთად მოსკოვის ონკოლოგიური ცენტრში სამეცნიერო პროფესორი რიჩარდ გაბუნიაც გადავიდა და ობინსკის ინსტიტუტში რადიოიზოტოპური განყოფილების ხელმძღვანელის ადგილი ვაკანტური აღმოჩნდა. ბატონმა გიორგიმ შემომთავაზა აღნიშნულ ადგილზე ობინსკში სამუშაოდ გადასვლა - „მეორე ასეთი შემთხვევა არ გექნებათ“...

მაღლობა მას ამ დიდი ნდობისათვის... სამწუხაროდ, ეს შემთავაზება განუხორციელებელი დარჩა მამის მიძიმე ავადმყოფობასთან დაკავშირებით.

გაიარა მრავალმა წელმა. ბატონი გიორგი ჩემს მესხიერებაში დარჩა, როგორც ის იმეათი ადამიანი, რომელიც თავმოყრილია მრავალი დღეებით თვისება: ადამიანის სიყვარულის და ადამიანებთან ურთიერთობის დიდი ნიჭი, სიკეთე, პატიოსნება, ნესიერება, თავმდაბლობა, მაღალი პროფესიონალიზმი...

ჩემთვის დიდი პატივი იყო მისი გახსენება... ქედს ვიხრი მისი ადამიანობის და პიროვნების წინაშე...

თინათინ ბარამიძე

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

P.S. აკადემიკოსი გიორგი ზედგენიძე გაზეთ „თბილისის“ (1970 წ. 8 ივნისი), კორესპონდენტ გიორგი დოლიძისა და გაზეთ „სამშობლოს“ (1970 წ. 13 ნოემბერი), კორესპონდენტ რევაზ მაჭავარიანისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ საქართველოში მისი მონაწილეობა არიან: პროფ. გიორგი ნაზარინი - საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს რადიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი; პროფ. დავით მიქელაძე - საქართველოს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რენტგენოლოგიის კათედრის დოცენტი; პროფ. ილია ზედგენიძე - საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი; პროფ. ამირან ჩანავა - თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რენტგენოლოგიის კათედრის გამგე; პროფ. თინათინ ბარამიძე - საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის რადიოიზოტოპური დიაგნოსტიკის განყოფილების ხელმძღვანელი; პროფ. რუსუდან ცომაია - ჯანდაცვის სამინისტროს რადიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პათომორფოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი; პროფ. ბეჟან კაპანაძე - ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის რენტგენოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი.

ბალათერ არაბულის პოეზია სომხურად...

რამდენიმე თვის წინ ერევანში დაიბეჭდა ბალათერ არაბულის ლექსების კრებული. ლექსები სომხურად თარგმნის ცნობილმა პოეტებმა - სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ელვარდ მილიტონიანმა და გაგიკ დავითიანმა. ვთავაზობთ ბალათერ არაბულის წიგნზე ელვარდ მილიტონიანის წინასიტყვაობას.

სხვა ცათა მოხილვისათვის



ბალათერ არაბული, ცნობილი ქართველი პოეტი, ვინც ჭეშმარიტი მკითხველის ყურადღებას სიყრმიდანვე მიიქცია, საბედნიეროდ, შემოქმედებითი ცხოვრების გზას დღესაც წარმატებით ართმევს თავს და მწერლობაში თუ საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროში გაძლიერდა. მისი ახალგაზრდული შემართება დღემდე ბალათერისეული სინოფილითა და სისადავით გამოირჩევა. იგი ჩემი დიდი ხნის მეგობარია და ჩვენს ამ ურთიერთდამოკიდებულებას, დარწმუნებული ვარ, ყავილი არასოდეს გაუვა...

ბალათერ არაბულის პოეზია გაჯერებულია მშობლიური ერისა და ბერის, მთისა და ბარის მრავალმეტყველი ძველი თუ უახლესი ისტორიით, მისი თვალი და გონება არასოდეს შორდება სამშობლოს სულიერი ცხოვრების ერთიან რუკას. დაცლილი სოფლები, იავარქმნილ ციხესიმაგრეთა და სალოცავთა გამო მოგვრილი მისი ტკივილის გამაზიარებელი განა მეც არ უნდა ვიყო, მისი სომეხი თანამოკალმე?! იყავი ბრძენი, ჩემო ტკივილო, და უფრო მშვიდად გეჭიროს თავი, უკვე ჩაველილზე არ იჩივილო, ანდა შენს ბედზე არ დავცდეს ავი...

შენ სხვა ნაღველიც, ალბათ, გექნება და სიხარულის ჟამიც - უცვლელი, დღეები - სავეს მხოლოდ ეკლებით, დღეები - სავეს ვარდის ფურცლებით...

მის პოეზიაში ცხოვრებისეული ავტობიოგრაფიული სიღრმეები იშვიათი სისადავითა და მღელვარებითაა გაჯერებული. რა სისათუთით, რა სინაზითაა შეილიშვილისადმი, თაიასადმი მიძღვნილი მისი სტრიქონები.

უფლისმოვლინებულო, ყველადა, თავიუღადა, პატარა ქალბატონო - თაია - თაიკუნა, ჩემო დიდო იმედო, სიცოცხლე და ნათელი, თითქოს შენი ღიმილით გაბრწყინდა საქართველო...

თითქოს შენთვის მოირთო ზეცა ლამაზ ფერებად, შენ ხარ მარადიული ჩემი ბედნიერება. შენი თავი უფალმა უბეში დაიგულა, პატარა ანგელოზო - თაია-თაიკუნა!

ბალათერ არაბულმა, უპირველეს ყოვლისა, ჯერ თავად უნდა ირწმუნოს სათქმელის ჭეშმარიტი ძალა, რომ საკუთარი სიყვარული, სიხარული თუ სანუხარი მკითხველსაც გაუზიაროს...

ფოთლების შრიალს კვლავ მოაქვს ქარის ხმა, ქარის ხმა - ქარის ლამაზი ქარიზმა... ქარი ქარია და არ იცვლის ქარი ზნეს, არა სდევს ჟამთა ცვლას და უცხო ქარიზმებს...

ბალათერ არაბული მრავალგზის თარგმნილია და დაბეჭდილია სომეხი მწერლების მიერ. ქართული პოეტის ეს მომცრო, მაგრამ მრავალმეტყველი კრებული გაგიკ დავითიანისა და ჩემი თარგმნილია.

თანამედროვე ქართული პოეზიის გამორჩეული სამყაროს მცირე ნაწილია ეს წიგნი, მაგრამ ეს ის ერთი წვეთია, რომელშიც მტკვრისა და რიონის, თერგისა და ჭოროხის, მთისა თუ ბარის და სრულიად ქართული მინის ძალი და მადლია წარმოჩენილი.


ელვარდ მილიტონიანი თარგმნა გივი შანსაზარმა

მიტყევის მაღლი

მკითხველის სამსჯავროზე იოსებ სიბოშვილის მორიგი წიგნი წარმოდგენილი - „ჟამი მიტყევისა“, სადაც ავტორს ერთი უბრალო, ჩვეულებრივი რიგითი ადამიანის ცხოვრების პერიპეტეხების აღწერით გასული საუკუნის სიღრმეში გადაჰყავს მკითხველი, ათეიზმის ეპოქაში, რომელიც ჩვენი უახლოესი წარსულის ტკივილის, დამოუკიდებლობაგამოცხადებული სახელმწიფოს წინააღმდეგობების, პოლიტიკური კატაკლიზმების და ბოლო დროს რეალობაში გამეფებული მოუგვარებელი პრობლემების გამოძახილია. კითხულობ და თითოეული ფურცლიდან უკვე განცდილსა და გადატანილ სატკივარს იხსენებ.

ყოველი მხატვრული ნაწარმოები ყოველთვის თავისი შემოქმედის ერთგული სარკეა და არავის შეუძლია მასში თავისი ბუნება შენიღბოს. სწორედ აქ ერთგული სარკეა წინამდებარე წიგნი, რომლის ფურცლებზეც ნათლად და ღიად იკითხება ავტორისეული ხელწერა, სათქმელი, სურვილი, ოცნება, რაც შემდეგ სიტყვებში ნათლად არის გამოკვეთილი: „საყვარელნი ძმანო, გაუხსენით გულის კარნი მეუფეს დიდებისას და დაამკვიდრეთ თქვენს სულსა და გულში და მით განიწმინდით. გაუხსენით სინანულის კარნი სულს თქვენსას და მწუხარების ცრემლებით განიბანეთ. აჟი ბრძანებს ამაზე მაცხოვარი: „უკეთუ არა მიუტყვენთ კაცთა შეცოდებანი, არცა მამამან თქვენმა მოგიტყვენთ თქვენ შეცოდებანი თქვენნი“, ამიტომ ღვთის შეწევნით ვგონებ დადგა ჟამი ურთიერთშენიშობისა და პატივის. დიახ, სწორედ აქ რომ ამ სულისკვეთებით არის გაჟღერებული იოსებ სიბოშვილის რომანი - „ჟამი მიტყევისა“, სადაც ავტორი, გასულ საუკუნეში მომხდარი უბრალო რიგითი ადამიანის თავგადასავლის მოთხრობით, მკითხველს უამბობს, ათეიზმის ეპოქაში მცხოვრებთ როგორ აზიარებს ზეციური ძალა თავისი ჰუმანური, მოყვასისადმი უანგარო სიყვარულის მაგალითებით სულიერების ხიბლსა და სათნოების მადლს, მართლმადიდებლობის ძალასა და მნიშვნელობას. გადაფურცლეთ ეს წიგნი და დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით. დიდი ძალა აქვს მოთხრო-

ბილ ამბავს, სადაც ბოროტებას ბოროტებით არ პასუხობენ, სადაც მტერს მტრობით არ უხდებიან სამაგიეროს, მკვლელსაც, დამნაშავესაც კი შენ-



დობით და მიტყევით პასუხობენ, რასაც ბოლოს პიროვნების გარდაქმნა მოჰყვება, რაც იმ ადამიანში ახალი ადამიანის დაბადებას იწვევს, რომელიც ცხოვრებას ქრისტეს სიყვარულით აგრძელებს... „გიყვარდეს მოყვასი შენი...“ ეს შეგონება ერთგვარ რეფრენად მიჰყვება წინამდებარე წიგნს და ყოველი გვერდის გადაფურცვლით იკვეთება ადამიანის დანიშნულება, რითიც მან უნდა გალიოს საკუთარი სიცოცხლე, რაც სიკეთის კეთებასა და მადლმოსილებაში გამოიხატება და რაც, ისევე როგორც სიბოროტე, უკან უბრუნდება ათამაგად...

„ჟამი მიტყევისა“ სწორედ ამ ქრისტიანულ შეგონებათა ანარეკლია, რომლის ნაკითხვის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, ნაკლებად იქნება ჩვენს გარშემო სიბოროტისა და მტრობის მსურველთა რიცხვი და იოსებ სიბოშვილის ახალი წიგნი სათანადო და საპატიო ადგილს დაიმკვიდრებს ქართველ მკითხველთა გულში.

მანანა გორგიშვილი

P.S. ამ დღეებში ბატონ იოსებ სიბოშვილს 65 წელი უსრულდება. ვულოცავთ, ვუსურვებთ დღეგრძელობას, მზებრძოლობას და წარმატებებს შემოქმედებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.



რევაზ ჩხარტიშვილი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მტკივნეული დანაკარგი განიცადა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე რევაზ ჭიჭიკოს ძე ჩხარტიშვილი.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ჩინებული შემოქმედი, ფართო თვალსაზრისის მქონე ლიტერატურისმცოდნე, თხემით ტერფამდე დახვეწილი ინტელექტუალი, რომელიც სიცოცხლის ბოლო დღეებამდე სამშობლოს ერთგულ მეციხოვნედ რჩებოდა და თავისი კალმითა და სიტყვით იცავდა იმ წმიდათაწმიდა სამეფოს, რასაც მამული, ენა და სარწმუნოება ჰქვია.

რევაზ ჩხარტიშვილი დაიბადა 1937 წლის 27 ივნისს ფოთში. ფოთის პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელი იმუშავა ქარხანა „ფოთიელექტროაპარატი“ ამწყობ-ზეინკლად. 1962 წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც

1967 წელს დაასრულა. 1967-1970 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში.

მას შემდეგ რევაზ ჩხარტიშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა ამავე ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკად, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორად, ტელერადიოკორპორაციის რედაქტორად, წიგნის პალატის მთავარ რედაქტორად, საბიბლიოთეკო კოლექტორის დირექტორად და ყველგან მადლსა და სიკეთეს ასხივებდა, ყველგან რწმენით, ძველქართული ერთგულებით ემსახურებოდა ქართული მწერლობის, მეცნიერების, კულტურის, განათლების წინსვლასა და განვითარებას.

რევაზ ჩხარტიშვილის სამწერლო დებიუტი 1957 წელს შედგა, როდესაც ფოთის საქალაქო გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელში“ დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა „სწორი გზით“. მას შემდეგ მისი ქმნილებანი - ლექსები, რომანები, ლიტერატურულ-კრიტიკული ნერილები, მეცნიერული მონოგრაფიები და სტატიები, პუბლიცისტური ნერილები სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ლიტერატურისმცოდნეობას მისი სახით მნიშვნელოვანი მკვლევარი ჰყავდა. ამის დასტურია, უპირველეს ყოვლისა, მისი როგორც საკანდიდატო („მიხილ ჯავახიშვილის მხატვრული ოსტატობის საკითხები“, 1973 წ.), ისე სადოქტორო (20-30-იანი წლების ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიიდან“, 1985 წ.) მონოგრაფიები. მარტო ის რად ღირს, რომ ჯერ კიდევ

თსუ მე-4 კურსის სტუდენტი მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მიიწვიეს მიხილ ჯავახიშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მეხუთე ტომის მეცნიერ-რედაქტორად. ამ ტომში მის მიერვე მიკვლეული „ქალის ტვირთის“ უცნობი ვარიანტი შევიდა.

ქართული სალიტერატურო კრიტიკის შენაძენად გვესახება რევაზ ჩხარტიშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული ნერილების ისეთი კრებულები, როგორცაა „დრო, განცდა, მწერალი“, „მხატვარი და პერსონაჟები“, „ეპოქის მხარდამხარ“, „ლიტერატურულ-კრიტიკული ბრძოლების ახლო წარსულიდან“, „ქართული სალიტერატურო კრიტიკის უახლესი ისტორიიდან“...

რევაზ ჩხარტიშვილი მშვენიერი რომანისტი იყო. მისი რომანები „ამბოხი“, „ერთ ჭერქვეშ“, „კარუსელი“, „განაჩენი“, „სისხლიანი 1924“, „სოდომ-გომორი“, „გაცრუებული იმედი“ შედამებათა საუკუნის XX საუკუნის შუქ-ჩრდილებზე მოგვითხრობს და ნათლად, ყოველგვარი შელამაზების გარეშე ხატავს ბოლშევიკ-კომუნისტ კაციჭამიათა ნამდვილ სახეს, რომლებმაც სისხლიანი წვიმები მოუვლინეს ღვთისმშობლის ნილხვედრ მინას და მინც ვერ დაიმონეს, ვერ დააჩოქეს ქართველობა - ქრისტეს მხედრობა...

რევაზ ჩხარტიშვილის პოეტური კრებულები „სიბერის ჟამს გაჩენილი ცეცხლი“, „მიმწუხრის ჟამის ელეგიები“, „მესამე შეხვედრა მკითხველთან“, „ფოთი, ჩემი კოხტა ფოთი“, „შენ, ჩემო მანათობელო“, „რაც მიფიქრია და მითქვამს“ მისივე პროზის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს, რადგანაც მათში შესულ ლექსებში იგივე წყველა-კრულვიანი საკითხებია პირველ პლანზე

წამოწეული, იგივე ტკივილებით, ვაებითა და გოდებითაა სავსე, როგორც მისი პროზაული ქმნილებანი...

რევაზ ჩხარტიშვილი სრულიად საქართველოს შვილი იყო, მაგრამ ფოთში დაბადებულსა და დავაჟაკებულს დიახაც რომ ეამაყებოდა, მისი მრავალწლიანი ღვაწლი და რუდუნება დიდი ფოთელის - ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიით რომ აღინიშნა, ეამაყებოდა ისიც, რომ ფოთის საპატიო მოქალაქედ იყო არჩეული.

რევაზ ჩხარტიშვილი მუდამ სიკეთესა და სიყვარულს აფრქვევდა თვალებიდან, მაშინაც კი, როდესაც მხედველობის პრობლემები შეექმნა. ეს სიკეთე და სიყვარული კი თანაბრად ეკუთვნოდა ყველას, ვისაც საქართველოსთვის უძგერდა და უძგერს გული. სწორედ ასეთი მომღიძარი დაამახსოვრდებათ ქართველ მწერლებს რევაზ ჩხარტიშვილი - დიდებული მწერალი, მეცნიერი, მოღვაწე.

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია თანაუგრძობს მწერალ მიხილ მახარაძეს მუდმივად

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია მწუხარებით იუნყება, რომ გარდაიცვალა მუხრან მაჭავარიანის მუდმივ ლამარა ზოქარი და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს

